ა. ბარამიძე მკითხველს შეახსენებს ნ. მარის მტკიცებულებებს, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდის გამსჭვალული იყოს მუსულმანური სარწმუნოებრივი სულისკვეთებით. თითქოს პოეტი ყოფილიყო ქართველი მუსულმანი. ამ აზრის საპირისპიროდ მეცნიერი შენიშნავს: „დაუჯერებელია, ვითომც დამპყრობელთა რჯულზე გადასულსა და გადაგვარების გზაზე დამდგარ პოეტს ეროვნული შემოქმედების სწორუპოვარი ძეგლი შეექმნა. ამასთან, შეუძლებელია რუსთაველი მუსლიმანი ყოფილიყო და წინასწარმეტყველ მუჰამედის სახელი დაეიწყო და პოემაში არ მოესხენიებინა“ [1, 182].

რუსთაველოლოგი მკითხველს მოაგონებს ნ. მარის ურთიერთგამომრიცხველ თვალსაზრისს. ნ. მარი ერთ შემთხვევაში წერდა: „მთელ ვეფხისტყაოსანში ვერ მიუთითებთ ვერც ერთ ადგილზე, ვერც ერთ სიტყვაზე, თუ საქმე ისლამს შეეხება, რომ ავტორი რამდენადმე სახუმარო კილოს ამჟღავნებდეს მუსლიმანობის მიმართ“ [1, 183]. სხვა დროს კი იგი ირწმუნებოდა, რომ ტარიელი „დასცინის მაჰმადიანური კულტის სწავლულ მსახურთა უძღურებას, დაეხმაროს მას სარწმუნოებრივი სამკურნალო საშუალებით“.

ნ. მარი შეეხო ავთანდილის პიროვნებასაც. მიუთითებს მის მუსლიმანობაზე, თუმცა ღოცულობსო მიზგითში, მაგრამ ასეთი ღოცვისთვის მუსლიმანს, უეჭველად, მოელოდაო მუსლიმანობისაგან განკვეთა. ეს ღოცვა არისო სარწმუნოებრივი უარისმყოფლობა „წინასწარმეტყველი მუჰამედისა და მის ერთგულ მიმდევართა სარწმუნოების გამასხარავება“. ამას ა. ბარამიძე დაამატებს: „რუსთაველი ირონიულად ჰკილავს მუსლიმანთა შორის ღვინის სმის აკრძალვის წესს. ვაჭრებმა ავთანდილს უთხრეს: „ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი, მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისვამს მაჭარნი“ [1, 183].

ვფიქრობთ, ავთანდილის ლოცვაში ნ. მარი თვალნათლივ ხედავდა ქრისტიანი პიროვნების ლოცვას, ვიდრე მუსლიმანისა, მაგრამ იგი ვერ დაღატობდა ხელოვნურად აკვიატებულ აზრს რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების მაჰმადიანური აღმსარებლობის შესახებ. ეს ხომ გარკვეულწილად მის დრომდე და განსაკუთრებით მისი სიკვდილის შემდეგ ამ მიმართულებით წარმართულმა კვლევა-ძიებამ უწყევად დაადასტურა. ამ მხრივ ნ. მარისა და მის მიმდევართა თავგანწირული მცდელობანი მარცხით დასრულდა.

ა. ბარამიძე იმ რუსთაველოლოგთა შორისაა, რომლებიც საკვებით სამართლიანად და არგუმენტირებულად უარყოფენ რუსთაველისთვის მიწერილ მიუღებელ თეორიებს რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანად აღიარების სასარგებლოდ.

ა. ბარამიძე წერს: „რუსთაველი პირდაპირ არ ახსენებს არც ქრისტიანულ ღმერთს, ქრისტეს, ღვთისმშობელს, წმინდანებს. თუმცა მისი ერთი მთავარი გმირი თავყვანისმცემელია „ერთ-არსება ერთი“ ღვთაებისა, რაც ქრისტიანულ სამებას გულისხმობს. „ვეფხისტყაოსანი“ უდავოდ ცხადყოფს მისი ავტორის, შოთა რუსთაველის, საქრისტიანო საღვთო წერილში ნაკითხობას“ [1, 183]. ამ სიტყვებს მოსდევს მეცნიერის მხრიდან შესაბამისი პარალელების მოხმობა ბიბლიიდან. პირველ რიგში, სახელდება პოემაში ნესტან-დარეჯანის აღზრდის შესახებ ნათქვამი: „მუნ იზრდებოდეს ტანითა გაბაონს განაზარდითა“. ეს შედარება აშკარად ბიბლიურიანია, – აცხადებს მეცნიერი. სხვათა შორის, ა. ბარამიძეს რაც პარალელები მოაქვს ბიბლიიდან, თითქმის ყველა ნიმუში დაფიქსირებული აქვს ვ. ნოზაძეს 1963 წელს პარიზში გამოცემულ „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველებაში“. შეუძლებელია დაეჭვდეთ იმაში, რომ ამ წიგნს ა. ბარამიძე არ იცნობდა. თუმცა იგი ვერ დაიმოწმებდა დასახელებულ წიგნს, როგორც ემიგრანტი რუსთაველოლოგისა. იგი ხომ სასტიკად იკრძალებოდა ბოლშევიკური რეჟიმის დროს, ისევე როგორც სხვა ქართველი ემიგრანტების ნაწერები.

ჩვენც გავიმეორებთ ა. ბარამიძის მიერ მოტანილ პარალელებს: ავთანდილი აფრთხილებდა ტარიელს: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა“. ავთანდილის ამ შეგონებას კავშირი უნდა ჰქონდეს ძველი აღთქმის შემდეგ სიტყვებთან: „სიბრძნე დაფარული და საუნჯე გამოუჩენელი რა სარგებელ არს ორთავე შინა“. „შიში შეიქმს სიყვარულსა“ პარალელს ჰპოულობს ბიბლიაში: „შიში დადგენს გზათა ზედა სიყვარულისათა“; რუსთაველის „შემცოდესა ყველაკასა, ვითა ცვილსა დაადნობდეს“ ესმაურება ფსალმუნს: „და ვითარცა ცვილი რა დადნის წინაშე ცეცხლსა“.

ა. ბარამიძე, ასევე, პარალელებს ავლებს „ვეფხისტყაოსანსა“ და ახალ აღთქმას შორის, სადაც ზოგიერთ დებულებათა სიახლოვეს ხედავს: „ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს“; „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს და არცა საიდუმლოდ, რომელი არა გამოცხადდეს“.

რუსთაველოლოგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სააღდგომო დღესასწაულის დამოწმებას პოემაში:

„მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა,

მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არს აღვსებისა“.

„აღვსება“ ძველი ქართულით ეწოდებოდა აღდგომას. „ვეფხისტყაოსანში“ სი-  
უხეტურად აღწერილია მუსლიმანური ქვეყნის ამბები. შესაბამისად, პერსონაჟები  
მაჰმადიანები არიან, მაგრამ რუსთაველმა თავის გმირს ჩაუსახა ქრისტიანული  
წარმოდგენა. ეს დეტალი მეცნიერს მიანიშნებს ეროვნულ-სარწმუნოებრივ მიდრე-  
კილებაზე პოემის ავტორისა. აქვე დამოწმებულია ვახტანგ მეექვსის ნათქვამი:  
„აღვსება აღდგომა არის და ქართველის კაცის გულისთვის უთქვამს“.

ა. ბარამიძე შენიშნავს: „მიუხედავად ზემოთ თქმულისა, რუსთაველმა სავსე-  
ბით დაძლია კონფესიურ-რელიგიური შეზღუდულობა, რითაც დაიმსახურა ეკლე-  
სიურ-კლერიკალური საზოგადოების რისხვა“ [1, 184]. მისი თქმით, შემთხვევითი  
არ უნდა იყოს, რომ პოემის ავტორი ირონიულ დამოკიდებულებას იჩენს ქრისტი-  
ანულ წარმოდგენათა ზოგიერთი მხარის მიმართ. მხედველობაშია მიღებული აფ-  
ორიზმი:

„თქმულა: ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსა დაიურევს“.

რუსთაველს არ გამოპარვიაო სამღვდლოების წრეში ფართოდ დამკვიდრებუ-  
ლი მექრთამეობა. პოეტი დაეჭვებული ყოფილაო „საამქვეყნო ზღვევის მიუდგომელ  
სამართლიანობაში“.

ა. ბარამიძე განიხილავს შალვა ნუცუბიძის დებულებას არეოპაგიტული ქრის-  
ტოლოგიის გავლენის თაობაზე „ვეფხისტყაოსანში“. პირველ რიგში, წინ წამოწე-  
ულია კეთილისა და ბოროტის საკითხი, „ღმერთი აბსოლუტური კეთილდღეობაა  
(სიკეთეა), რომლისგანაც არ წარმოიშობა ბოროტება. კეთილდღეობა მარადიულია,  
ხოლო ბოროტება დროებითი, წარმავალი და ხრწნადი“. მეცნიერს ამოუწერია შე-  
საბამისი ციტატანი არეოპაგიტკიდან: ბოროტის ბუნება „გახრწნად და წარწყმედად  
არს“, ხოლო კეთილისა – „დაბადებად და ცხოვნებად“; „ბოროტი არცა არს არს“.

არეოპაგიტული მოძღვრებით, ყველაფერი, რაც ღმერთისაგან გამოდის, კეთი-  
ლია, კეთილი ყველაფრის დასაბამია და დასასრული: „ყოველსა არსთა პირსა  
საქმისასა დასაბამად და აღსასრულად კეთილ აქუს“; „კეთილისა მიერ არიან ყო-  
ველნი შემოკრებანი და მეგობრობანი და ზიარებანი“; „კეთილისა ძალით შეიქნა  
ყოველი“; „კეთილი და სახიერი (ე. ი. ღმერთი) ერთ არს“; ბოროტება სიკეთის ნაკ-  
ლია მხოლოდ. იგი, ვითარცა დაბრკოლება, ხერგავს სიკეთის გზებს, მაგრამ მას  
მომავალი და გამარჯვება არ უწერია. გამარჯვება და მარადისობა სიკეთის ნიშა-  
ნია. რუსთაველიც ხომ სახეიმოდ ასკვნის: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება  
მისი გრძელია“; „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“; „ღმერთი  
კარგსა მოაგვინებს და ბოროტსა არ დაბადებს“.

მკვლევარი გადმოსცემს რუსთაველის ღმერთისთვის დამახასიათებელ თვისე-  
ბებს: „შემწე ყოველთა მიწიერთა“; „ნუ გეშის, ღმერთი უხვია“; „კაცსა ღმერთი არ  
გასწირავს“. მიჯნურობის დამბადებელი, „წესსა მისსა“ დამწესებელი. ა. ბარამიძის  
დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანი“ არ უარყოფს საიმქვეყნო სამყაროს არსებობას,  
პოემის გმირები ზოგჯერ ფიქრობენ საიქიო ცხოვრებაზე. თვითონ პოეტი პრო-  
ლოგში ღვთაებას სთხოვს „ცოდვათა შესუბუქებას“ იქ (საიმქვეყნო ცხოვრებაში)  
„წასატანად“. თუმცა რუსთაველმა უკუაგდო ადამიანის გრძნობების ჩამხშობი და

გონების გამყინავი საეკლესიო-ადმსარებლობითი დოქტრინა. რუსთაველის ღმერთი ადამიანობისა და სიყვარულის ღმერთია“ [1, 187].

რუსთაველოლოგი შეგვახსენებს შ. ნუცუბიძის მიერ გარკვეულ იოვანე პეტრიწის სიყვარულის თეორიას: „სდევს წადილი მეწადლისად საწადსა და მეტრფისად სატრფოსად“. მეტრფეს ადამადლებს სატრფოსადმი „ტრფიალობითი“ წადილი [2, 171]. აქედან ა. ბარამიძეს შესაძლებლად მიაჩნია პარალელის გავლება რუსთაველის დებულებასთან – „სიყვარული აგვამადლებს“.

ა. ბარამიძე „ვეფხისტყაოსანში“ ამჩნევს ბედისწერის იდეის ელემენტებს. პოემის გმირებს ზოგჯერ სწამთ ბედისწერა, თუმცა ეს რწმენა მათ არასოდეს ხდის ბედისწერის მონად. პირიქით, თხზულების პერსონაჟები ებრძვიან ბედის მკაცრ განაჩენს და იმარჯვებენ. მეცნიერი აქცენტს აკეთებს რუსთაველის საგულისხმო ფორმულაზე: „ბედი, ცდა და გამარჯვება“. პოეტს სჯერა, რომ ცდით, მოქმედებით, ბრძოლით სავსებით შესაძლებელია ბედის განაჩენის დაძლევა. რუსთაველის თვალსაზრისით, ყოველი გამარჯვების, მათ შორის, ბედისწერაზე გამარჯვების, საწინდარია აქტიური ბრძოლა [1, 188].

აქტიური ბრძოლის საკითხს ა. ბარამიძე უკავშირებს აქტიური შრომის სულისკვეთებას, რაც „ვეფხისტყაოსანში“ მკვეთრად არის აქცენტირებული: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან“; „მარგალიტი არვის მიჰხედეს უსასყიდლოდ, უვაჭრულად“; „მაშა, ღხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო“; „მაშინდაა ღხინი ამო, რა გარდიხდის კაცი ჭირსა“.

ა. ბარამიძე განიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ პანთეიზმის თეორიას. ამ თეორიის გამზიარებელნი იყვნენ შ. ნუცუბიძე, შ. ხიდაშელი, მორის ბოურა. ასახელებს პირველ რიგში შ. ხიდაშელს, რომელმაც პანთეიზმი მიიჩნია „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ჰუმანიზმის ფილოსოფიურ თეორიად. იხსენებს ინგლისელ ლიტერატურათმცოდნეს მორის ბოურას, რომლის თანახმად, რუსთაველი ძალიან ახლოსაა პანთეიზმთან [1, 188].

უფრო ვრცლად ეხება რუსთაველოლოგი შ. ნუცუბიძის გამოკვლევას, სადაც რუსთაველის მხატვრული ენის საშუალებით თანმიმდევრულად განვითარებულია პანთეისტური მატერიალიზმის თვალსაზრისი. ა. ბარამიძის ენით: „შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსნის“ პირველივე სტროფი („რომელმან შექმნა სამყარო“) პანთეისტური მატერიალიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ამ სტროფის მიხედვით, ღმერთი დგას ყველაფერში და ყველაფერი ღმერთში“. რუსთაველს აქ შეგნებულად არ დაუსახელებიაო ღმერთი.

ამაზე ა. ბარამიძე შენიშნავს, რომ პოემის პირველ სტროფში ღმერთი პირდაპირ არ არის დასახელებული, მაგრამ ნაცვაღსახელი „რომელმან“ სწორედ ყოვლის შემოქმედ ღმერთს გულისხმობს, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებული იყო ჰიმნოგრაფიაში [1, 189]. ყოვლის შემოქმედ ძალად გვევლინება რუსთაველის ღმერთი პოემის პროლოგის მეორე სტროფშიც („ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“). ყოველივეს შემქმნელი, ყოვლის შემოქმედი ღმერთის აღიარება საფუძველს აცლის რუსთაველის პანთეისტობის თეორიას, როგორც ეს ა.

ბარამიძემდე შენიშნული იყო რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში (გ. ნადირაძე, ე. ხინთიბიძე, გ. ჯიბლაძე და სხვ). ცხადია, იგივე აზრისაა ა. ბარამიძეც.

ბუნებრივია, ა. ბარამიძე გვერდს ვერ აუვლიდა პ. ინგოროყვას მიერ XX საუკუნის 20-იან წლებში წამოყენებულ რუსთაველის მანიქველობის თეორიას, რაც არაერთი რუსთველოლოგის კრიტიკული განხილვის საგანი ყოფილა. მართალია, პ. ინგოროყვამ შემდეგში შეარბილა მანიქველობის თეორია, მაგრამ არსებითად იგი არ მოუხსნია.

ა. ბარამიძე სვამს კითხვას: რა არის „ვეფხისტყაოსანში“ მანიქური? ავტორი იმეორებს რუსთველოლოგიაში მრავალჯერ ნათქვამს, რომ რუსთაველის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლხედვა დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მანიქური მოძღვრების საფუძვლებს. ა. ბარამიძე შეგვახსენებს პ. ინგოროყვას შეხედულებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იგრძნობა „ასტრალიზმის სული“, სოლარიზმი, „სუფიზმის განშტოების“ გამოძახილით, „ვეფხისტყაოსანს“ დასტყობიან ნეოპლატონიზმის ზემოქმედებაც. პოემაში ჩაქსოვილი ყოფილა პანთეისტური მსოფლგაგება. დასასრულს, პ. ინგოროყვას მოსაზრებით, რუსთაველი აღიარებს ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიურ არსს, მაგრამ საეკლესიო დოგმატებს უარყოფს. თუმცა, რუსთაველი ქრისტიანობის არსს ღებულობსო არეოპაგიტული ფილოსოფიის ასპექტში. უფრო მეტიც, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს შესაძლებლად მიაჩნიაო შეათავსოს და შეათანხმოს ქრისტიანიზმის იდეები ფილოსოფიასთან, სხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათა იდეებთან [1, 197].

სწორად შენიშნავს ა. ბარამიძე, რომ პ. ინგოროყვას ნააზრევის მიხედვით ძნელდება იმის გარკვევა, თუ რა რელიგიურ-ფილოსოფიურ მრწამსს აღიარებდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ა. ბარამიძე მოკლედ ეხება საკითხს: მანიქეიზმის კონკრეტულ ნაკვალევად „ვეფხისტყაოსანში“ პ. ინგოროყვა თვლის იმას, თითქოს პოემაში „მზე წარმოდგენილია, როგორც ღვთაება, ღვთაებრიობის მატარებელი“. „მზე არის სრულყოფილი ებანაცია ღვთაებისა და ამდენადვე არის ღმერთი“. ამასთან დაკავშირებით ა. ბარამიძე შენიშნავს: 1. ჩვენთვის გაუგებარია, ერთდროულად მზე იყოს ღვთის ემანაცია და თვითონ ღმერთიც; 2. „ვეფხისტყაოსნის“ კონცეფციით, მზე არის არა ღმერთი, არამედ „ხატი ღმრთისა“: იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად“; 3. არც ერთ განვითარებულ რელიგიას, რომელიც ბუნების ძალთა გაღმერთებას გაშორდა, მზე ღმერთად აღარ ჰყავს. რასაკვირველია, მზეს ღმერთად არც მანიქეიზმი აღიარებს. ამრიგად, რუსთაველის მანიქველობის მთავარი არგუმენტი უნდა მოიხსნას [1, 199].

ა. ბარამიძე უბრუნდება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ტაეპში მოცემული სიტყვის „მზეო“ შეცვლას „ღმერთო“-თი პ. ინგოროყვასეულ მცდელობის საკითხს. პ. ინგოროყვა მოითხოვდა აღდგენას „რუსთაველის ძველი წაკითხვისა – „აჰა, ღმერთო, გეაჯები“... რომელიც R ხელნაწერს შემოუნახავსო. ეს მას სჭირდებოდა თავისი „ვეფხისტყაოსნის“ სოლარიზმის თეორიის გასამართლებლად. ა. ბარამიძეს ეს ლაფსუსად მიაჩნია, ვინაიდან ამგვარი წაკითხვა („აჰა, ღმერთო, გეაჯები“) გვხვდება H ხელნაწერში. მისი თქმით, H ხელნაწერის ვარიანტი გადამწერის უნებლიე შეცდომის ნაყოფია.

ა. ბარამიძე ამის დასამტკიცებლად შენიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო კონტექსტიც ამას ადასტურებს. მულღაზანზარისკენ მიმავალი ავთანდილი თავის გულისწუხილს უზიარებს შვიდ მნათობს, თხოვს მათ დახმარებას. ეს მნათობებია: მზე, ზუალი, მუშთარი, მარიხი, ასპიროზი, ოტარიდი და მთვარე“. მეცნიერი იმოწმებს პოემიდან შესაბამის სტროფს:

„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან.  
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმედ მყვებიან,  
მათ გაიგონენ, რანიცა ცეცხლი უშრეტი მდებიან“.

რუსთველოლოგი განაგრძობს: „მოყვანილი ტექსტის მიხედვით, მზეს უჭირავს თავისი ბუნებრივი ადგილი, იგი პირველია მნათობთა შორის. საანალიზო ტექსტი-სათვის მზის სახე აუცილებელია, უამისოდ ამ ნაწევებს დაეკარგება თანამიმდევრულად განვითარებული მკაფიო, ნათელი აზრი, დაირღვევა ტექსტის მთელი სახეობრივი სისტემა“ [1, 200]. ამ სიტყვების ავტორი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ უარყოფითად გადასაწვევია საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ სოლარიზმის ან მზის თავისებური წარმართული კულტის შესახებაც. უცნაური იქნებოდა რუსთაველის მიზნება წარმართად. წარმართობა, ქრისტიანობასთან შედარებით, ჩამორჩენილი რელიგიაა, კაცობრიობის განვითარების შედეგად დაძლეული და უკუგდებულია.

თავისი ნარკვევის დასკვნისკენ მიმავალი ა. ბარამიძე აცხადებს, რომ რუსთაველმა უარყო ასკეტიკური მორალი, საიმქვეყნო ნეტარების მოპოვებისათვის ხორციელი სურვილების თვითნახშობა, რელიგიური ფანატიზმი და შეუწყნარებლობა, ცრუმორწმუნეობრივი სიბეცე; იმოწმებს ერთ გამონათქვამს, რომელსაც ეთანხმება: „რუსთაველმა ჩაახშო შუა საუკუნეების ბნელეთის მოციქულთა კაცთმოძულე ღრიანცელი და იმღერა მგზნებარე სიმღერა ადამიანზე, თავისუფლების, სიყვარულის და ბედნიერების მის უფლებებზე“.

#### **ლიტერატურა:**

1. ბარამიძე ა., შოთა რუსთველი, თბ., 1975.
2. ნუცუბიძე შ., „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული წყაროები, „რუსთაველის კრებული“, ტფ. 1938.

### **Tite Mosia *Aleksandre Baramidze on "The Knight in the Panther's Skin" Religion* Summary**

Academician Aleksandre Baramidze shares and develops the views on Rustaveli's Christianity established in special literature. He considers the Bible as an important literary source of "The Knight in the Panther's Skin". He repeats the evidence of a section of Rustavelologists that the genius poet does not clearly show his inclination to any religious system. However, this does not mean his indifference to the religious issue.



The scientist finds the Niko Maris theory of Rustaveli's Islam unacceptable. Also, the theory of the poet's pantheism, which belongs to Shalva Nutsubidze and Shalva Khidasheli. The Manichaeism theory of Pavle Ingorokva Rustaveli has been severely criticized. Aleksandre Baramidze brings eloquent parallels from the relevant sources to show that the author of "The Panther" was a creator brought up on Georgian Christian culture.

In Aleksandre Baramidze's essay "About Rustaveli's humanistic worldview" it is emphatically stated that Rustaveli rejected ascetic morality. Self-suppression of carnal desires for worldly happiness, religious fanaticism and intolerance, superstitious cowardice, man-hating whining. He passionately sang about man, his love, freedom, happiness.

### **Тите Мосия**

#### ***Александр Барамидзе о религии «Витязя в тигровой шкуре»***

#### **Резюме**

Академик Александр Барамидзе разделяет и развивает взгляды на христианство Руставели, сложившиеся в специальной литературе. Важным литературным источником «Витязя в тигровой шкуре» он считает Библию. Он повторяет свидетельства части руставеллологов о том, что гениальный поэт не проявляет явно своей склонности к какой-либо религиозной системе. Однако это не означает его безразличия к религиозным вопросам.

Ученый считает неприемлемой теорию Нико Мара об исламе Руставели. Также теория пантеизма поэта, принадлежащая Шалве Нуцубидзе и Шалве Хидашели. Теория манихейства Павле Ингороква также подверглась резкой критике. Александр Барамидзе приводит красноречивые параллели из соответствующих источников, чтобы показать, что автор «Витязя в тигровой шкуре» был творцом, воспитанным на грузинской христианской культуре.

В эссе Александра Барамидзе «О гуманистическом мировоззрении Руставели» решительно говорится, что Руставели отверг аскетическую мораль. Самоподавление плотских стремлений к мирскому счастью, религиозный фанатизм и нетерпимость, суеверная трусость, человеконенавистническое нытье. Он страстно пел о человеке, его любви, свободе, счастье.

**მადონა შელია**  
(საქართველო)

**ჰეტიროგენულ გამონათქვამთა  
სამანტიკური აკვივალენტობა მხატვრულ ლიტერატურაში**  
(ინგლისური და ქართული ლიტერატურული ტექსტების მასალაზე)

ფილოლოგიის იმ სფეროებს შორის, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ რომლებიც აქამდე არ დამუშავებულა სათანადოდ იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შესაბამისი ცოდნის ჩამოყალიბება სასწავლო კურსების საგნებად, დღემდე რჩება ფილოლოგიური ჰერმენევტიკა, ანუ მეცნიერება მეტყველების, ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით გაგების, შესახებ.

აღნიშნული პრობლემატიკის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენ შევარჩიეთ შესწავლისათვის, წარმოადგენს საკითხი ენისა და მეტყველების ნაწილებისა და ელემენტების მიმსგავსებისა და განსხვავების პრინციპების შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ტოლმნიშვნელოვნობის პრობლემა არ შემოისაზღვრება მეტყველებით. ყველაფერი, რაც მეტყველებაში არსებობს, ადრე თუ გვიან, პოულობს თავისთვის ადგილს ენაში. მაგრამ ამ პრობლემის კვლევისას ჩვენ მივუძღვით დასკვნამდე, რომ მისი ნაკლებად დამუშავებულობის გამო აუცილებელია სწორედ მეტყველების ნაწარმოებებიდან დავიწყოთ.

მხატვრული ლიტერატურის ენაში საოცრად მწვავედ აღიქმება ენობრივი ურთიერთობის სოციოლინგვისტური ასპექტები, ერთი და იგივე შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული სოციალური და ტერიტორიული დიალექტებით, მეტყველების ჟანრული სახესხვაობებით და სხვ. ინტელექტურ და მხატვრულ ურთიერთობას შორის არის გარკვეული კავშირები – კერძოდ, იქაც და აქაც სიტყვებს შეიძლება ახლდნენ განსაზღვრებები. მაგრამ თუკი მეცნიერულ მეტყველებაში გამონათქვამის ტოლმნიშვნელოვანი ნაწილების ურთიერთმიმართების ძალიან გავრცელებულ და მნიშვნელოვან სახესხვაობას წარმოადგენს მეცნიერული განსაზღვრება, მხატვრულ ლიტერატურაში იგი არაფრით არ შეიძლება ჩაითვალოს ტოლმნიშვნელოვნად საზღვრულთან მიმართებით. შინაარსი-განზრახვა (purport) ამ სრულიად უნიკალურ სტილში ხომ შეცვლილია ინტელექტურ ურთიერთობასთან შედარებით. მთელი მხატვრული ლიტერატურა ტრანსპონირებულია სხვა სიბრტყეში – მეტაფორები, წარმოსახვა, შემოქმედება, გრძნობათა გამოხატვა, სახეებით აზროვნება და ა.შ.

დავიწყოთ იმ მასალის განხილვით, რომელშიც განსაზღვრებათა სპეციფიკა გახსნილია სიტყვიერ-მხატვრული შემოქმედების ნაწარმოებებში. აქ გამოირჩევა სამი საკმაოდ მკვეთრად განსხვავებული შემთხვევა:

განსაზღვრება, როგორც გამოვლინება მეტყველების საკუთრივ მეტაენობრივი ფუნქციისა;

სტილისტურად თავისებური განსაზღვრება;

განსაზღვრება, როგორც საბავშვო მეტაენა, საბავშვო ლიტერატურაში ფართოდ გამოყენებული ხერხი.

პირველი ზემოთ აღნიშნული სახესხვაობიდან ფართოდაა ცნობილი და წარმოადგენს საფუძველს თვით მეტყველების „მეტაენობრივი ფუნქციის“ ცნებისათვის. მაგალითად:

"... I've heard Jeeves use the word ... pusillanimity, that's it, meaning broadly that a fellow is suffering from a pronounced case of cold feet".

(P. G. Wodehouse, "Stiff Upper Lip, Jeeves")

"In affairs of this description, madam, the first essential is to study the psychology of the individual".

"The what of the individual?"

"The psychology, madam".

"He means, the psychology", I said.

"And by psychology, Jeeves, you imply..."

"The natures and dispositions of the principals in the matter ..."

(P. G. Wodehouse, "All about Jeeves")

როგორც მასალიდან ჩანს, განსაზღვრებანი მხატვრულ ტექსტში მეცნიერული დეფინიციებისაგან პრინციპულად იმით განსხვავდებიან, რომ ისინი მიმართული არიან არა ზუსტი, მკაფიო, მეცნიერულად განზოგადებული ინფორმაციის შესატყობინებლად სპეციალური ცნების შესახებ, არამედ აშკარად იმისთვის არიან შექმნილი, რათა გარკვეული ზემოქმედება მოახდინონ მეტყველების აღმქმნელზე, გამოიწვიოს მასში გარკვეული ემოციურ-ექსპრესიულ-შემფასებლური რეაქცია. მეცნიერული განსაზღვრებანი მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების კონტექსტში წარმოგიდგებიან „მხატვრული სახეცვლილი“ ფორმით. თვით ისეთი განსაზღვრებაც კი, როგორცაა მაგალითად, "the smooth wall of the rumen (the large first stomach) lay exposed..." კონტექსტის გარეშე აღებული, სამეცნიერო ლიტერატურიდან აღებულ ნაწყვეტს ჰგავს. მიუხედავად ამისა, თუკი ეს წინადადება შეტანილია მხატვრული ნაწარმოების შემადგენლობაში, აქ მას პრინციპულად სხვა ადგილი უჭირავს, მთლიანად ახლებურადაა გააზრებული, ტრანსპონირებულია მხატვრულ მეტყველებაში.

"Flag-dipping was a form of friendly and respectable salute which consisted in bringing the flag on a stick closer to the ground, then raising it up again".

(Kurt Vonnegut, "Breakfast of Champion")

"An anchor is a forged piece of iron admirably adapted to its end. It holds the shin with its arms and throat full of sand".

(J. Conrad, "The Mirror of the Sea")

ძალიან ხშირად განსაზღვრებები მხატვრულ ლიტერატურაში, მეცნიერულისაგან განსხვავებით, წარმოადგენენ თავისებურ პარადოქსს. კავშირი გამონათქვამსა და მისთვის მინიჭებულ შინაარსს შორის გართულებულია მასში არსებული ყოველგვარი (ხშირად განზრახ მოტანილი) გადახრებით, დამატებითი კონოტაციებით, აუცილებელი მეტასემიოტიკური დატვირთვით. ესაა განსაზღვრებათა მეორე სახეობა, ანუ სტილისტურად თავისებური განსაზღვრება. მაგალითად:

"It's all due to the pancreas, they say. That's a thing that lies under your stomach like a fish under a stone".

(Monica Dickens, "The Winds of Heaven")

"Childhood is sunlight encountered later only in one's dreams".

(J. Baldwin, "The Fire Next Time")

"Games of any sort are tests of human behavior under stress".

(W. Saroyan, "The Poor and Burning Arab")

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომი არ შეიცავს „საბავშვო ლიტერატურის“ სპეციფიკური ჟანრების გამოკვლევას, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავისი კანონზომიერება გააჩნია, მაინც მიგვაჩნია, რომ ინტერესმოკლებული არ იქნება იმის ჩვენება, თუ როგორ არის გამოყენებული ეს ხერხი მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ამ სახეში:

"The atmospheric conditions have been very unfavourable lately", said Owl.

"The what?"

"It has been raining", explained Owl. "The flood-level has reached an unprecedented height".

"The who?"

"There's a lot of water about". Explained Owl.

A. Milne, Winnie-The-Pooh)

"My dear Pooh", said Owl in his superior way, "Don't you know what an Ambush is?"

"An Ambush", said Owl, "is a sort of Surprise".

A. Milne, Winnie-The-Pooh)

ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ე.წ. „ბავშვურ“, ანუ „გულუბრყვილო“ სემიოტიკას, რომელიც დამახასიათებელია კეროლის, მილნისა და სხვათა წიგნებისათვის. მაგალითად:

"That's the reason they are called lessons" the Gryphon remarked: "because they lessen from day to day".

(Lewis Carrol, "Alice in Wonderland")

"Have you seen the Mock Turtle yet?"

"No", said Alice, "I don't even know what a Mock Turtle is".

"It's the thing Mock Turtle soup is made from", said the Queen.

(Lewis Carrol, "Alice in Wonderland")

ამ წიგნების თანამედროვე მკვლევრების აზრით, წიგნში – „აღისა საოცრებათა ქვეყანაში“ მოცემული გულუბრყვილო სემიოტიკა თითქმის უტოლდება „ზოგადი სემანტიკის“ მოკლე კურსს.

განსაზღვრებები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც თავისებური გრადაცია; საეხებით სერიოზული განსაზღვრებები ლექსიკონში, განსაზღვრებანი ტექსტში – დაწყებული განსაზღვრებებიდან სამეცნიერო ტექსტში, შემდეგ მოულოდნელი განსაზღვრებანი მხატვრულ ლიტერატურაში და ბავშვური განსაზღვრებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსაზღვრებები, რომლებსაც „სერიოზული“ დეფინიციები შეიძლება ვუწოდოთ (მათ გააჩნიათ მოცემული ცნების შინაარსის ობიექტურად გახსნის რეალური უნარი), შემდეგ „მეტასემიოტიკური“, სტილისტურად თავისებური „განმარტებები“ და დასასრულ, განსაზღვრებანი საბავშვო ლიტერატურაში,

რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული ბავშვის გულუბრყვილო დამოკიდებულების გამოვლენა განსასაზღვრის სიტყვის ფორმისა და შინაარსისადმი.

მივმართოთ ქართულ მასალას:

გვანჯე აფაქიძე აღტაცებული მიუახლოვდა თარაშს. ... შემოაბრუნა: „ბედანი ჩამოჩაჩული გქონიაო“ ჩაიბუტბუტა.

„ბედანი რაღაა, ძია გვანჯე?“

„ბედანი ჩოხის ნაწილია, უკანა ბეჭიდან წელამდის“.

(კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“)

ხის ძირას, ჩრდილში, პატარა კაცი იწვა...

არ გამიგია ასე სახალხოდ ძილი მე!...

იყო ერთი ასეთი კაცი და რომ ჩაეიდა პაპუასებში, წამოწვა და დაიძინა კოტად, მაგრამ ამას რად უნდა ასეთი მოქცევა, პაპუასები ვართ ჩვენ, აღზრდილ-განათლებული ხალხი?

ვინაა ეს პაპუასები? ...

პაპუასებია ბევრი პაპუასი ერთად.

ვინ არიან, ამოდერღე, რას გვაყვედრი ცოდნას?...

ველურებია ბატონო.

(გ. დოჩანაშვილი, „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“)

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, – ველარ მოვითმინე, – თუ არ ვცდები, რესპოდენტი თქვენ ბრძანდებით და არა მე.

რესპოდენტი რა არის? – მსუბუქად დაინტერესდა.

ვისაც ეკითხებიან.

აა, და თქვენ კი გემატებათ „კო“ ოღონდ თავში – კორესპოდენტი.

(გ. დოჩანაშვილი, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“)

მამიკო რა ჰქვია მატარებლის წამყვანს? – ჰკითხა მიშიკომ მამას.

მემანქანე, – უპასუხა მამამ.

რატომ მატყუებ? მემანქანე მანქანის წამყვანს ჰქვია. მატარებლის წამყვანს მემატარებლე ერქმევა.

\*\*\*

მამა ხმამაღლა კითხულობდა ნოდარ დუმბაძის პაროდია-გამოკვლევას – „ცოტა რამ ვეფხისტყაოსნის გარშემო: „მე ის მაინტერესებს, საიდან გაჩნდა ნაბადი? ვის უნდა ვენდოთ ტარიელს თუ შოთას?“

გიორგი ეკითხება: – ნაბადი რა არის?

ნაბადი არ იცი, რა არის? უკვირს მამას.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გიორგი ამბობს: – ვიცი, ნაბადი არის ის, რაც დაიბადა.

\*\*\*

დედიკო ფუტკრები რას აკეთებენ? – ეკითხება ირმა დედას.  
თაფლს.  
ბუხები?  
ბუხები არაფერს, გაკეთებულს ჭამენ.  
რატომ, ისინი სტუმრები არიან?

\*\*\*

პატარა დათუნამ ახალ გაზეთს ცალი მხარე მოახია და მამიკო გააჯავრა. და-  
თუნას უფროსი და ანა შორიდან უცქეროდა ამ სცენას და თან თავისთვის ღიღი-  
ნებდა: „მოხვეის ქალო თინაო“... უცებ გაჩერდა, ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ  
იკითხა:

- მოხვეის ქალი რატომ ჰქვია, იმანაც გაზეთები დახია?

ტოლმნიშვნელოვნობის პრობლემის კვლევაში დიდ ინტერესს იწვევს „მეტა-  
ლინგვისტური დიალოგების“ ლიტერატურული ხერხი, განსაკუთრებით ის შემ-  
თხვევები, როდესაც კომიკური ეფექტის მიღწევის მიზნით თანამოსაუბრენი ტოლ-  
მნიშვნელოვან შინაარსს გამოსატყვევებელი მეტყველების სხვადასხვა რეგისტრებისადმი  
მიკუთვნილი გამოსატყვის ხერხებით. განსაკუთრებით ამგვარი თავისებური მეტა-  
ლინგვისტური სავარჯიშოების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ბერტისა და ჯივ-  
ზის დიალოგები პ. ჯ. ვუდჰაუსის რომანებში, მდიდარი არისტოკრატის ბერტი  
ვუსტერის მეტყველება ამუღავნებს სალაპარაკო, სლენგური გამოთქმების გამოყე-  
ნების ტენდენციას, მაშინ როდესაც მსახურ ჯივზის მეტყველება წიგნური და მა-  
ღალფარდოვანი ლექსიკითაა გადატვირთული. მაგალითად:

"... It's the above kleptomaniac".

"The what?"

"... Wilbert's a pincher".

(P. G. Wodehouse, "Jeeves in the Offing")

"It's all very well for her to say ... glibly?"

"Or airily, sir. The words are synonymous".

(P. G. Wodehouse, "Stiff Upper Lip, Jeeves")

ამ ამხრივ მეტად ტიპურია ბერტი ვუსტერის ცდაც თავისი მეგობრის დეიდას-  
თან გასაუბრებისა:

Bertie – "We were strolling along on Boat-Race Night and I advised him to pinch a  
policeman's helmet".

Miss Sipperley – "I don't understand".

Bertie – "...I thought it might cheer him up if he stepped across the street and  
collared a policeman's helmet".

(P. G. Wodehouse, "Carry on, Jeeves")

რეპლიკა – "I don't understand" გვიჩვენებს, რომ მისი მომდევნო ფრაზა მიეკ-  
უთვნება მეტყველების სწორედ იმ სახესხვაობას, რომლის საგანსაც ისევ მეტყვე-

ლება წარმოადგენს. თუმცა, "to collar a policeman's helmet" ისევე გაუგებარია მისს სიპერლისთვის, როგორც "to pinch".

Bertie – "Oliver sloshed him".

Miss Sipperley – "Sloshed him?"

Bertie – "Biffed him, smote him a blow in the stomach".

Miss Sipperley – "My nephew Oliver hit a policeman in the stomach?"

(P. G. Wodehouse, "Carry on, Jeeves")

აქ ჩვენ ვხედავთ ისეთი სიტყვების შეკავშირებას, რომელთაგან პირველ ორს (slosh და biff) ლექსიკონში აქვთ აღნიშვნა "slang", მესამე (smote) არქაიზმებს მიეკუთვნება, ხოლო უკანასკნელი (hit) – ენის ნეიტრალურ სტილს.

რა თქმა უნდა, ამგვარი დიალოგები არც თუ ყოველთვის და არც აუცილებლად არ შეიცავენ სემანტიკურად ტოლმნიშვნელოვან სიტყვებსა და გამოთქმებს. ამას გარდა, პ. გ. ვუდჰაუსი ამ შემთხვევაში სულაც არ ისახავდა მიზნად ერთი გამოთქმის ახსნას მეორის საშუალებით, შესაბამისი გამოთქმების დაპირისპირება მას, პირველ ყოვლისა, ესაჭიროება კომიკური ეფექტის შესაქმნელად. ამიტომ ეს არაა შეგნებულად განხორციელებული მეტყველების მეტაენობრივი ფუნქცია. მიუხედავად ამისა, ამ მასალას მნიშვნელობა აქვს აქ განხილული საკითხების შესწავლისათვის იმ განსაკუთრებული ინტერესის გამო, რომელსაც ვუდჰაუსი – "the performing flea of English literature" – ამჟღავნებს ენისადმი საერთოდ, მისი გატაცების გამო ქარაგმებისა და ენობრივი პარადოქსების უსაზღვრო გამომსახველობითი შესაძლებლობებით. ასე, მაგალითად, ქვემოთ მოტანილ კითხვა-პასუხში საერთოა მხოლოდ განყენებულად გააზრებული საგანი – „კინო“.

"Did you ever see film called "The Vanishing Lady" Jeeves?"

"No, sir. I rarely attend cinematographic performances".

(P. G. Wodehouse, "Carry on, Jeeves")

ეს რომ ჯივზი კი არა, ვინმე სხვა ყოფილიყო, იგი უბრალოდ იტყოდა, რომ იშვიათად დადის კინოში, ნაცვლად უჩვეულოდ პედანტური გამოთქმისა – "attend cinematographic performances" – რომელსაც წარმოათქმევენებს მას ავტორი.

ნაშრომში ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო იმის გარკვევა, თუ როდის და რა პირობებში ხდება ხოლმე მხატვრულ ლიტერატურაში არსებითი ნათქვამის გამეორება, უკვე გამოსატყული შინაარსის გადმოცემა იმავე ენის სხვა საშუალებებით.

მხატვრულ-სიტყვიერ შემოქმედებაში სიტყვების განსაზღვრება და განმარტება წარმოგვიდგება როგორც განსაკუთრებული სტილისტური ხერხი, რომელიც მოწოდებულია გაამრავალფეროვნოს მონათხრობი და ამით შემოქმედება მოახდინოს მკითხველთა წარმოსახვაზე, გაამდიდროს ტექსტი მნიშვნელობათა ამა თუ იმ დამატებითი კონტრაცეპითა და წახნაგებით, ვინაიდან მხატვრულ ტექსტში განსაზღვრებებისათვის ყოველთვისაა ნიშანდობლივი სტილისტური შეფერვა.

### **ლიტერატურა:**

1. Michael H. Short; Geoffrey N. Leech. *Style in Fiction: A Linguistic Introduction to English Fictional Prose*. Routledge. 2015.
2. Bradford R. *Stylistics*. Taylor & Francis. 2013.
3. Warner A. *A Short Guide to English Style*. Oxford University Press. 2006.
4. Greenough J.B. and Kittredge G.L. *Words and Their ways in English Speech*. New York. 1961.
5. Wodehouse P.G. *Stiff Upper Lip; All about Jeeves; Carry on Jeeves*. 1995.
6. Vonnegut K. *Breakfast of Champion*. 2000.
7. Milne A. *Winnie. The-Pooh*. 2002.
8. Lewis C. *Alice in Wonderland*, 2015.
9. გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, თბ., 1996.
10. დონანაშვილი გ., კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, თბ., 1998.

### **Madona Shelia**

#### ***On the Semantic Equivalence of Heterogeneous Expressions in Fiction (Based on the Material of English and Georgian Literary Texts)***

#### **Summary**

Sociolinguistic aspects of language relations are perceived very acutely in the language of fiction, the same thing can be expressed in different social and territorial dialects and others. There are certain similarity between the intellectual style and fiction – in particular, both there and here words can be accompanied by definitions. The content-intention (purport) in fiction is changed compared to the intellectual relationship. All fiction is transposed into another plane – metaphors, imagination, creativity, expression of feelings, etc.

Definitions can be thought of as a kind of gradation. Quite serious definitions in dictionary, definitions in text – starting with definitions in scientific text, then unexpected definitions in fiction and childish definitions. In other words, definitions that can be called "serious" definitions (they have a real ability to reveal objectively the content of a given concept), then "metasemiotic", stylistically peculiar "definitions", and finally, definitions in children's literature, which are specifically provided for the child's naïve attitude to the form and content of the target word.

### **Мадона Шелия**

#### ***Семантическая эквивалентность разнородных выражений в художественной литературе***

***(на материале литературных текстов английского и грузинского языков)***

#### **Резюме**

В языке художественной литературы очень остро воспринимаются социолингвистические аспекты языковых отношений, одно и то же может выражаться в разных социальных и территориальных диалектах и так далее. Между интеллектуальным и художественным



отношением существуют определенные связи – в частности, и там, и здесь слова могут сопровождаться определениями. В художественной литературе смысл (rapport) заменяется интеллектуальными отношениями. Вся художественная литература переносится в другую плоскость – метафоры, воображение, выражение чувств и т. д.

Определения можно рассматривать как своего рода градацию; Довольно серьезные определения в словаре, определения в тексте – начиная с определений в научном тексте, затем неожиданные определения в художественной литературе и детские определения. Иными словами, определения, которые можно назвать «серьезными» определениями (они обладают реальной способностью объективно раскрывать содержание данного понятия), затем «мета-семиотически», стилистически своеобразные «определения» и, наконец, определения в детской литературе, которые специально предусмотрены для наивного мироощущения ребенка, воздействия на форму и содержание изучаемого слова.

**Лала Ахмедова**  
(Азербайджан)

## **ПРОБЛЕМА НРАВСТВЕННОГО ВЫБОРА В РОМАНАХ ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ XX ВЕКА**

В наше сложное и противоречивое время, когда в общественном сознании происходит переосмысление многих ценностей, появляется новый взгляд на факты, события и явления прошлого, возникает насущная необходимость уже с новых позиций обозреть культурное наследие прошлого, объективно оценить достигнутое, в частности, в области художественной литературы.

Пафос разоблачения, отрицания всякого рода ложных или несправедливых социальных структур и установлений стали характерны для прозы второй половины XX века. В отличие от идеологии общества, которая в период так называемой «оттепели» то возвращалась к запретам, канонизированной доктрине «сдерживания», то вновь совершала рывок «влево», в искусстве и литературе уже дискредитировавшие себя подходы и методы вернуть назад было практически невозможно. К штампам и стереотипам сталинско-брежневских времен художественная литература уже не вернулась, начав в 1970-1980-х годах трудные поиски отображения жизни в разных направлениях. Прямолинейный разоблачительный подход постепенно сменяется в исследуемый нами период более вдумчивым, глубоким и объективным анализом исторической ситуации, попыткой дойти до корней, до истоков современных процессов, обуславливающих поведение человека и его морально-этический выбор.

Как показывает исторический опыт, переоценке ценностей подверглась, прежде всего, идеологическая и духовная сферы общественной жизни. А проблема нравственного выбора личности, по нашему убеждению, одна из стержневых, отражающая часть сферы духовной жизни и находящей художественное воплощение в ряде литературных произведений.

В статье данная проблема исследуется на материале произведений Ю. Бондарева, Ю. Самедоглу, Ч. Айтматова, Анара и других. Если рассматривать нравственный выбор как социальную категорию, раскрытие и осмысление которой невозможно без учета конкретных условий, временного фактора и той среды, в которой действуют герои, следует подчеркнуть, что философская суть указанных произведений своевременно доходила отнюдь не до каждого критика и читателя. Однако сам факт работы над животрепещущими темами, когда русский, азербайджанский и киргизский прозаики заведомо вступали в конфликт с политической конъюнктурой, чтобы сказать правду о реалиях XX века, представляется нам и сегодня актуальным для исследования и чрезвычайно показательным.

Несмотря на разноплановость и разнохарактерность избранного материала, анализируемые художественные произведения объединяют многое в тематическом отношении. Прежде всего, они наполнены актуальным нравственным содержанием: общие беды и тревога за судьбы людей недалекого будущего требуют единения всех человеческих сил. Так, подчеркивая актуальность изучения названных художественных произведений для современной литературоведческой науки, критик Владимир Куницын отметил: «Это романы-предупреждения, я бы даже сказал,

романы-угроза. Их мысль совершенно определена: люди, если вы уже сейчас, сегодня, немедленно не прекратите самоуничтожение, насилие, грехопадения, не услышите голос собственной совести и разума пресечется род ваш навеки» [8, 3].

Вступив в XXI столетие, мир окончательно убедился в приоритете общечеловеческих, духовных начал над любыми другими. И потому очевидно, что в поисках моральных ориентиров в художественной литературе проблема личности, ее нравственных исканий выдвинулась на первый план. И сегодня современно и актуально звучит высказывание Ф. Кузнецова середины 1970-х годов: «Центральной проблемой литературного развития минувшего десятилетия, равно как и главной проблемой литературных и публичных дискуссий и споров, стала проблема духовных и нравственных ценностей, духовного бытия человека и общества» [9, 221].

В прозе анализируемого нами периода человек исследуется уже не как точка механического приложения социальных сил и тенденций, но в первую очередь именно как личность, способная при всей своей детерминированности ходом истории, времени и местом, на нравственный выбор и, скажем более того, призванная самой историей к такому выбору. К примеру, находящийся под гнетом прошлого, душевно и морально искалеченный Илья Рамзин Ю. Бондарева под конец жизни также ощущает присутствие в мире высших нравственных ценностей, обретение которых порою мучительно, но всё-таки возможно.

Подобные ощущения моральной раздвоенности и неудовлетворённости высшего порядка отчасти присущи и филантропу-правдоискателю Авдию Каллистратову (Ч. Айтматов «Плаха»), и Больному (Ю. Самедоглу «День Казни»).

Важнейшая особенность прозы Ю. Бондарева, Ю. Самедоглу, Ч. Айтматова, Анара и др. – стремление выяснить, проанализировать и дать собственную оценку взаимоотношений человека со временем, пространством и природой. В последние десятилетия XX века эти извечные вопросы приобрели особую остроту и актуальность, ибо угроза самому существованию жизни на Земле стала реальностью. Социальные или экологические проблемы писатели стремятся постичь, прежде всего, как проблемы состояния души человеческой. Разрушение мира природного, разрыв привычных социальных связей оборачивается опасной деформацией морального облика человека. Скажем, то, что совершается в Моюнкумской пустыне, это срез с нашей реальности; одновременно с тем это некая модель того, что нравственные проблемы глобального, а не местного значения возникают перед людьми повсеместно.

Пласт взаимоотношений человека и среды также один из важнейших в нравственных поисках представителей азербайджанской прозы. Хоть и под другим углом зрения, но он явственно прослеживается в романе «День Казни». Стержень нравственного конфликта в том, что человеческое в человеке неистребимо. Таким он сотворен, как частица природы. Разрыв привычных связей человека со средой – это растаптывание его достоинства, и это никогда не проходит бесследно.

Юрий Бондарев ставит проблему нравственного выбора на военном и послевоенном материале. Однако жанровые и стилистические расхождения отнюдь не отдаляют русского писателя от Ю. Самедоглу и Ч. Айтматова в тематическом отношении. Ведь принципиальные цели и задачи совпадают. Попытка проследить, как они реализовываются с точки зрения интересующей нас проблемы, позволяет

утверждать следующее: Юрия Бондарева, прежде всего, волнуют не подробности военных событий, не их детализация, а суть, правда пережитого, достоверность психологии личности, нравственно-этические последствия сделанного выбора.

Нам представляется, что особо актуальное значение приобретает исследование своеобразия авторского повествования намеренный отказ от широкого, панорамно-объемного описания событий и, напротив, художественное изображение микросреды, которая позволяет реальнее сформировать черты характера человека, глубже проанализировать внутреннее состояние личности, оказавшейся перед нравственной дилеммой в экстремальной ситуации.

Попытка основательно разобраться в закономерностях движения даже одного жанра (в нашем случае роман) всегда сопряжена с трудностями. Ведь национальные литературы более полувека развивались, образно выражаясь, под единой «крышей» общего дома, а идеология советского общества накладывала на художественную литературу неизгладимый отпечаток. Русская, азербайджанская и киргизская литературы шли своим путем, имели свою неповторимую национальную специфику, особенности, художественную преемственность. В национальных литературах находили отражение разнообразные жизненные уклады, реалии, нравы и традиции. Тем не менее, русскую, азербайджанскую и киргизскую литературы исследуемого нами периода объединяли целый ряд идеологических и нравственно-этических проблем внутри единого государства. Отсюда, на наш взгляд, общность исканий, нравственных поступков литературных героев, большей частью не вымышленных, а выхваченных из действительности и «переплавленных» через творческое «я» писателей.

Следует отметить, что проблема нравственно-этического выбора, показанная в русской, азербайджанской или инонациональной литературе на примере наиболее ярких, приметных персонажей, уже становилась предметом пристального наблюдения, критического исследования острых дискуссий в монографиях и на страницах журналов. Однако избранная нами тема, думается, «выгодно» отличается тем, что широкоизвестные романы Юрия Бондарева, Юсифа Самедоглу, Чингиза Айтматова и Анара под таким углом зрения сквозь призму нравственных поисков, сравнений и сопоставлений моральных проблем в художественных произведениях еще не становилась предметом специального исследования.

Основная цель статьи состоит в исследовании литературного процесса второй половины XX века, анализе творчества наиболее видных представителей русской, азербайджанской и киргизской прозы (романистики). Причем, художественные произведения этих писателей проанализированы нами с точки зрения нравственно-эстетических поисков героев в контексте общесоюзной литературы, а также новых веяний и прогрессивных тенденций в прозе означенного периода. В контексте анализа проблемы нравственного выбора мы считаем необходимым дать наиболее общее представление о сущности романов «предостережение» XX века, обстоятельно показав при этом решающую роль среды и окружения в формировании нравственных принципов и духовного мира современного человека.

В нашу задачу также входит показ идейного родства морально-эстетических позиций русского, азербайджанского и киргизского писателей, обусловленный кон-

кретными социально-историческими условиями их деятельности, своеобразием народных традиций.

На наш взгляд, если внимательно проследить идейные связи, к примеру, Ю. Бондарева, Ю. Самедоглу, Ч. Айтматова и Анара под углом зрения переклички тем, проблем и мотивов этих бесспорно выдающихся мастеров пера, то можно с успехом выявить общие «точки соприкосновения», немало типологических параллелей в постановке и разрешении нравственной проблематики. Прозаики, творчество которых в поле нашего зрения, настолько ярки, неповторимы и самобытны, что нравственные идеи, высказанные ими, не укладываются в «прокрустово ложе» строго официального, трафаретного критического подхода.

Каждая из национальных литератур наделена комплексом специфических отличий от литератур других народов. Соответственно тому можно утверждать, что и формы поведения людей каждая нация трактует в связи с национальными, идеологическими, географическими, культурными и иными специфическими факторами исторического пути своего народа. Однако широкая палитра художественно-образовательных средств в современной литературе опирается не только на национальное своеобразие, но и на единое идейно-методологическое основание. Таким основанием мы считаем трезвый реалистический анализ действительности, представляющий собой органический сплав создаваемых и утверждаемых прогрессивными писателями духовно-нравственных ценностей.

Человек и Время, Пространство и Природа, Общество и Среда – эти извечно волнующие нас и в XXI столетии проблемы находятся в центре внимания Юрия Бондарева, Юсифа Самедоглу, Чингиза Айтматова, Анара и др. Также передовых писателей беспокоит боль за поруганное человеческое достоинство, которая стала причиной того, что моральные формы поведения людей, бытующие в их родном обществе, подвергаются ими объективной нравственной оценке.

В то же время нельзя не подчеркнуть подлинно национального своеобразия писателей, чье творчество подвергнуто литературно-критическому анализу в монографии. Военный и послевоенный материал определяет круг интересов русского писателя; тема войны входит в кровь и плоть Юрия Бондарева. Проблема «выбора» ставится и разрабатывается в самом глубоком смысле этого слова, когда человек ищет свое место в жизни во время войны и после нее, определяет свою «линию» поведения относительно самого себя и окружающих.

Новаторский композиционный подход – повествование, заключённое в трёх временных пластах, облекается Юсифом Самедоглу в символическую форму с многочисленным использованием местных реалий, национального колорита. Моральный облик человека напрямую связывается с его делами и предназначением на земле.

Суровая реальность наших дней – наркомания, бандитизм, долгие годы замалчиваемые конъюнктурным советским обществом, получили у Ч. Айтматова яркое и достоверное воплощение в искусстве.

Анализ общности и своеобразия таких масштабных по своей общечеловеческой проблематике художественных произведений, как «Выбор» Ю. Бондарева, «День казни» Ю. Самедоглу и «Плаха» Ч. Айтматова, также органически входит в задачу исследования.

В статье уделяется особое внимание анализу означенных художественных произведений современных представителей русской, азербайджанской и киргизской прозы, которые ставят, трактуют извечные по своей сути вопросы нравственной ответственности человека перед другими людьми и, шире, обществом, морального долга перед своим временем и будущим, а также межличностных нравственных отношений. По нашему представлению, этические вопросы, поднятые Юрием Бондаревым, Юсифом Самедоглу, Чингизом Айтматовым, Анаром и др. по сути своей явились новаторскими, так как под давлением официальной бюрократической идеологии они в художественной литературе бывшего Советского Союза никогда так остро и своевременно не ставились.

### **Литერатура:**

1. Бондарев Ю., Выбор. Роман. Собр. соч. в VI-ти тт., Т. У. М., Художественная литература, 1986.
2. Козьмин М. К., Познание героя. Литературная Россия, 1981, 2 янв.
3. Асадуллаев С. Г., Русская классика и азербайджанская литература. Баку, Ганун, 1988.
4. Андреев Ю. А., Советская литература. М., Просвещение, 1988.
5. Жуков И. И., Испытание жизнью. Комсомольская правда, 1981, 13 дек.
6. Михайлов А. К., Роковой выбор. Литературная учеба, 1981, №5.
7. Гулиев Г. М., Азербайджанская литература. Очерк развития. Баку, Издательско-полиграфическое объединение «Азербайджанская энциклопедия», 1997.
8. Куницын В., «...И поднимается ветер». Литературная газета, 1987, 25 марта, №13.
9. Кузнецов Ф. Ф., Гуманистическая проза века. Новый мир, 1976, №2.
10. Самедоглу Ю., День казни. Роман. Баку, Язычы, 1987.

### **ღალა ახმედოვა**

#### **მორალური არჩევანის პრობლემა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის რომანებში რეზიუმე**

სტატიაში ყურადღება ეთმობა რუსული, აზერბაიჯანული და ყირგიზული პროზის წარმომადგენლების იმ მხატვრული ნაწარმოებების ანალიზს, რომლებშიც აქცენტი გაკეთებულია მარადიულ კითხვებზე პიროვნების მორალური პასუხისმგებლობის შესახებ სხვა ადამიანისა და საზოგადოების წინაშე; მორალურ მოვალეობაზე თანამედროვეობისა და მომავლის მიმართ, ასევე – ინტერპერსონალურ მორალურ ურთიერთობებზე. იური ბონდარევის, იუსიფ სამედოღლუს, ჩინგიზ აიტმატოვის, ანარისა და სხვების მიერ წამოჭრილი ეთიკური საკითხები, არსებითად, ინოვაციური იყო, რადგან ოფიციალური ბიუროკრატიული იდეოლოგიის ზეწოლის ქვეშ, ისინი არასოდეს ყოფილა ასე მწვავე და დროულად წამოჭრილი ყოფილი საბჭოთა კავშირის მხატვრულ ლიტერატურაში.

**Lala Akhmedova**

***The Problem of Moral Choice in Novels of the Second Half of the Twentieth Century***

**Summary**

The article pays special attention to the analysis of the indicated artistic works of modern representatives of Russian, Azerbaijani and Kyrgyz prose, which pose and interpret the inherently eternal questions of a person's moral responsibility to other people and, more broadly, to society, moral duty to one's time and future, as well as interpersonal moral relations. In our opinion, the ethical issues raised by Yuri Bondarev, Yusif Samedoglu, Chingiz Aitmatov, Anar and others were essentially innovative, since under the pressure of official bureaucratic ideology they were never raised so acutely and timely in the fiction of the former Soviet Union.

კობა წურწუშია  
(საქართველო)

პოსტმოდერნისტული ტრავმა ჯონ ფაულზის  
რომანში „კოლექციონერი“

„კოლექციონერი“ ("The Collector", 1963) პოლიმორფული ტექსტია, სადაც მწერალი თხრობის განსაკუთრებულ მეთოდს მიმართავს. რომანში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსონაჟთა ფსიქოლოგიას, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას, შინაგან მონოლოგს. ტექსტში ეპისტოლარული ჟანრის ნარატივებიც გამოკვეთილია. ხშირია ფემინისტური მღელვარება. ტექსტში ნაჩვენებია პოსტმოდერნისტული კრიზისი, ძველი და ახალი ეპოქის დაპირისპირება. ამავე დროს, ეს არის რომან-გროტესკი ვიქტორიანულ ეპოქაზე. მასში დისტოპიური ჟანრის რომანის ჩანასახიცაა. იქნება ანტიუტოპიური რომანია თავისი ქვეტექსტებით! ფაულზის რომანის მნიშვნელობა პრობლემის ახლებურად დასმაში ვლინდება. მწერალი არ ცდილობს მარადიული თემები გადაჭრას, ან ახალი გამოსავალი გვიჩვენოს. მან ძველი თემები ახლებურად შეავსო და მოიტანა ჩვენამდე.

„კოლექციონერი“ ჯონ ფაულზის (John Robert Fowles 1926-2005) პირველი რომანია. ცხადია, მწერალმა საინტერესო სიუჟეტს მიაგნო, მაგრამ ეს სიუჟეტი ნაცადი და კულტივირებულია. თითქოს, ნაცნობია ტექსტის ქსოვილი. მასში სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის გამოცდილებამ მოიყარა თავი. ეს არაა ჰომეროსის სტილი – კლასიკური, ეს პოსტმოდერნისტული სტილია, თავდაყირა მეტაფორებით. ამ სახის მხატვრულ ტექსტებში ხშირია მითოსური კვალი; რეტროსპექტული თხრობა, ძველი სიუჟეტების რეკონსტრუქცია.

ჯონ ფაულზმა ახლებურად გახსნა კვანძი. ამ საკრალურ ტექსტში მკითხველი შეიგრძნობს წარსული და თანამედროვე ცხოვრების პლასტებს, დიფერენციაციას, ტრადიციების რღვევას. ტექსტში ვერსად ნახავთ უსამართლობასთან ასოცირებულ პერსონაჟებს, არც პროტაგონისტებს და არც ანტაგონისტებს (ზოგადად ტექსტი პერსონაჟთა სიმცირით გამოირჩევა). აქ ვეცნობით მხოლოდ ქალისა და კაცის „შინაგან მონოლოგს“, მათ სუბიექტურ სურვილებს, განცდებს, განსხვავებულ მისწრაფებებს, არგუმენტებსა და კონტრარგუმენტებს. რომანში ორი პიროვნების მსგავსება-არამსგავსებაზე კი არა – შეუთავსებლობაზეა საუბარი, რომელიც ტრაგიკულად სრულდება. იქნებ ეს ყველაფერი – გაუზიარებელი სიყვარულის ჩათვლით – პარანოიაა, ფსიქიკური დარღვევებია. მთელი რომანის მანძილზე მწერალი ორი პიროვნების ტიპოლოგიურ განსხვავებაზე გვესაუბრება.

ტექსტიდან ჩანს, რომ დარღვეულია პარიტეტი ქალსა და კაცს შორის. უძველესი ტრადიციების თანახმად, ქალისა და კაცის შეუღლება საკრალურ ქორწინებად მოიაზრებოდა. საქორწინო რიტუალი, მეტაფორულად, ცისა და მიწის კავშირს აღნიშნავდა: „საქორწინო რიტუალებს თავიანთი ღვთაებრივი მოდელი გააჩნიათ; ადამიანთა დაქორწინება ჰიეროგრაფიის განსახიერებაა, სახელდობრ ეს არის ცისა და მიწის კავშირი, მე – ცა, – წარმოსთქვამს ქმარი, და შენ – მიწა... ქმარი და ცოლი ცასთან და მიწასთან არიან გათანაბრებული“ [1, 45]. ასევე ძველი ტრა-



დიციების თანახმად, საქორწილო რიტუალი „მეფისა და ქალღმერთის ურთიერთკავშირის იმიტაციაა... ყოველი საკრალური ქორწინების განმეორებისას სამყაროს განახლება ხდება“ [1, 47].

კაცისთვის ქალი არის მარადიული მეუღლე, ისევე როგორც ქალისთვის – კაცი, მაგრამ ეს კავშირი ჯონ ფაულზთან დარღვეულია, რადგან მუდმივად კრიზისი და განხეთქილებაა ქალსა და კაცს შორის. საქორწილო იმიტაციის რღვევას გარდაუვალი ტრაგედია მოსდევს. იქნებ, ყოველივე ეს სქესთა შორის უაზრო ბრძოლაა. დღეს უამრავი „ადამი და ევა“ ცხოვრობს ერთად, მაგრამ ფაულზთან ამ ორი „არქეტიპის“ დამაკავშირებელი ძაფები არ არსებობს, იმიტომ, რომ მათ შორის ძლიერი სოციალური სტერეოტიპებია, რომელთა დაძლევაზე ისინი არც კი ფიქრობენ: „კლასობრივი ბარიერი ჩვენს შორის ყოველთვის არსებობდა“, – არაერთ-გზის მეორდება რომანში.

ჯონ ფაულზის რომანი მითოსურ სქემაზეა აგებული. მითოსური სქემების პარალელურად ტექსტში არაერთი ბიბლიური კონტექსტია (ბადი, ვაშლის ხე, ძველი სახლი), რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ მიდგომასა და ინტერპეტაციას. რომანის პერსონაჟებს ჰყავთ თავიანთი მითოსური არქეტიპები. კლევისა და მირანდას ცხოვრება მითს ემსგავსება. ჯონ ფაულზმა შეძლო თავისი პერსონაჟების „გამითება“, მითოსური არქეტიპების რეკონსტრუქცია. მწერალი შთამბეჭდავ არქეტიპებს სთხზავს და ასე უახლოვდება მითის მარადიულ პირველსახეს (ელიადე). მითის „პირველსახე“ დაჰყვება მირანდას, მითის „ბნელი სფერო“ გამოკვეთილია კლეგში.

ფრედერიკ კლეგი ანდროგენული არსებაა! „აბსოლუტურად უსქესო“. ის ანდროგენული მიდრეკილებებისაგან თავისუფალი არაა. მირანდა აკუმია, ქმრისგან გაუხრწნელი მესამე სქესი. ის თავის მეორე ნახევარს დაეძებს. თავისთავად კლეგიც. პლატონი „ნადიმში“ დაწვრილებით გვესაუბრება იმაზე, თუ როგორ გაჰყო ზევსმა პირველი ცოცხალი არსება ანდროგენი: „უწინ ჩვენ ერთ მთლიან ინდივიდუმს წარმოვადგენდით... და როცა შუა გაკვეთილი აღმოჩნდა კაცის სხეული, თითოეულმა ნახევარმა, მეორის წყურვილით გახელებულმა, ძებნა დაუწყო თავის ტყუპისცალს“. „კაცთა მოდგმა ბედნიერი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული ჩვენთაგანი თავის სფეროს იპოვის“, – წერდა პლატონი [6, 35-38]. პლატონის აზრით, უმაღლესი ბედნიერებაა ჰპოვო შენი გულისწორი. ეროსი მათკენ მიგვიძღვის, ვინც ბუნებით გვენათესავება. კლევისა და მირანდას სულიერი ძაფები გაწყვეტილია. ისინი მონათესავე სულები არ არიან. მათ შორის ძლიერი სულიერი და ფიზიკური ლტოლვა არ არსებობს. ამიტომაც მუდმივად განხეთქილებაა მათ შორის. ისინი მთელი რომანის მანძილზე დაკარგული სულიერი საწყისების ძიებაში არიან.

მირანდა გრეი „აფროდიტე ანადიომენეა“ ("Aphrodite Anadyomene"). მას სხვა მითოსური არქეტიპებიც შეესაბამება. ის ერთდროულად არის ამორძალი, კალიფსო, პენელოპა, ევა, ვენერა, ელენა, რეა, ჰეტერა. მირანდაში ერთდროულად რამდენიმე ჰიპოსტასია გაერთიანებული. მასში არის ცოლის არქეტიპი, მაგრამ ცოლის არქეტიპი მასში წაშლილია, ისევე როგორც კლეგში – ქმრის.

იქნებ, მირანდას არქეტიპი მშვენიერი ფსიქეა, რომელიც დაეძებს თავის მარადიულ სატრფოს – ეროსს. იქნებ, ფრედერიკ კლეგი „ჭაბუკი ღმერთი“ იყო და ეშმაკმა ქალი საცდუნებლად მოუვლინა. იქნებ, მირანდა „ჰეტერა ესმერალდაა“ ("Hetaera Esmeralda"), რომელიც განგებამ ფრედერიკ კლეგს მოუვლინა. სწორედ ჰეტერა ესმერალდასთან „ქორწინების“ შემდეგ ფრედერიკ კლეგი, როგორც პიროვნება, იღუპება (თომას მანის გმირი ადრიან ლევერკიუნი „ლოქტორ ფაუსტუსში“ „ჰეტერა ესმერალდას“ მსხვერპლი ხდება). ბუნებრივია, ეს სიუჟეტური არქეტიპები ფიქრისაკენ გვეწევა.

იქნებ, მირანდა ითაკის დედოფალი პენელოპეა, რომელიც მიწისქვეშა აკლდამაში უიმედოდ ქსოვდა (მირანდა სარდაფში ხატავს და ქსოვს). იქნებ, ღამით არღვევდა კიდეც და მოუთმენლად ელოდებოდა „შორეულ სატრფოს“ ("Princesse Lointaine").

მირანდა გრეი ფრედერიკ კლეგს სარდაფში საკრალურ ზღაპარს უკითხავს მოჯადოებულ ურჩხულსა და პრინცესაზე (ურჩხული კლეგია; პრინცესა – მირანდა). ეს არქეტიპული კონსტრუქცია გასდევს მთელ ტექსტს. იქნებ, ჯონ ფაულზის პერსონაჟების არქეტიპები შექსპირის პერსონაჟები – მირანდა და კანიბალია (პიესიდან „ქარიშხალი“). დატყვევებული მირანდა სარდაფში შექსპირის პიესას უღრმავდება და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფრედერიკ კლეგი კანიბალია.

სარდაფი – მითოლოგიური ლაბირინთია! იქნებ, კლეგის არქეტიპი დედალოსია. მან ხომ დედალოსის მსგავსად საგანგებოდ „ააშენა“ ლაბირინთი – სარდაფი. იქნებ, ამ ლაბირინთ-სარდაფის მეპატრონე ფრედერიკ კლეგი მინოტავრია! ვინც მოხვდებოდა ლაბირინთში, ვერასოდეს იხილავდა მზის სინათლეს. მხოლოდ დედალოსმა იცოდა ლაბირინთიდან თავის დაღწევის საიდუმლოება, ისევე როგორც კლეგმა – სარდაფის. ლაბირინთი დახლართულ და გაკვანძულ მდგომარეობას აღნიშნავს. მირანდამ თავი ვერ დააღწია სარდაფს, შესაბამისად, დღის სინათლეს ვერ იხილა.

სარდაფი მიწისქვეშა ჰადესია. ტექსტიდან ირკვევა, რომ ადრე აქ სამლოცველო ყოფილა განთავსებული. რწმენა დაკარგული მირანდა უბრუნდება სულიერ საწყისებს. ბოლოს ის იწყებს მზადებას სიკვდილისთვის. მას ეწყება ხილვები და მის ხილვებში მზის მეტაფორა შემოდის. მიწიდან მისი სული ზეცისკენ მიემართება. სიკვდილით მან განახლება უნდა განიცადოს. ის უბრუნდება წინაპართა სამლოცველოს, პირველსაწყისს. მას თანატოსი მიაცილებს ჰადესში, სადაც მას მოელის გარდასახვა.

იქნებ, ეს ყველაფერი ალყაშემორტყმულ ქალაქში ხდება, იქნებ, ჟამიანობაა და კლეგი და მირანდა „დეკამერონის“ პერსონაჟები არიან ერთ ოთახში გამოკეტილები და დროდადრო ერთმანეთს საკრალურ ნოველებს უკითხავენ. იქნებ, კლეგი და მირანდა „ათას ერთი ღამის“ პერსონაჟები არიან და ვერც კი აცნობიერებენ. იქნებ, უდაბნოში დაკარგულები არიან და ცდილობენ, იპოვონ არა მხოლოდ ერთმანეთი, არამედ ოაზისი, სადაც ერთად ბედნიერად იცხოვრებენ. მთლად მართებული არ უნდა იყოს მირანდასა და კლეგის ურთიერთობის დანტესა და ბეატრიჩეს სიყვარულთან შედარება. დანტე არა ხორციელ, არამედ ზეციურ მშვენებას

ეტრფოდა (დანტემ ზეციური სახე გამოძერწა). ფრედერიკ კლეგი კი საშუალო ბურჟუაზიული ოჯახიდან გამოსულ გოგოს ეტრფოდა.

ტექსტიდან ჩანს, რომ ქალი საკრალური ბუნებისაა, კაცი – სტიგმატიზირებული პერსონაა. მირანდა, თითქოსდა, „სრულყოფილი“ არსებაა, კლეგი – უსრული. სწორედ ამ განსხვავებულობის შედეგად ამ ორი მოღუსის – ქალისა და კაცის – გაერთიანება, შერწყმა, გამთლიანება წარმოუდგენელია. ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები თვლიდნენ, რომ ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია არა აზროვნების ინტენსიური ზრდა, არამედ – სიღრმე. აზროვნების სიღრმის ნაკლოვანებას განიცდიან ჯონ ფაულზის პერსონაჟები და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ისინი ჩიხური მდგომარეობიდან ვერ გამოდიან.

რომანის ექსპოზიციაში ნათლად ჩანს, რომ ფრედერიკ კლეგი მაგიურ ლაბირინთში ტრიალებს. ის ცხოვრების ნაკადიდან ამოვარდნილი „უთვისებო“ კაცია. მისი პერვერსია დარღვეულია. ტრანსცენდენტურია მთელი მისი ცხოვრება. ტრანსცენდენტურია მისი სიყვარული მირანდასადმი. ამავე დროს, ფრედერიკ კლეგი „დერომატიზირებული“ პერსონაა, უკიდურესად აბსტრაქტული.

ფრედერიკ კლეგი „უხერხემლო“ არსებაა! (ენტომოლოგიაც უხერხემლო მწერების შესწავლას გულისხმობს). ის მწერივით მარტოა უზარმაზარ კოსმიურ სამყაროში. ამავე დროს, აჯანყებული და განცალკავებული პიროვნებაა. ის, გარკვეული თვალსაზრისით, ანტაგონისტიცაა! მისი ქცევები – ბრუტალური. ის ზოგჯერ გამოდის „თამაშიდან“ და კანიბალს ემსგავსება (ეს სახელი მას მირანდამ შეარქვა). მას გარემო უჩენს სურვილს გაექცეს რეალობას – ქალაქგარეთ სახლის შექენაც ამას მოწმობს. მისი დისკურსიდან ჩანს, რომ რწმენადაკარგული პიროვნებაა და კაფკას პერსონაჟივით აღიქვამს საკუთარ თავს: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მხოლოდ მწერები ვართ, ვცხოვრობთ რაღაც დროის განმავლობაში, შემდეგ ვკვდებით, და ეს არის სულ. არ არსებობს არავითარი გულმოდგინება, არ არსებობს საიქიო. არაფერი არ არ არსებობს“ [7, 35]. აქ უნებლიედ მწერად გადაქცეული ზამზა გვახსენდება („მეტამორფოზა“). ფრედერიკ კლეგი მთელი რომანის მანძილზე სამყაროს დისჰარმონიაზე გვესაუბრება.

ამავე დროს, კლეგი საზოგადოებისაგან „შერისხული“ პერსონაა, ამიტომაც გაექცევა რეალობას, კლერკის მოსაწყენ სამუშაოსა და აბეზარ თანამშრომლებს. მასში არის ბევრი რაღაც, რაც „დაფარულია“ და ზედაპირზე არ ჩანს. მას არ აკმაყოფილებს ის გარემო, რომელშიაც ბედმა „მოამწყვდია“. მას მეტი უნდა. თითქოს, შემეცნებისაკენ მიიღტვის, მაგრამ მას ხელს არ უწყობს არც ოჯახი და არც საზოგადოება. მას ერთი რამ დარჩა – თვითონ უნდა შექმნას, ან გამოიგონოს ახალი რეალობა. ის არჩევანს „ჩაკეტილ“, „იზოლირებულ“ გარემოზე აკათებს. ამით ის ცდილობს დემორალიზირებულ გარემოსა და საზოგადოებას გაექცეს.

როგორ ყალიბდებოდა ფრედერიკ კლეგი? როგორი იყო მისი სიყმაწვილე და სიჭაბუკე, რა ბარიერების გადალახვა უწევდა ცხოვრებაში? გავიხსენოთ მისი ოჯახური დრამა. ტექსტიდან ჩანს, რომ ფრედერიკ კლეგს ყმაწვილობიდანვე ეწყება ეგზისტენციალური კრიზისი. თითქოს, მოტივირებულია მისი რეაქციები. ეს პოსტრავმული სინდრომია, რომელიც მას ბავშვობიდანვე ეწყება.

ფრედერიკ კლეგი ბუდედანგრეული ახალგაზრდაა. დედამ პატარა ასაკში მი-  
ატოვა. მამა – ავტოკატასტროფაში იღუპება. ის ნათესაეებს შეხიზნული უსახლკა-  
რო კაცია. მთელი რომანის მანძილზე ფრედერიკ კლეგი ვერ გამოდის პოსტრავმი-  
ული მეხსიერებიდან. ცხადია, კლეგს ყმაწვილობიდანვე ეწყება სომატური აშლილო-  
ბა. ის ძლიერ ტრავმირებულია და საღად აზროვნება უჭირს. მას მუდმივად აკლდა  
სიყვარული, თანასწორობისა და თავისუფლების განცდა, ოჯახური იდილია. მას  
არასოდეს ჰყოლია მზრუნველი მშობლები, ამიტომაც დესტრუქციულადაა განწყო-  
ბილი გარემოს მიმართ. ეს სიმპტომური აშლილობა მასში დღითიდღე ღრმავდება.

ფრედერიკ კლეგი პეპლების კოლექციონერია. ამ მიმართულებით მას საბაზი-  
სო ცოდნა აქვს. იცის პეპლებზე ყველაფერი. ტექსტში თხრობა პირველ პირში  
ხდება და ტექსტის ექსპოზიციიაში მთავარი გმირი გვანდობს: „ენტომოლოგი ვარ.  
პეპლების კოლექციონერი“. მან არ იცის ყველაზე მთავარი – სიყვარულის მართვა.  
მირანდა მისთვის მხოლოდ ქალი როდია. ის მასში დედას, ახლობელს, იჯახის  
სიმბოლოს ხედავს. სიყვარული გაშვებასაც გულისხმობს! მაგრამ ეს კლეგს არ შე-  
უძლია. ის გულახდილია ქალის მიმართ და მკითხველი აცნობიერებს, თუ რა მძი-  
მე სულიერ მდგომარეობაშია: „თქვენ არც კი იცით ვინ ხართ ჩემთვის. თქვენ ყვე-  
ლაფერი ხართ. მე აღარაფერი დამჩნება, თუ თქვენ წახვალთ“. ამ ყველაფრის შემ-  
დეგ რჩება ილუზიური რეალობა, რომელსაც ფრედერიკ კლეგი ებღაუჭება.

იქნებ, მირანდა პატივმოყვარეობამ დაღუპა! ისიც სოციალური სტერეოტიპები-  
სა და კლიშეების მსხვერპლია! მისი შეყვარებული, უთუოდ, ხელოვანი ან პრესტი-  
ჟული სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებული უნდა იყოს. კლეგი კი „უმრავლე-  
სობას“ – „რუს მასას“ განეკუთვნება და ამიტომაც ბუნებრივია, ვერ შეძლო მისი  
ვერც გაგება და ვერც შეყვარება. იქნებ, „თამაშს“ და „აღმოსავლელი მონის“ რო-  
ლის შესრულებას აჯობებდა ოდნავ მაინც სხვა თვალთ შეეხედა ფსიქიკურად  
ტრავმირებული ფრედერიკ კლეგისთვის? იქნებ, მოეტყუებინა, რომ უყვარს – სარ-  
დაფიდან თავის დასაღწევად, მაგრამ მირანდა თავის პრინციპებს არ დალატობს.

იქნებ, საერთოდაც, უმჯობესია ზიგმუნდ ფროიდის თეორიების მოშველიებით  
განვიხილოთ ფრედერიკ კლეგის პერსონა. ტექსტიდან ჩანს, რომ ფრედერიკ კლეგი  
„ფსიქიკური იმპოტენციითაა“ სნეული. მისი მამაკაცური პოტენციალი შესუსტებუ-  
ლია. ამ „დარღვევებზე“ ის შიგადაშიგ გვიყვება თავის დისკურსში. მეტიც, მას მა-  
მიდას ოჯახში უყალიბდება „ასკეტური“ ცხოვრებისადმი მიდრეკილება, მაგრამ ის  
იწყებს თანდათან „გამოღვიძებას“ (იქნის პორნოგრაფიულ ჟურნალებსა და წიგ-  
ნებს). ის მთელი რომანის მანძილზე სექსუალური ლტოლვის უუნარობას ამჟღავ-  
ნებს.

ფრედერიკ კლეგი შეპყრობილია სიყვარულის დაკარგვის შიშით, ამიტომაც  
მირანდას მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. მთელი რომანის მან-  
ჯილზე ის მასთან შერწყმას ცდილობს. მას „ორმაგი დედისგან“ გაქცევა უჭირს.  
ამავე დროს, კლეგი ნარცისული ტიპის პერსონაა. უყვარს კოხტად ჩაცმა, რაც მი-  
რანდას აღიზიანებს. კლეგი „ნარცისულ-აკვიატებილი“ ტიპია. როგორც ფროიდი  
აღნიშნავს, ეს არაა „აბსოლუტური ნორმა“. ამავე დროს, კლეგი „ოიდიპოსური  
კომპლექსებითაც“ დაავადებულია. ეს გულისხმობს იმას, რომ მას სურს სამუდა-

მოდ ბავშვად დარჩენა. „დედის მუცელში დაბრუნება“ [10, 39]. „ოიდიპოსის კომპლექსი“, როგორც ფროიდი აღნიშნავს, ადრეული ბავშვობის პერიოდის არაცნობიერი ლტოლვებია. ამით არის განპირობებული კლევის განსაკუთრებული დამოკიდებულება მირანდასადმი. მირანდა თავისი ქცევებით (დაცინვა, ქილიკი) კლეგში ახდენს ამ კომპლექსების განდევნას. კლეგი, თითქოს, თავს აღწევს „ოიდიპოსის კომპლექსებს“ და თანდათანობით „სრულყოფილი“ ხდება, მაგრამ არა ბოლომდე. კლევისთვის მირანდა „ორმაგი დედაა“. ასეთი „მიჯაჭულობა“, ცხადია, მის ბუნებრივ განვითარებას აფერხებს. მირანდას დღიურების გაცნობის შემდეგ კლეგი ნაწილობრივ აცნობიერებს, რომ დედასთან „მიჯაჭულობა“ უნდა შეწყდეს, მაგრამ ის ხელახლა იწყებს ძიებას და ჩნდება „ახალი დედა“. ამდენად, მირანდაში „ორმაგი დედის“ პარადიგმა გამოკვეთილია.

კლეგი ტედი ბიჭი არაა, მაგრამ ეს არ ამართლებს მას! ის არც მოძალადე, არც კრიმინალი და არც მოარშიყე მამაკაცია (მასში ვერსად ვნახავთ ღონეუანურ ქცევებს). მართალია, კლეგმა დიდი სულიერი ტანჯვა გამოიარა, მაგრამ ეს არ აღწევს უფლებას რჩეული ქალი გამოკეტილი ჰყავდეს. შესაბამისად, სამართალდარღვევა იკვეთება კლევის ქმედებაში.

ფრედერიკ კლეგმა მირანდას როდესაც თავის ძირითად საქმიანობაზე – კოლექციონერობაზე უამბო, დასძინა: „ადამიანებს, რომლებსაც ბუნება აინტერესებთ, ყოველთვის კარგები არიან“. მირანდამ ოდნავაც ვერ შეძლო მის სამყაროში შესვლა, დასცინა: „თქვენი მეგობრები არ დაგცინოდნენ? არ ფიქრობდნენ, რომ ეს ბავშვური გართობაა“. ცხადია, ყველა ხელოვანი, თუნდაც მხატვარი ვერ იქნება. არც ეს არგუმენტებია მირანდას მხრიდან მთლად მყარი: „სიტყვები ისეთი უსახურია, არაზუსტი, საშინლად პრიმიტიული ხატვასთან, ფერწერასთან, სკულპტურასთან შედარებით“ (7,179).

სიტყვის ლოგოსურ მნიშვნელობაზე საუბარია იოანეს სახარებაში:

„თავდაპირველად იყო სიტყვა...“

ამ თემებზე სერიოზულად მსჯელობდნენ თვით ანტიკური ხანის სწავლულები – პლატონი, არისტოტელე, ჰორაციუსი. ამ საკითხებით დაინტერესებული იყვნენ: დენი დიდრო, ფრიდრიხ შილერი, გოეთე, ოსკარ უაილდი. ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა გერმანული დრამისა და თეატრის თეორეტიკოსის ეფრაიმ ლესინგის თეორიული ნაშრომი „ლაოკოონი“ ანუ მხატვრობისა და პოეზიის საზღვრების შესახებ“.

ტექსტის დასკვნით ნაწილში ჩვენ ვხედავთ, რომ კლეგი ყველა ქალში მირანდას ანარეკლს ხედავს, კვანძის გახსნა კი არა, ჩიხური მდგომარეობაა. ირკვევა, რომ კლეგს ფსიქიკური პრობლემები აქვს. მას აშკარად გაორება ახასიათებს. მისი სიმპტომები მომავალში საბედისწერო ხასიათს მიიღებს, მაგრამ ჯონ ფაულზს არ აინტერესებს მომავლის ჩვენება. მან კონკრეტული ადამიანების – ქალისა და კაცის (თანამედროვე ადამისა და ევას) მაგალითზე გვიჩვენა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. ჩნდება კითხვა: უყვარდა თუ არა კლეგს მირანდა? რასაკვირველია, უყვარდა, მაგრამ მისი სიყვარული აბსტრაქტული, უნაყოფო იყო. იმ ყველაფრის შემდეგ, რაც სიყვარულის სახელით ხდება ტექსტში, კლეგი სულიერად გატეხილი

უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა! ის გაუცხოებულ სამყაროსთან აგრძელებს არსებობას. თითქოს, არაფერი მომხდარა; თითქოს, მირანდა სადღაც გაემგზავრა, თითქოს...

მირანდა გრეი ამორფული სამყაროს ნაწილია. მისთვის უცხოა ცხოვრებისაგან განდგომა, პასიურობა, უმოქმედობა, სარდაფში ცხოვრება, დანაშაულზე თვალის დახუჭვა. მისთვის „უმრავლესობა“ ჩღუნგები, სნობები, ჩაცმას გადაყოლილი „რუხი მასაა“. ის პროტესტს გამოთქვამს რასობრივ დისკრიმინაციაზე, სოციალურ, რელიგიურ, კულტურულ უსამართლობაზე (ტექსტში საინტერესოა ის ეპიზოდი, როდესაც ტედი ბიჭები ორ ინდოელს უმოწყალოდ სცემენ, მირანდა პროტესტს გამოთქვამს ამ ყველაფრისადმი). მირანდა გრძნობს, რომ დაირღვა მისი სულის ვექტორები. მას საყრდენი სჭირდება! მას საყრდენად ფრედერიკ კლევი არ გამოადგება. არც ჯ.პ. ის ჯ.პ-ს თეორიებს ბრმად არ ღებულობს. კრიტიკულადაა განწყობილი მის მიმართ. მასში მხოლოდ ხელოვანი მოსწონს, სხვა დანარჩენი – მისი ცხოვრების წესი, რეაქციული თეორიები – მიუღებელია.

იქნებ, მირანდა ფრიგიდული არსებაა! მასში შემცირებული და დაქვეითებულია ინტიმური შეგრძნებები. ის ზედმეტად შებოჭილი და გულგრილია სქესობრივი აქტის მიმართ. მირანდა მთელი რომანის მანძილზე ავლენს ფრიგიდულობას ჯ.პ-სადმი. იქნებ, ეს ფრიგიდულობა არის უსიყვარულობის თავი და თავი! ჯ.პ-მა, ამ გამოცდილმა აპოლონმა, შენიშნა მირანდას სქესის გაორების ნიშნები, ამიტომაც მოულოდნელად ასეთ კითხვას უსვამს: „იუნგი თუ წავიკითხავთ? მან სახელი დაარქვა თქვენი სქესის წარმომადგენლებს“.

რაზეა აქ მინიშნება?

მირანდას ფრიგიდული დამოკიდებულება აქვს ჯ.პ-სადმი: „მე ის ძალიან მომწონდა (უფრო მეტიც, მიყვარდა კიდევ, მაგრამ არა ხორციელად) – ჩემებურად“. ან იქნებ, მართალი იყო ჯ.პ. როდესაც მირანდას უთხრა: „ნამდვილი სიყვარულით არავინ გყვარებით და შესაძლოა ვერც შეიყვაროთ“. ფრედერიკ კლევიზე არაფერს ვამბობთ! ჯ.პ-ს შეყვარება შეძლო?! მირანდამ კიდევ ერთი „შორეული სატრფოს“ – დონალდის შეყვარებაც ვერ შეძლო! იქნებ, „მამა-ქმარი“ მართალი იყო იმაშიც, როდესაც მირანდას ასაკობრივ სხვაობაზე მიანიშნა: „სიყვარულის უნარი ასაკზე არაა დამოკიდებული. სიყვარული თავისით შეგემთხვევა“ [7, 267].

მირანდა აკუშია. ნაყოფიერებისთვის გაჩენილი ქალი არაა! ის თვითონ ირჩევს მავრს – „შორეული სატრფო“! ამ სიყვარულმა სიკვდილის გზაზე შეაყენა მირანდა, თავისთავად კლევიც! მათ მართავთ ეროსი და თანატოსი – სიყვარული და სიკვდილი. აქედან გამომდინარე, მირანდას არქეტები თანატოსია – სიკვდილის ღვთაება, კლევის – ეროსი. ამიტომაც საბედისწერო და საკრალური შეიქმნება მათი „ქორწინება“. იქნებ, ფრედერიკ კლევი თავში ნაჯახის ჩარტყმასაც იმსახურებდა, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ შენც მისი მსგავსი ხარ, მას დაემსგავსე, კანიბალი ხარ! იძულებითი თანაცხოვრება, რასაკვირველია, შეუძლებელია! მაგრამ, იქნებ, ქალს ოდნავ მაინც შეეღო კარი კლევის სამყაროში და იქნებ, მოვლენებიც სულ სხვაგვარად განვითარებულიყო!

რა მდგომარეობაა მირანდას ოჯახში? რა პრობლემების წინაშე დგას ახალგაზრდა ქალი? მირანდა გრეის ოჯახშიც არაა სანიმუშო მდგომარეობა. მწერალი ამ ოჯახის სცენებს საკმაოდ რეალისტურად გვიხატავს. მამა – დოქტორ გრეი, თანამედროვე მეცნიერების სახე და სიმბოლოა, გამოფიტული და უსარგებლო; დედა – ალკოჰოლისტი. ამ ოჯახის დრამა უბრალო, ვიწრო ხასიათის არაა. ოჯახის წევრებს შორის სულიერი ძაფები დიდი ხანია გაწყვეტილია. ისინი ერთმანეთისთვის უცხონი არიან. აქ ფაულზი ნატურალისტი მწერლების მსგავსად რეალისტურად აღწერს ერთი ოჯახის დაცემისა და დაქვეითების ისტორიას. ვთქვათ, დრამატურგ გერჰარტ ჰაუპტმანის მსგავსად. ჰაუპტმანის პიესებს მოგვაგონებს მირანდა გრეის ოჯახი.

იქნებ, მირანდას ტრაგედია მის გაუცხოებაში უნდა ვეძებოთ. მას ოდნავი თანაგრძნობა არ გააჩნია ლოთი დედის მიმართ. როდესაც მირანდას დისკურსს ვეცნობით, უნებლიედ გვახსენდება მერსო, კამიუს პერსონაჟი („უცხო“). აი, რას უყვება მირანდა ფრედერიკს მშობელ დედაზე: „დედაჩემი ძუკანაა. საშუალო ფენის საძაგელი, პრეტენზიული ძუკანა. თანაც ლოთი... ადრე არასოდეს ვფიქრობდი დედაზე ობიექტურად... რომელიც არ მიყვარს და რომელიც მერცხვინებოდა...“ ამ გულგრილობისთვის, უსიყვარულობისთვის ხომ არ ისჯება მირანდა?! რაღაც თვალსაზრისით, მირანდა მერსოსავით იქცევა!

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიური პარადიგმები გამოკვეთილია ტექსტში.

ტექსტში „ბაღის“ თემა ხშირად მეორდება. ბაღიდან იწყება კაცობრიობის დაცემა და ურჩობა. ფაულზის პერსონაჟები, ბიბლიური ადამისა და ევას მსგავსად, „ბაღში“ მარტო ცხოვრობენ. ეს სიყვარულის ბაღი არაა, არც ედემის ბაღია. ეს არც „დაკარგული ბაღის“ ანალოგიაა. ეს არც ესპერიდების ბაღია, სადაც ოქროს ვაშლის ხე დგას. ეს არაა ეგზოტიკური ყვავილებითა და ხეხილით საესე ბაღი. ეს არც „სემირამიდას დაკიდული“ ბაღებია, არც სახარებისეული გეთსიმანიის ბაღი. ეს ანტიბაღია. „ძველი ბაღის“ ანარეკლი, ემანაცია. ეს ტანჯვისა და სიკვდილის ბაღია. ამ ბაღში დიდი ხანია დაირღვა კოსმიური ჰარმონია. აქ ყველაფერი დრამატულ სახეს იძენს, იმიტომ, რომ ქალი და კაცი არქეტიპული წყვილები არ არიან.

ტექსტში ვაშლის გამოჩენა შემთხვევითი არაა. ქრისტიანული სახისმეტყველებიდან გამომდინარე ვაშლი დიდი ინფორმაციის მატარებელია. ვაშლი ცოდნის, ცდუნებისა და დაცემის სიმბოლოა. მას ღრმა საკრალური დატვირთვა ენიჭება. ტექსტში „ვაშლი“ სამჯერ გამოჩნდება სხვადასხვა კონტექსტში:

1. „აი, – მითხრა და ერთი ფერადი სურათი მაჩვენა – ლანგარი ვაშლებით. ის არა მხოლოდ ამ ვაშლების შესახებ ამბობს ყველაფერს, არამედ საერთოდ ყველა ვაშლის შესახებ“ [7, 71]. 2. „შევხედე, ხელში რაღაც ეკავა და ძველი ნაჯახი ვიცანი. ბაღში ვიყენებდი ხოლმე და სწორედ იმ დილით ვაშლის ხეს ტოტი მოვჭერი, რომელიც წინა ღამით ქარს მოეტეხა“ [7, 108]. 3. „ის ახლა ყუთში იწვა, რომელიც მე შევკარი. ვაშლის ხის ქვეშ“ [7, 357].

„ლანგარი ვაშლებით“ – ედემში „ქორწინებაა“. ამავე დროს, ეს „ცდუნებისა“ და „სიყვარულის“ ვაშლია. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, დიონისე აფროდიტეს ვაშლებს სთავაზობს, რათა მისი სიყვარული მოიპოვოს; ასევე, ვაშლი არის

ნაყოფიერებისა და ბედნიერების სიმბოლო. ზევსმა ჰერას საჩუქრად ვაშლი მიართვა, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო. ამავე დროს, ეს ეპიზოდი ბიბლიური სცენების განმეორება-რეკონსტრუქციაა – ევა ადამს აკრძალული ხის ნაყოფს სთავაზობს, ამით ის ცოდვის თანაზიარი ხდება. ეს მირანდას ქვეცნობიერი ქესტია. მისი „მეხსიერება“ აქტიურია.

„მოჭრილი ვაშლის ხის ტოტი“ – ბალიდან განდევნასა და ადამიანის დაცემას განასახიერებს. ეს „ეპიზოდი“ აპოკალიფსურ დატვირთვასაც იძენს. „ნაჯახი“ – ძველი წარმართული ხანის სიმბოლოა; „ქარიანი ღამე“ – წარღვნის, უსახლკარობის, განდევნის, სიკვდილის სიმბოლოა.

„ის ახლა ვაშლის ხის ქვეშ წევს“ – ადამიანი თიხის მტვერია და თავის წილს უბრუნდება. ეს ის ხეა, რომელსაც დიდი ისტორიული მეხსიერება აქვს და რომლის „სიტკბობამაც“ ადამიანს ბევრი უსიამოვნება მოუტანა. „აკრძალული ხის“ ნაყოფის გასინჯვიდან მოყოლებული დაირღვა ჰარმონიული ძაფი ქალსა და მამაკაცს შორის. სიკვდილი შემოვიდა სამყაროში!

ტექსტის მთელი დრამატული სცენები ქალაქკარეთ ვითარდება. ლონდონის გარეუბანში მდებარე „ძველი სახლი“ ჩვეულებრივი სახლი როდია. მას მეტაფორული დატვირთვა გააჩნია. სტრუქტურულადაც, გოტიკური სტილის სახლია. ედგარ პოს აშერთა სასახლის მსგავსი. ეს სახლი დრო-ჟამისაგან მოძველებული, გახუნებული და ალაგ-ალაგ ხავსმოდებულია, რომელიც რესტავრაცია-განახლებას საჭიროებს. ამ სახლის მიმართ ჟურნალისტები მუდამ ყურადღებას იჩენდნენ, რადგან საგრაფოს ქრონიკებში მას ისტორიული ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. ირკვევა, რომ ადრე ამ სახლში სამლოცველო ყოფილა განთავსებული. სახლის ახალი მეპატრონე არტეფაქტების წაშლას ცდილობს. ერთ-ერთ ცნობისმოყვარე ჟურნალისტს ფრედერიკ კლეგი ასე პასუხობს: „აქ არავითარი სამლოცველო არაა... აა, თქვენ ის ძველი სარდაფი გაქვთ მხედველობაში. ის ახლა ამოქოლილია, აგურითაა ამოშენებული“ [7, 67].

ამ „ძველი სახლიდან“, „სამლოცველოდან“ ადამიანები დიდი ხანია გამოძველებული არიან. არადა ამ სახლში ადამიანებს ისევ დაბრუნება სჭირდებათ. აგურით ამოქოლილი კედლების გარღვევაც შესაძლებელია, მაგრამ გაუცხოებული და რწმენა დაკარგული ადამიანი არ აპირებს დაუბრუნდეს წინაპრთა „ძველ სახლს“. ამ სახლის ბალის კარები ისევ სანახევროდ ღიაა. ამ ბაღში გამავალი ბილიკები ისევ შესამჩნევია. მირანდას სიკვდილით ისედაც დაცარიელებული „ძველი სახლი“ უფრო უდაბური და პირქუში ხდება.

ჯონ ფაულზის პერსონაჟები რწმენის დაკარგვას მძაფრად განიცდიან. მათ სახისმეტყველებაში საღვთო ბუნება დავიწროვებულია. სარდაფში გამოკეტილებს უნდა ეფიქრათ ზეციურ მამაზე. საღვთო წიაღს უნდა მიბრუნებოდნენ. ისინი ღმერთზე ხშირად საუბრობენ, მაგრამ უარყოფით კონტექსტში. რწმენა ლოცვით ძლიერდება. მათ აქვთ საშუალება „ძველ სახლში“ ლოცვისთვის. მით უფრო, ადრე სარდაფში სამლოცველო იყო განთავსებული. მათ სარდაფისთვის პირვანდელი სახე უნდა მიეცათ, პატარა სენაკი უნდა მოეწყოთ და როგორმე დიალოგი დაეწყოთ ღმერთთან. იქნებ, მოვლენებსაც სხვა სახე მისცემოდა.



სამლოცველო საკრალური ნაგებობაა. მირანდას სარდაფის კედლები ჯ.პ-ს ნახატების ნაცვლად ფრესკული ნახატებით უნდა დაემშვენებინა. ამ პატარა სენაკში მათ ერთობლივად საღმრთო ლიტურგია და სხვა საიდუმლოებები უნდა აღესრულებინათ. მაცხოვრის მისტიკური სხეული უნდა გამოესახათ, კანდელი უნდა დაენთოთ.

სარდაფი ჩაკეტილი სივრცეა. მისი გარდევვა მხოლოდ კლევს შეუძლია. მან საკუთარ თავში გაორების ნიშნები აღმოაჩინა, მაგრამ მაინც აგრძელებს სარდაფში ცხოვრებას. ის ორპოლუსოვანი პერსონაა. მისი სახისმეტყველება ბოლომდე გახსნილი არაა. თავისთავად, მას გაუზიარებელი გრძნობა სტანჯავს. ამ შემთხვევაში, ის ყველაზე მგრძნობიარე და ფაქიზია. იქნებ, დამნაშავე საზოგადოებაა! ფრედერიკ კლევი თავის დისკურსში ღიად გვეუბნება: „ყველაფერი ამ ხალხის გამო იყო. მათმა დანახვამ მიმახვედრა, მირანდა იყო ერთადერთი ადამიანი მსოფლიოში, რომელთან ერთად ცხოვრება მსურდა. ამ ხალხის ყურება კი გულს მირევდა“ [7, 340].

„გამოეთხოვე ბავშვობას, მეგობარო, გამოიღვიძე!“ (ჟ. ჟ. რუსო). ფრედერიკ კლეგმა ვერ გამოიღვიძა, ვერ გამოეთხოვა ბავშვობას! ის ისეთივე ნორჩი და ფაქიზი დარჩა, როგორც ყმაწვილობაში. ისევ სიზმრებში დახეტიალობდა, ისევ ყანაყანა, მინდორ-მინდორ პეპლებს დასდევდა... მერე ერთბაშად მიხვდა, რომ უცებ გაიზარდა, თითქოს, რაღაც მომწიფდა მასში, მაგრამ ის ისევ მზრუნველობას დანატრებულ უსახლკარო, ობოლ ბავშვად დარჩა!

ამრიგად, ჯონ ფაულზის რომანში კულტურულ შრეებს ვაწყდებით. ფრედერიკ კლევისა და მირანდა გრეის ცხოვრება მითს ემსგავსება. ამ მითოსური სქემის მიღმა მწერალმა პარალელური რეალობა დაგვიხატა: ქალისა და მამაკაცის მარადიული თემები, სოციალური სტენები, ოჯახური ბუდის ნგრევა, უსახლკარობისა და მარტოობის მძიმე განცდა; ტოტალიზატორისა და ფულის მავნე ზეგავლენა. იქნებ, ეს ყოველივე „სამყაროს მომავლის“ წინასწარმეტყველური ჩვენებაა, როგორც ეს შეძლო ოლდოს ჰაქსლმა თავის დისტოპიურ რომანში „საოცარი ახალი სამყარო“. იქნებ, „კოლექციონერი“ დისტოპიური უანრის რომანია და ეს გაუცხოება ქალისა და კაცის, შემთხვევით არ გასდევს მთელ რომანს!

### **ლიტერატურა:**

1. ელიადე მ., მარადიული დაბრუნების მითი, არქექტიპები და განმეორებადობა. თარგმანი მ. გომელაურის, თბ., 2017.
2. იუნგი კ., მეტამორფოზის სიმბოლოები. თარგმანი მ. ბადრიძის, თბ., 2017.
3. იუნგი კ., თანამედროვე ადამიანის სულიერი პრობლემა, კარენ ჰორნი, კულტურა და ნევროზი, ერის ფრომი, ვართ კი ნორმალურები? თარგმანი ნ. კუჭუხიძის, ქს. 2014.
4. ლესინგი გ., ლაოკონი ანუ მხატვრობისა და პოეზიის საზღვრების შესახებ. თარგმანი ა. გელოვანის, თბ., 1986.
5. ლამანი პ., ზიგმუნდ ფროიდი. თარგმანი მ. ასათიანის, თბ., 2008.

6. პლატონი, ნადიმი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ. თბ., 1964 .
7. ფაულზი ჯ., კოლექციონერი. თარგმანი გ. ბერაძის, თბ., 2017.
8. შოპენჰაუერი ა., სექსური სიყვარულის მეტაფიზიკა. მთარგმნელი ზ. ხასაია, თბ., 2011.
9. Loveday Simon, The Romances of John Fowlws. London, 1985.
10. Otto Rank, The Trauma of Birth. New York, 1993.

**Koba Tsurtsunia**

***Postmodernist Trauma in John Fowles' Novel "The Collector"***

**Summary**

"The Collector" (1963) is the first novel by John Fowles, where the writer uses a special method of narration. The novel focuses on a great importance of the psychology of characters, the relationship between men and women, and the inner monologue. The text also features narratives of the epistolary genre. There is frequent feminist excitement in the novel. The text shows postmodernist crisis and confrontation of old and new era.

**Коба Цурцумия**

***Постмодернистская травма в романе Джона Фаулза «Коллекционер»***

**Резюме**

«Коллекционер» (1963) – первый роман Джона Фаулза, где писатель использует особый метод повествования. В романе большое значение уделяется психологии персонажей, взаимоотношениям мужчины и женщины, внутреннему монологу. В тексте также присутствуют повествования эпистолярного жанра. В романе часто присутствует феминистский азарт. В тексте показан постмодернистский кризис и противостояние старой и новой эпохи.

**მანანა ღამბაშიძე**  
(საქართველო)

**სასაუბრო ენის ენობრივი და სოციოლინგვისტური ასპექტები**

ცნება *სასაუბრო ენა* გულისხმობს „ყოველდღიურობის ენას“. ის ესმის ყველა თაობის წარმომადგენელს და შესაძლებელს ხდის ყოველდღიურ კომუნიკაციას. ყოველდღიურობა გულისხმობს არამიმართულობას, თემასთან, საგანთან, გარემოებებთან და ინცენციებთან დაკავშირებით ასპეციფიკურობას, სახეა არამარკირებული სტანდარტული მდგომარეობის [1, 96].

სტატიაში სასაუბრო ენის ენობრივი და სოციოლინგვისტური ასპექტები განხილულია გერმანული ენის მასალაზე.

როგორც ჰ. ლიოფლერი აღნიშნავს, სასაუბრო ენასთან ერთად ყოველდღიურობის კომუნიკაცია საკომუნიკაციო და ქცევის თეორიულ თემებად იქცა. განსაკუთრებული ვითარებაა, რომ სასაუბრო ენის ლინგვისტიკა, რომელიც კატეგორიულად ემიჯნება სალიტერატურო ენას, თავის მაგალითებს სწორედ ლიტერატურიდან იღებს, რომელიც შეიცავს ყოველდღიურობის დიალოგების დიდ სიმდიდრეს [1, 97]. რეალური სასაუბრო ენის ემპირიული კვლევები გვხვდება დიალექტოლოგიაში. ყოველდღიურობის სტილი საზოგადოებრივ ურთიერთობებში ასრულებს საჭირო სოციალურ ფუნქციას და აქვს ენობრივი სპეციფიკა, რომელიც მას ყველა სხვა სტილის სისტემებისაგან განასხვავებს [1, 97]. როგორც ჰ. ლიოფლერი აღნიშნავს, ყოველდღიურობის სტილი გულისხმობს ყოველდღიურობის კომპეტენციას, რომელიც იქმნება ხანგრძლივი სოციალიზაციის პროცესში. ყოველდღიურობა და ყოველდღიურობის კომპეტენცია განსხვავებულია ეროვნულ და რეგიონულ დონეზე და არა ცალკე ენობრივ ან მრავალფეროვნულობათა თვალსაზრისით [1, 97]. გერმანიაში 300 დიალექტია და ყოველ 30 კმ-ის რადიუსშია შექმნილი თითოეული მათგანი.

სასაუბრო ენა არის მანერა როგორ ღაპარაკობენ. იგულისხმება ვიღაც ზუსტად ისე არ საუბრობს, როგორც ეს სწორი იქნებოდა, მაგალითად, ამბობენ "kriegen" (მიღება), ნაცვლად "bekommen" ან "erhalten" [2]. სასაუბრო ენა სოციალურ წრესთან ურთიერთობაში, უპირველეს ყოვლისა, პრივატულ ველში (სივრცეში) არაფორმალურ სიტუაციებში გამოიყენება: ოჯახში, სპორტულ წრეებში, მეგობართა გარემოცვაში. ენა მორგებულია ყოველდღიურ გამოყენებასთან, ნეოლოგიზმების წარმოშობაც, რომლებიც ყოველდღიურობის ფენომენებს აღწერენ, არ არის იშვიათი [3].

სასაუბრო ენის წერილობითი კომუნიკაცია ხორციელდება მედია-საკომუნიკაციო საშუალებებით, როგორებიცაა მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ჩატი, E-mails.

„სასაუბრო ენის“ ცნება იოახიმ ჰაინრიჰ კამპემ შემოიტანა გერმანულ ფილოლოგიაში მე-19 საუკუნის დასაწყისში. სიტყვა „სასაუბრო“ ტერმინოლოგიურად ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და ნიშნავს „შეჯახებას“, „კავშირს“, „ლაპარაკს“, „მჭერმეტყველებას“ [4].

სასაუბრო ენა, ასევე ყოველდღიურობის ენა, გამოყენებითი ენა (Gebrauchssprache), სტანდარტული და სპეციალური ენების საპირისპიროდ, არ შესაბამება არც ერთ სპეციფიკურ **სოციოლექტს**. სასაუბრო ენის ცნება გულისხმობს „დაუდევარ, დაუსხვეწელ, ფამილიარულ, უხეშობამდე მისულ გამოხატვის მანერას“ [5].

არსებობს მოსაუბრეთა ენა კარგად გამოხატული დიალექტური განსხვავებებით. სასაუბრო ენა არის მეტყველების ფორმა, რომელიც გამოიყენება მოკლე და პირდაპირი საკომუნიკაციო მიზნის მქონე ადამიანთა დიდ უმრავლესობაში. გამოყოფენ სასაუბრო ენის შემდეგ ძირითად მახასიათებლებს [4]: სასაუბრო ენა ყოველდღიურობის ანარეკლია, ამიტომ – **სონტანურობა** მისი გავრცელებული ხასიათებელია ამ თავისუფალია ყოველგვარი კავშირების განქვემდებარება ოდნავ მხოლოდ მათ შეთანხმებას მას იყენებს [4].

- **მეტყველების ბუნებრიობა** არის კომუნიკაციის ამ ფორმის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მახასიათებელი, რაც მას ანიჭებს სიხლეს, მოცულობასა და მოქნილობას [4].

- **მარტივი ლექსიკა**. ის, ვინც ამ ენას იყენებს, არ იყენებს დახვეწილ ტერმინებს, არამედ საკომუნიკაციო ფაქტი მცირდება გლობალური მენეჯმენტის საერთო სიტყვებით და, რა თქმა უნდა, გამოყენებული დიალექტის ან ქვედიალექტის დამახასიათებელი ლექსიკით [4].

- **ჟესტიკულაციის** ფართო გამოყენება. ადამიანური კომუნიკაცია რთული და სრული მოქმედებაა. ჟესტიკულაცია და ნიშნები, რომლებიც აძლიერებენ შეტყობინების გამომსახველობას, ფართოდ გამოიყენება სასაუბრო კომუნიკაციაში, რაც იწვევს საუბარში სიტყვების რაოდენობის შემცირებას [4].

- **„ველური ბარათის სიტყვების“** ხშირი გამოყენება. „ველური ბარათის“ სიტყვების, იგივე კომიზმების, როგორებიცაა, მაგალითად, სიტყვები „რამ“, „ის“, მიზანია კომუნიკაციაში დიდი რაოდენობის სიტყვების წაშლა ან ჩანაცვლება. გასათვალისწინებელია, რომ ენაში ამ ტიპის რესურსები შედის კომუნიკაციის „მანკიერებებში“, რადგან მათი ხანგრძლივი გამოყენება ამცირებს მოსაუბრეების ლექსიკონს [4].

ამ ენობრივ გამოხატვასთან დაკავშირებული რესურსების გათვალისწინებით შეიძლება ნათლად შეფასდეს სასაუბრო ენის შემდეგი სამი დონე და მათი გამოვლინებები [4]:

**I ფონიკური დონე.** ფონაციის თვალსაზრისით შეფასებულია შემდეგი ელემენტები: 1) **ონომატოპეა**. ეს არის სიტყვები, რომლებიც მეტყველებაში ბაძავენ ბუნებრივ ან არაბუნებრივ ბგერებს, არადისკურსიულს და რომლებიც არ არის დამახასიათებელი ადამიანის ენისთვის. ონომატოპოეტიკის მაგალითი შეიძლება იყოს: „და მანქანა გამორთო ფუუნნნ“ [4].

**ონომატოპური (მიბაძვითი) სიტყვები:** kikireki, wau, miau, quak, peng, bumm, boing, tatütata, ticktack, schwups, zack, ruckzuck. ისინი წარმოქმნილია ზმნებისგან ნაწარმოები უფლექსიო სიტყვებისაგან, როგორებიცაა Plums, Schlepper, klirr [6]. გან-

საკუთრებით ბევრი ონომატოპოეტიკაა კომიქსებში. მათი ფუნქციაა სხვადასხვა შეგრძნებებისა და ხმების გამოხატვა [7].

სასაუბრო ენა არ ექვემდებარება სტანდარტულ ენასთან დაკავშირებულ წესებს. ენობრივი კანონების დარღვევის მიუხედავად, კომუნიკაცია ხდება და მიმდინარეობს.

2) **ინტონაცია.** ინტონაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზეპირ კომუნიკაციაში. კითხვის, ძახილის, მოპატიუების ინტონაციების თვისებაა საკომუნიკაციო კონტექსტთან ადაპტირება. ინტონაცია დამოკიდებულია თანამოსაუბრეებს შორის ურთიერთობებსა და ზეპირმეტყველების განზრახულობაზე [4].

3) **დიალექტის თვისებები.** სასაუბრო ენა არ არის ერთნაირი, მაშინაც კი, თუ მას აქვს ერთი და იგივე ეროვნული ტერიტორია, რეგიონალურ, მუნიციპალურ დონეზე. თითოეულ ადგილს აქვს საკუთარი დიალექტური თავისებურებები, რაც ამ ტერიტორიას ამ დიალექტებთან თანხვედრას ანიჭებს [4]. ენობრივმა გამოკვლევებმა დაადასტურა ქვედიალექტების არსებობა და გაფართოება მოსახლეობის მცირე ჯგუფებშიც კი. საზოგადოების კუთვნილ ინდივიდთა თითოეული ჯგუფი გემოვნების ან ტენდენციების გაზიარებით ხელოვნების, გართობის თუ ვაჭრობის რომელიმე დარგში აერთიანებს ან ქმნის სიტყვებს, რომლებიც შეესაბამება მათ საკომუნიკაციო საჭიროებებს. ენა თავისთავად არის ასოებისგან, ბგერებისგან შექმნილი ცვალებადი სუბიექტი, რომელიც პასუხობს მოსაუბრეების მოთხოვნებს და გარდაიქმნება იმის მიხედვით, რამდენად ხელმისაწვდომია მასში გამოყენებული ელემენტები. ქვედიალექტების ეს სერია მათი რიტმული და მელოდიური ფონაციით წარმოადგენს პიროვნებებს და მათ შემადგენელ ჯგუფებს [4].

სასაუბრო ენის კონკრეტული ენობრივი რეალიზაცია ეროვნულ, ტერიტორიულ, რეგიონალურ და ჯგუფურ ენობრივ დონეზე განსხვავებულია (ქრისტენი, 1994; ზომერფელდი, 1994; ლიოფლერი, 2005; ულბრიხი, 2005). არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული სასაუბრო ენა, რომლის შესწავლაც გარედან არის შესაძლებელი. ერთი და იმავე სიტყვებსა და გამოთქმებს შეიძლება სხვადასხვა მხარეში და კონტექსტში განსხვავებული სტილისტური სტატუსი ჰქონდეთ [1, 99]. შვეიცარიაში, სადაც სასაუბრო ენა ფონეტიკურად და სინტაქსურად ყოველთვის ადგილობრივი დიალექტია, სასაუბრო ენის ნიშნები რთულად აღიქმება, რადგან ისინი ფონეტიკურად დიალექტისაგან არ განსხვავდებიან. თუმცა ლექსიკური და ეკონომიკური კრიტერიუმების უმრავლესობა იქ მოქმედებს [1, 99].

4) **აპოკოპების განანგრძლივებული გამოყენება.** სასაუბრო ენაში ფართოდ გავრცელებულია **ელისები** (შეკუმშვა, ჩახშობილი სიტყვები). მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები ასე ვლინდება, ისინი ჩვეულებრივ კარგად ესმით მოსაუბრეებს შორის კულტურულ-საკომუნიკაციო ასპექტის წინა შეთანხმებების გამო. სიტყვათა შეკუმშვა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საერთო მახასიათებელს ყველა ენაში. ისინი კომუნიკაციის ფარგლებში მიიჩნევა ერთგვარ „ენის ეკონომიურ ელემენტებად“ [4].

**II მორფოსინტაქსის დონე.** სასაუბრო ენის მორფოსინტაქსური ელემენტების ფარგლებში აშკარაა: 1) ძახილის, კითხვის ნიშნის, შემცირების და დამატების სა-

შუალღებების გამოყენება. ძალიან ხშირია მოსაუბრეთა შორის ენის გადაჭარბებული გამოყენების, ინტონაციის ან კომუნიკაციის დროს საგნების ან არსებების თვისებების ზრდის ან შემცირების ტენდენციები. ისინი არ ექვემდებარება რაიმე კანონზომიერებას და ახასიათებთ ექსპრესიულობა [4].

2) **მოკლე ფრაზები** – კომუნიკაცია მოიცავს მოკლე ფრაზების გამოყენებას [4].

3) **ლაიზმი** – იმპროვიზაცია კომუნიკაციაში. ეს მახასიათებელი ზრდის სასაუბრო ენის უზუსტობას, რადგან არა ყველა შემთხვევაში მას პასუხობენ შესაბამისი გზით, ან ისე, როგორც სხვა მოსაუბრე ელის [4].

**III ლექსიკურ-სემანტიკური დონე** – საერთო ლექსიკა. გამოყენებული სიტყვები მოდუნებული ხასიათისაა, დიდი სირთულე არ ახასიათებთ და საკომუნიკაციო ფაქტს უმარტივესი სახით გადმოსცემენ [4].

- **შეზღუდული და არაზუსტი ლექსიკა.** სიტუაციები ახსნილია ორი სიტყვით, რომლებიც მეტ რაოდენობას მოითხოვს. ზოგჯერ მათი განზრახვაა თანამოსაუბრის გამორჩეულ თვისებაზე დაცინვით ან გართობის მიზნით მითითება. ასე მაგალითად: „შენ ნამდვილი თვითმფრინავი ხარ (თანამოსაუბრის სწრაფი აზროვნების აღნიშვნის მიზნით) (4). ან „შენ სახედარივით ფაქიზი ხარ“ (თანამოსაუბრის განსაკუთრებული მგრძობელობის აღსანიშნავად, ირონიით) [4].

- **პროგრამები.** სასაუბრო ენის გამოყენება ორ კარგად განსაზღვრულ კონტექსტს ექვემდებარება [4].

- **ოჯახის კონტექსტი.** როდესაც ეს სფერო მოიაზრება, საქმე გვაქვს ენასთან, რომლითაც ოჯახის წევრები ურთიერთობენ საკუთარ წევრებთან. ეს ენა მოიცავს ფართო უესტიკულაციურ სიმდიდრეს, რომელსაც ძალიან დიდი გავლენა აქვს ზეპირმეტყველებაზე. ის შემოისაზღვრება თანაარსებობის ძალიან რთული სტრუქტურებით, სადაც ავტორიტეტის ხარისხს გადამწყვეტი როლი აქვს. ამ ასპექტით თითოეული ოჯახი არის ლექსიკური სამყარო, სადაც ყოველი სიტყვა და უესტიკულაცია განპირობებულია თანამოსაუბრეების შინაგანი ურთიერთობებით. ეს ენა მოიცავს იდიომების დიდ სიმდიდრეს და კომუნიკაციები, რომლებიც ხორციელდება, დამოკიდებულია თითოეული ობიექტის მზაობაზე. ეს არის უაღრესად მდიდარი და რთული სტრუქტურა [4].

- **პოპულარული კონტექსტი.** პოპულარული კონტექსტი ეხება სახლის გარეთ არსებულ სივრცეს, სადაც შეიძლება შეფასდეს ქვეჯგუფების არსებობა, რომლებშიც თანამოსაუბრეების ცხოვრება მიმდინარეობს თითოეული თავისი დიალექტური ვარიანტით [4].

სასაუბრო ენის რეალური კონკრეტიზაცია განსხვავებულია მცირესივრცისეული და ჯგუფურსპეციფიკური თვალსაზრისით. ენობრივი ნიშნები მხოლოდ ზოგადააა მოცემული. სასაუბრო ენაში შესამჩნევია, ერთის მხრივ, ფართოსივრცისეული დროის შესაბამისი გემოვნება, ინტერესები, ქცევა, მაგრამ, მეორეს მხრივ, მცირედინებითი განსხვავებები. ისინი სასაუბრო ენის ენობრივი დახასიათებისას მიიჩნევა როგორც „ყოველდღიურობის სტილის“ ენობრივი კორელატი (1, 97).

სასაუბრო ენა მარტივად შეიცნობა დამახასიათებელი ენობრივი ნიშნებით: [1, 97]

- მოკლე წინადადებები, თანწყობა (პარატაქსი), ჩანართი შორისდებულები.

- თავისუფალი სიტყვათაწყობა, შედეგი უგულებელყოფილია. ახსნა-განმარტება ხდება, მაგალითად, გამოთქმით: "**Wie warm das ist, der See!**" [1, 97] სიტუაციურად განპირობებული შემოკლებები. საუბარი „სიმეტრიულად ორიენტირებულია“, ეს ნიშნავს, ჩაირთავს მოქმედებებს და სიტუაციას ვერბალურ დაგეგმვაში. „მომგებიანი ხერხი“, რომელიც ფორმულირების ძიებაში დროს ავსებს, შეიძლება იყოს წინადადება: **Ja, was ich noch sagen wollte...** (ხო, კიდევ რა მინდოდა მეთქვა...) [1, 97].

- ბგერათშემდგენლობაში: კონტრაქციები და ასიმილაციები: "**wir ham**" (=wir haben) [1, 97].

- სემანტიკურ-ლექსიკურ გამოყენებაში. სიტყვათა წამოცდენები: **machen, tun, Ding** [1, 97].

- ენის დიდი გაუმართაობა, დაუხვეწაობა და აფექტური, ემოციური მახვილი, საპირისპიროდ, მაგალითად, მოხსენების ენის [1, 97].

სასაუბრო ენა ადვილად შეიცნობა: 1) შეცდომებით გრამატიკაში: გრამატიკული ფორმების არასწორი გამოყენება, უმეტესად შეცდომები ხარისხის ფორმების წარმოებაში. ზედსართავი სახელები არასწორად აწარმოებენ ხარისხის ფორმებს და მოთხრობითი ბრუნვის (Genitiv) ფორმები არაკორექტულად გამოიყენება. მაგალითად, სიტყვას "**voll**" გერმანულ ენაში არ აქვს ხარისხის ფორმები, მაგრამ სასაუბრო ენაში გამოიყენება "**vollsten**". **Frau Müller hat zu unserer vollsten Zufriedenheit gearbeitet** [8].

ანალოგიურად, სიტყვებს **neu, optimal, einzig, bestmöglich** არ აქვთ ხარისხის ფორმები, თუმცა მათ ვხვდებით სასაუბრო ენაში:

Mein Fahrrad ist **neuer** als deines [8]

Das war aber nicht die **optimalste** Lösung [8]

Das war die **bestmögliche** Idee [8].

გერმანულ სასაუბრო ენაში ხშირად გვხვდება მოთხრობითი ბრუნვის (Genitiv) არასწორი გამოყენება. Genitiv-ის ნაცვლად გამოიყენება მიცემითი ბრუნვა (Dativ).

Ich konnte nicht schlafen **wegen dem Gewitter** (Dativ-ის არასწორი გამოყენება) [8].

Ich konnte nicht schlafen **wegen des Gewitters** (Genitiv-ის სწორი გამოყენება) [8].

2) სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელია ჩანართი სიტყვები. მათ არ აქვთ საკუთარი მნიშვნელობები და სასაუბრო ენაში ახდენენ აზროვნების პაუზის მარკირებას. ასეთი სიტყვებია: eh, hm, also [8].

გერმანული ახალგაზრდების ენაში ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა "**ent**" [9]. გამონათქვამით "**ent viel**" აღინიშნება „რადაციის ძალიან დიდი რაოდენობა“. ამ შემთხვევაში "**ent**" არის სინონიმი სიტყვისა "**sehr**" (ძალიან) [9].

სიტყვებმა შეიძლება მთელი წინადადება შეცვალოს. თუ არის რაიმე შთამბეჭდავი, განსაკუთრებით გასაოცარი ან მოულოდნელი, მაშინ ის ახალგაზრდების მიერ მარტივად კომენტირდება სიტყვით "**krass**" (აღფრთოვანებით კარგი, ღამაზი) [9, 10; 958].

ახალგაზრდების ენაში გრამატიკა ძალიან გამარტივებულია, მაგ., სიტყვა "Lass ma" თავის მოკლე ფორმაში ცვლის არა მარტო გამონათქვამს "Lass uns mal", არამედ ამავე დროს არის შეკითხვის ფორმაც "Hast du Lust?" [9].

როგორც ჩანს, სასაუბრო ენა სტანდარტული ენის კრეატიული და ინოვაციური ვარიანტია. მნიშვნელოვანია, რომ თაობიდან თაობამდე სასაუბრო ენა თავის დახასიათებას იცვლის. მაგალითად, დღეს არავინ გამოიყენებს სიტყვებს **astrein** (ძალიან ლამაზი, კარგი) ან **Fete** (დღესასწაული, ზეიმი ვიწრო წრეში), რომლებიც 80-იან წლებში ხშირად გამოიყენებოდა [9]. ახალგაზრდების ენა გამიჯნავს ასაკობრივ ჯგუფებსაც. 14-17 წლებში საუბრობენ სხვა ენაზე, ვიდრე 20-25 წლებში. გარდა ამისა, განსხვავდება ახალგაზრდების და მოზრდილების ენა. ამიტომ დღევანდელი ახალგაზრდობა არ იყენებს სიტყვებს, რომლებიც მშობლების დროს ითვლებოდა "cool" (იდეალურის შესაბამისი) [9].

3) გერმანულ სასაუბრო ენას ახასიათებს წინადადებების პარატაქტური წყობა – მარტივი მოკლე წინადადებებით და მცირე რაოდენობის დამოკიდებული წინადადებებით, წინადადების წევრთა ადგილმონაცვლეობა, განსაკუთრებით რაოდენობრივად შეზღუდულ დამოკიდებულ წინადადებებში. მაგ., Ich hätte gerne eine Playstation, weil sie ist voll cool (პარატაქტური წინადადება) [8].

Ich hätte gerne Playstation, weil sie voll cool ist (სწორი, სტანდარტული წინადადება).

4) სასაუბრო ენაში ხშირია ცალკეული სიტყვების ან წინადადებების განმეორებები, რომლითაც მოსაუბრეს სურს განსაზღვრული სარგებელი, ან თვალსაზრისი თვალსაჩინო გახადოს [8].

5) სასაუბრო ენაში ხშირად გვხვდება ზუსტი მახვილი გამონათქვამები. წინადადებები არის არა მხოლოდ მოკლე და მარტივი, არამედ განსაკუთრებით ზუსტი და მახვილი, რაც იმას ნიშნავს, რომ თემას არ მოჰყვება შემდგომი დამატებები – შესავალი ან წინასიტყვაობა [8]. ამას გარდა, გერმანულ სასაუბრო ენაში არის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები ნორმალიზირდა და საყოველთაო გახდა.

მაგ., სიტყვა Kohle, რომელიც ფულს ნიშნავს.

**Wann bekommen wir endlich unsere Kohle?** [8] როდის მივიღებთ ბოლოს და ბოლოს ჩვენს ფულს?

სიტყვა Tölpel ნიშნავს ზღვის ჩიტს, რომელიც ცნობილია თავისი მოუქნელი, მოუხერხებელი სიარულის მანერით ხმელეთზე. ადამიანები, რომლებსაც "Tölpel"-ს უწოდებენ, არიან მოუხერხებელი და უმწეო. **Wie kann man so ungeschickt sein? Er ist ein Tölpel** [8]

სიტყვა "Prügel" მე-18 საუკუნიდან დაწყებული ნიშნავს „ცემას, ჩხუბს“ (Schläge) ან „სასჯელს“. შუა საუკუნეებში მისი ჩაწერის ფორმა სხვა იყო: Brügel. ის მხოლოდ მრავლობით რიცხვში გამოიყენება, დღეს ეს სიტყვა სასაუბრო მხოლობით რიცხვში "Prügelei" (ჩხუბი) გამოიყენება: **Hast Du von der heftigen Prügelei am Potsdamer Platz gehört?** [8] გაიგე დიდი ჩხუბის შესახებ პოცდამის მოედანზე?

სოციოლინგვისტური ფუნქციებიდან გამომდინარე, სასაუბრო ენა სოციალურად დეტერმინირებულია. სასაუბრო ენის ცნება წარმოშობის ეტაპზე გულისხმობ-



და, უპირველეს ყოვლისა, მოსაუბრეთა სოციალურ ფენას, კერძოდ, პრივილეგიურ ფენას თავისი ამალღებული ურთიერთობებით. მოგვიანებით განიხილებოდა როგორც ბურჟუაზიული კლასის ენა ქალაქებში. ამ თვალსაზრისს ეყრდნობა ვარაუდი, რომ სასაუბრო ენა, ენობრივი კრიტერიუმების მიხედვით, **ენობრივად გაცვეთილი სალიტერატურო ენაა** [1, 99]. ამგვარად აღქმული სასაუბრო ენა სოციალურად დეტერმინირებულია. ამის საპირისპიროდ სიტუაციურად ყოველდღიურობით განსაზღვრული სასაუბრო ენა სოციალურად არამარკირებულია, რადგან ყოველდღიურობა ყველა მოსაუბრეს თანაბრად ეხება. აქედან გამომდინარე, სასაუბრო ენას ყველასთვის აქვს ენობრივი რეალიზაციის შესაძლებლობების ზემოთ ხსენებული მრავალფეროვნება [1, 99].

სასაუბრო ენა როგორც ნეიტრალური ურთიერთგაგებინების ენა მოიცავს ზოგიერთი მოსაუბრისათვის უკვე გამოკვეთილ საკომუნიკაციო რადიუსს და წარმოადგენს ინდივიდუალური ენობრივი შესაძლებლობების საერთო ურთიერთობათა სივრცეს. აქედან გამომდინარე, სასაუბრო ენა ბევრისთვის არის მის განკარგულეობაში მყოფი ერთადერთი **სოციოლექტი** და ამით ჩვეულებრივი ადამიანების ჯგუფური ენის სახე [1, 99].

შემდეგი სოციოლინგვისტური ასპექტი უკავშირდება სასაუბრო ენის კომუნიკაციურ-ინტერაქციულ სფეროს. ყოველდღიური ურთიერთობებისთვის არსებობენ მტკიცე წესები, ეგრეთ წოდებული „**ენობრივი მანერები**“ (**"sprachliche Manieren"** (ლაიზი 1993 „ენის წიგნი – რა და როგორ უნდა ვთქვათ“, ბეში 1998, მაიბაუერი 2006, ლიუგერი 2002).

ამ წესებში გადაცდომებმა შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები კომუნიკაციაში.

ყოველდღიური ცოდნა და კომუნიკაცია დაკავშირებულია ჯგუფურ-სპეციფიკურ და მცირესივრცისეულ გამოცდილებებთან და სუბკულტურებთან. პრივატულ სივრცეში ზოგიერთ ურთიერთობათა ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს ყოველდღიურობის სხვადასხვა მონახაზებსა და გამოცდილებათა შორის დაპირისპირება. უმნიშვნელო გამონათქვამები თავის კონოტაციურ ველში და თავის შედეგებში შეიძლება სრულიად განსხვავებულად იყოს ინტერპრეტირებული. მაგალითად, „**დუმილის**“ სხვადასხვა ინტერპრეტაცია [1, 100].

როგორც კ.-ი. ჰერინგერი აღნიშნავს, მნიშვნელოვანი მომენტია დუმილი საუბარში.

რა არის დუმილი კულტურების პირობაზე, რთული განსასაზღვრია. ხანგრძლივი სიჩუმე შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს. დუმილი თუ სიჩუმე? ხანგრძლივი სიჩუმე შეიძლება დუმილს ნიშნავდეს და ურწმუნობამდე მიგვიყვანოს. რა არის დუმილი? ამერიკული, გერმანული, ფრანგული, სამხრეთ-ევროპული და არაბული მმართველი წრეები დუმილს ნეგატიურ რეაქციად მიიჩნევენ. აღმოსავლეთ აზიაში, იაპონიაში, ფინეთში (ამ შემთხვევაში ერთადერთ ევროპულ ქვეყანაში) დუმილი, როგორც პასუხი, სრულიად ნორმალურია [11, 172]. ასევე საქართველოშიც, მით უფრო, თუ დუმილს თავისდაკვრაც ახლავს. ქართულ ენაში შესატყვისი ანდაზაც არსებობს: „დუმილი თანხმობის ნიშანიაო“ [12, 107]. ხოლო ჩი-

ნურ ანდაზაში: „მცოდნე დუმს, უმეცარი ყბედობს“ – დუმილი ნიშნავს, რომ უსმენენ და სწავლობენ. ანალოგიური აზრია ქართულ ანდაზაშიც: „სიტყვა ვერცხლია, დუმილი ოქრო“ [12, 107].

ამ შემთხვევაში სოციოლინგვისტიკის წინაშე დგება დამატებითი ამოცანები. მას შეუძლია თავისი კვლევის ინსტრუმენტებით ფაქტობრივად მოცემული კოდური ვარიანტები და მათი ყოველდღიურობის მარკერები სოციალურ და რეგიონალურ დიფერენციაში აღწეროს [1, 100]. ეს რთული ამოცანაა, რადგან ყოველდღიურობა და პრივატული სფერო არ ექვემდებარება სტანდარტულად სამეცნიერო გამოკვლევებს. აქამდე გარეშე პირთა დაკვირვებების შემცველად გვევლინებოდა მკვლევარი ჯგუფების საკუთარი გამოცდილებები ან გადახრები ლიტერატურული მაგალითებიდან. უკაბელო რადიომიკროფონების შესაძლებლობების საშუალებით ეხლა უკვე შესაძლებელია ყოველდღიური სამუშაო დღის მთლიანი ჩანაწერის განხორციელება გარე პირთა გავლენების გარეშე. ახალი შესაძლებლობები გვთავაზობენ ონლაინ გაფართოებებს [1, 100].

**დასკვნა:** სასაუბრო ენის შესახებ მნიშვნელოვანი ფორმულირებებია მოცემული კ. ლიოფლერის კვლევებში.

განსაკუთრებული მომენტია, რომ სასაუბრო ენა, რომელიც ცალსახად ემიჯნება სალიტერატურო ენას, თავის მაგალითებს (დიალოგების დიდი სიუხვე) სწორად სალიტერატურო ენიდან იღებს. გერმანიაში 300 დიალექტია და ყოველ 30 კმ-ის რადიუსშია წარმოქმნილი თითოეული მათგანი. და როგორც მკვლევარი აღნიშნავს, განსხვავებულობებს ქმნის არა ცალკე ენობრივი და მრავალფეროვნულობის ასპექტი, არამედ ეროვნული და რეგიონალური განსხვავებები.

ენობრივ დონეზე ენობრივი გამოვლინებების სიჭარბის მიუხედავად, კომუნიკაცია კომუნიკანტებს შორის უპრობლემოდ ხორციელდება. სოციოლინგვისტურ დონეზე, მკვლევრის განმარტებით, სასაუბრო ენა სოციალურად დეტერმინირებულია, მაგრამ სიტუაციურად, ყოველდღიურობით განსაზღვრული სასაუბრო ენა სოციალურად არამარკირებულია, რადგან ყოველდღიურობა თანაბრად ეხება ყველა მოსაუბრეს.

### **ლიტერატურა:**

1. Löffler Heinrich, Germanistische Soziolinguistic, 4., neu bearbeitete Aufgabe, Erich Schmidt Verlag GmbH & Co. KG, Berlin 2010.
2. [google.com/search?q=merkmale+der+umgangssprache&aq=chrome](https://www.google.com/search?q=merkmale+der+umgangssprache&aq=chrome) 30.Juni.2023.
3. [sprachenlernen24.de/blog/was-ist-umgangssprache/](https://www.sprachenlernen24.de/blog/was-ist-umgangssprache/) 30.Juni.2023.
4. [Ra.warbletoncouncil.org/lenguaje-coloqual-585](https://www.ra.warbletoncouncil.org/lenguaje-coloqual-585) 2.09.2023.
5. [de.wikipedia.org/wiki/Umgangssprache](https://de.wikipedia.org/wiki/Umgangssprache) 1.05.2024.
6. [de.wikipedia/wiki/Partikel-Partikel\(Grammatik\)](https://de.wikipedia/wiki/Partikel-Partikel(Grammatik)) 7.12.2022.
7. Bachelorarbeit-13.11.2012-Ivana-Fukova.pdf Kunkel-Razum, Münzberg, 2005 (DUDEN).
8. [studysmarter.de/schule/deutsch/sprachanalyse/umgangssprache/](https://studysmarter.de/schule/deutsch/sprachanalyse/umgangssprache/) 31.03.2024.
9. [sprachenlernen24.de/blog/was-ist-umgangssprache/](https://www.sprachenlernen24.de/blog/was-ist-umgangssprache/) 30.Juni 2023.
10. Duden, Deutsches Universalwörterbuch. 5., überarbeitete Auflage, Dudenverlag Mannheim-Leipzig-Wien-Zürich 2003.

11. Heringer Hans-Jurgen, Interkulturelle Kommunikation. Grundlagen und Konzepte. 2. Aufgabe, A. Franko Verlag Tübingen und Basel 2007.
12. ღამბაშიძე მ., კულტურა ენაში. „საენათმეცნიერო ძიებანი“, XLII, გვ. 95-109. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, თბ., 2021.

**Manana Gambashidze**  
***Linguistic and Sociolinguistic Aspects of Colloquial Language***  
**Summary**

Important formulations referring the colloquial language are given in the H. Löffler's studies.

A special moment is that a colloquial language, which unequivocally dissociate itself from a literary language, derives its examples (abundance of dialogues) namely from the literary language. There are 300 dialects in Germany, and each of them was originated within the 30 km radius. As the researcher mentions, not separate linguistic and diversity aspects, but national and regional variations make a difference.

Despite the abundant linguistic manifestations existing at the language level, communication between communicants is problem-free. As the researcher explains, the colloquial language is socially determined at the sociolinguistic level, but the colloquial language defined situationally, by everyday life, is not socially marked, as far as the everyday life equally concerns each conversational partner.

**Манана Гамбашидзе**  
***Языковые и социолингвистические аспекты разговорного языка***  
**Резюме**

Важные формулировки, касающиеся разговорного языка, приведены в исследованиях Х. Лёфлера.

Особым моментом является то, что разговорный язык, который однозначно отмежевается от литературного языка, свои примеры (обилие диалогов) берет именно из литературного языка. В Германии существует 300 диалектов, и каждый из них возник в радиусе 30 км. Как отмечает исследователь, отличия создают не отдельные языковые аспекты и аспекты разнообразия, а национальные и региональные различия.

Несмотря на избыток языковых проявлений на языковом уровне, коммуникация между коммуникантами происходит безо всяких проблем. По толкованию исследователя, на социолингвистическом уровне разговорный язык социально детерминирован, однако ситуативно, повседневностью определенный разговорный язык социально не маркирован, поскольку повседневность одинаково затрагивает всех собеседников.

**მადონა შელია**  
(საქართველო)

**თარგმანის პრაგმატიკული ასპექტები სამეცნიერო  
და ლიტერატურულ ტექსტებში**

წინამდებარე სტატია ეძღვნება ტოლმნიშვნელოვნობის შესწავლას, როგორც ფილოლოგიური ჰერმენევტიკის არსებით ნაწილს, რომელიც უნდა ტარდებოდეს არა თავისთავში ჩაკეტილი ემიური სისტემის ფარგლებში, არა როგორც ცალკეულ ერთეულთა (ანდა მათი რთული ეკვივალენტებისა მოცემული ენის სემიოლოგიური სისტემის ფარგლებში) განყენებული სემანტიკური დაპირისპირება, არამედ თანამედროვე ფუნქციურ-კომუნიკაციური მეთოდის საფუძველზე, მეტყველების რეალური ნაწარმოებების სხვადასხვა ფუნქციურ სტილებში.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინი „კოგნიტიური“ („კოგნიტიური ფილოლოგია“, „კოგნიტიური სემანტიკა“, „კოგნიტიური სინტაქსისი“ და ა.შ.). ეს ტერმინი, უდავოდ, იმსახურებს მეტად სერიოზულ ყურადღებას, ვინაიდან ენათმეცნიერების საგანი არაერთგზის განიცდის სხვადასხვაგვარ მეტამორფოზას. „კოგნიტიური“ – ესაა ფილოსოფიური ტერმინი და ფილოსოფიურ ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც „შემეცნებადი“, „შემეცნების შესაბამისი“. ჩვენთვის საინტერესო სემიოლოგიური სისტემა, ე.ი. ბუნებრივი ადამიანური ენა, შეისწავლება, პირველ ყოვლისა, სინამდვილის იმ საგნების შემეცნების თვალსაზრისით, რომლებიც მთელი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენენ. თუკი შევეცდებით ამ ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გამოთქმას შედარებით უფრო ჩვეულ საენათმეცნიერო ენაზე, ცხადი გახდება, რომ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ყველა დაკვირვება, რომელიც შეიძლება ჩავატაროთ, ყველა დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ მეტყველების გამოყენების სხვადასხვა რეგისტრების, სხვადასხვა ხერხებისა და სახესხვაობების სრულიად პირდაპირ და უშუალოდ შემეცნებად გარკვეულ ემპირიულ ფაქტებთან ერთობლიობაში, როგორც მოკლე, ისე ვრცელ მეტყველებით ნაწარმოებებში მთელი მათი ფაქტიური მიმართულებით. მკვლევრების ყურადღების ცენტრში ამ შემთხვევაში აღმოჩნდება სრულიადაც არა საგნის წინასწარ განზრახული შეზღუდვა „სტრუქტურებით“, რომლებიც წარმოაჩენდნენ გამოხატვის რომელიმე ყველაზე უფრო ერთმნიშვნელოვან ხერხებს, არამედ თვით სამეტყველო სინამდვილე, ე.ი. ის, თუ როგორ ხდება, რომ რეალურ მეტყველებაში, მეტყველების ნაწარმოებთა მთელ უსასრულო მრავალგვარობაში ერთნაირი და განსხვავებული, ფაქტობრივად, არა მარტო შეეფარდება ერთმანეთს, არამედ ემსახურება ურთიერთობის სრულიად რეალურ და კონკრეტულ მიზნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ამოვდივართ იქიდან, რომ ურთიერთობის გარემოებანი და მიზნები შეიძლება სრულიად განსხვავებული, ლოგიკურად გაუთვალისწინებელი იყოს.

თუმცა ძნელია ერთ ენაზე დაწერილი ისეთი ცოტად თუ ბევრად ცნობილი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოების წარმოდგენა, რომელიც გადმოტანილი ან თითქოსდა ხელახლა შექმნილი არ ყოფილიყოს სხვა ენაზე ან ენებზე, და თუმცა

მოთხოვნილება სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანზე სულ უფრო იზრდება, თარგმანის არსის შესახებ არსებული მრავალი საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მართლაც, გაურკვეველია, თუ რამდენად ინარჩუნებს რეალურ თავისთავადობას, რამდენად რჩება უცვლელი ერთი და იგივე ნაწარმოები ორიგინალსა და თარგმანში. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ პრობლემატიკის განხილვა განსაკუთრებით საჭიროა უფრო დაწვრილებით, ვინაიდან თარგმანებთან ერთად ფართოდაა გავრცელებული მოცემული შინაარსის მრავალფეროვანი ტრანსპოზიციები იმავე – რაც მთავარია – სხვა ენისა, რომლებშიც, როგორც ჩანს, არ წარმოადგენენ თარგმანებს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სამეცნიერო სტილის გადმოსაცემად მთელი ცალკე ტერმინოლოგიური სისტემაც კი არსებობს, რომელიც შექმნილია იმავე შინაარსის სხვადასხვა ტრანსპოზიციების აღსანიშნავად – შინაარსის გადმოცემა, რეფერატი და ანოტაცია. ამ ტერმინებით აღინიშნება მთელი სისტემა გრადაციებისა, რომლებიც პირველდაწყებითი ტექსტის ხასიათის მიხედვით შეიძლება იყვნენ როგორც მეტად ან ნაკლებად გავრცობილი, ისე, პირიქით, მეტად ან ნაკლებად შეკვეცილი. არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე ე.წ. დისკრიპტორების დახმარებით ინფორმაციის რედუცირების საშუალებათა ფართოდ გავრცელებული სისტემაც.

და მაინც, რა ხდება ფაქტობრივად, როდესაც მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების ნაწარმოები „ითარგმნება“ სხვა ენაზე? როგორც ტერმინის – „თარგმნა“ – განსაზღვრებიდან ჩანს, მხატვრულ ლიტერატურაში ეს არის „სხვა ენაში გამოხატვის ისეთი საშუალებების გამონახვა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ენაზე არა მარტო იმ მრავალფეროვანი ინფორმაციის გადაცემას, რომელსაც მოცემული მეტყველებითი ნაწარმოები შეიცავს, არამედ აგრეთვე ახალი ტექსტის რაც შეიძლება სრულ შესაბამისობას თავდაპირველ ტექსტთან ფორმის (როგორც შინაგანი, ისე გარეგანი) მიხედვითაც, ასევე სხვა ენაზე ისეთი ცნებების გადაცემისას, რომლებიც არ არიან მასში დამკვიდრებული მყარი გამოთქმების სახით“.

თარგმანის არსის შესახებ არსებული მრავალი საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მართლაც, გაურკვეველია, თუ რამდენად ინარჩუნებს რეალურ თავისთავადობას, რამდენად რჩება უცვლელი ერთი და იგივე ნაწარმოები ორიგინალსა და თარგმანში. თარგმანი რთული და წინააღმდეგობრივი ფსიქოლოგიური ფენომენია. ამავე დროს, უაღრესად ინდივიდუალური და სუბიექტური ფაქტორებით განპირობებული. თითქმის უმეტეს ინგლისურ სიტყვას ქართულშიც რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია და ეს საკმაო სიძნელეს უქმნის მათ. საუკუნეების განმავლობაში მრავალი აზრი და შეხედულება გამოთქმულა თარგმანის დანიშნულებაზე, მის აუცილებლობასა და მის არსებობაზე. მრავალი თეორიული კვლევა მიეძღვნა თარგმანის ფენომენს და ყველა მათგანი ერთ საკითხზე თანხმდება – თარგმანმა მაქსიმალურად უნდა ასახოს დედანში მოქცეული განცდა და შინაარსი. ასევე, თარგმნის სირთულეების დაძლევისთვის საჭიროა მთარგმნელობითი ჩვევების გამომუშავება, რაც მთარგმნელისაგან სიტყვის მნიშვნელობის მიხვედრის ჩვევის გამომუშავებასაც მოითხოვს. ეს კი მთარგმნელისგან დიდ სირთულესთან შერკინებას გულისხმობს.

თარგმანი თვით მხატვრული ლიტერატურის შემთხვევაშიც კი, არც თუ იშვიათად, დაიყვანება მოცემული მონათხრობის ან მოცემული შინაარსის „მოკლედ

გადმოცემაზე“. ამასთან, ასეთი „გადმოცემის“ ხასიათი განისაზღვრება თვით მთარგმნელის მიერ. თარგმანი „კარგად“ ითვლება, თუკი ის პირი, რომელიც „გად- მოსცემს“ მოცემულ სიუჟეტს ან მოცემულ ფაბულას: 1) თვითონ არის მწერალი, ე.ი. თვითონ შეუძლია ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა თავის ენაზე და 2) საკამრისად ნიჭიერია იმისთვის, რომ შეძლოს ჩაწვდეს ორიგინალის „სულს“, შეძ- ლოს გადმოსცეს მისი როგორც ენობრივი, ისე ექსტრალინგვისტური სპეციფიკა ვერტიკალური კონტექსტის ჩათვლით. იმისათვის, რომ მთარგმნელმა სრულყოფი- ლი თარგმანი მიიღოს, მარტო ენების ცოდნა როდი კმარა. თარგმანის მაღალ დო- ნეზე შესასრულებლად მან უნდა იცოდეს ის გზებიც, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლა. მხოლოდ ამ თვისებების მქონე ადამიანს ძალუძს რამდენადმე მიახლოება ორიგინალთან. ხოლო რაც შეეხ- ება საკუთრივ ენობრივ ტოლმნიშვნელოვნობას, თუ ასე გავიგებთ მთარგმნელთა მიერ ჩვეულებრივ მიღწეულ შედეგებს, ის საერთოდ არ არსებობს, მასზე ლაპარა- კიც ზედმეტია. ამიტომ ნებისმიერი ორი ტექსტის ორიგინალისა და თარგმანის შე- დარება თვალნათლივ ცხადყოფს, რომ მათში სტილი ბევრ რამეში არ არის თან- ხვედნილი, და რომ ტოლმნიშვნელოვნობაზე ლაპარაკი, ფაქტობრივად, გამორიც- ხულია. ასე, მაგალითად, თარგმანში ჩვეულებრივ არ არის დაცული პირველწყა- როს ფუნქციური პერსპექტივა, მაგრამ საკმაო ყურადღება ექცევა ორიგინალის ზოგად რიტმულ აგებულებას; ამასთან, მთარგმნელები, ჩვეულებრივ, ვერ ახერხე- ბენ იმ ზოგადი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური სურათის შენარჩუნებას, რომე- ლიც უზრუნველყოფს დედნის განუმეორებელ მხატვრულ ქდერადობას, ხოლო რაც შეეხება, მაგალითად, მორფოლოგიას, აქ საქმე გაცილებით უფრო ნაკლებად და- მაკმაყოფილებელია, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ორი ენის მორფოლოგიური სისტემები საკმაოდ ბევრად შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან (თვით ახლო მონათესავე ენების შემთხვევაშიც კი), რის გამოც მთარგმნელს უძნელდება პირველდაწყებითი ტექსტის მორფოლოგიური აგებულების აღდგენა.

"The studio was filled with the rich odour of roses, and when the light summer wind stirred amidst the trees of the garden there came through the open door the heavy scent of the lilac, or the more delicate perfume of the pink-flowering thorn".

ქართული თარგმანი:

„ვარდის საამური სურნელებით სავსე იყო სასტუმრო სახელოსნო, მაგრამ ბაღში მსუბუქმა ზაფხულის ნიაჰმა ხეთა შორის ჩაიქროლა თუ არა, ღია კარიდან სახელოსნოში იასამნის დამატრობელი თუ კიდევ მასზე უფრო უნაზესი, მიწის- ფრად აყვავებული კუნელის ყვავილთა კეთილსურნელება შემოიჭრა“.

იმისათვის, რათა რეალურად გამოვაგლინოთ მსგავსებანი და განსხვავებანი, ფილოლოგებმა, რომლებიც შედარებით ტექსტოლოგიას სწავლობენ, პირველ რიგ- ში, უნდა განახორციელონ ე.წ. „უკუთარგმანი“, ე.ი. ორიგინალიდან მთლიანად მოწყვეტით საწყის (source) ენაზე გადმოსცენ ის, რაც „პირველდაწყებითი თარგმა- ნის ენაზე“ (target language) იქნა მიღებული. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, „ახა- ლი“ ინგლისური ტექსტი შემდეგ სახეს მიიღებს:

"The studio was filled with the pleasant odour of roses, but when in the garden the light summer wind blew among the trees, an intoxicated scent of lilac or the more delicate perfume of blooming thorn burst into the studio through the open door".

ამაზე ადვილი არაფერი შეიძლება იყოს, მაშინაც კი, თუკი საქმე ინტელექტურ ან ფაქტიურ ინფორმაციას შეეხება. მაგრამ როდესაც ჩვენ „უკუთარგმანებს“ ვუდარებთ ორიგინალს, ვრწმუნდებით, რომ ამგვარი ტექსტები მხოლოდ ღიმილს იწვევენ, ვინაიდან მხატვრულ-სიტყვიერი შემოქმედების თავდაპირველი ნაწარმოებიდან მათში აღარაფერია დარჩენილი.

ქართულიდან ინგლისურ ენაზე შესრულებულ „უკუთარგმანში“ კი ასეთი ვითარებაა: ორიგინალში ნათქვამია: "The studio was filled with the rich odour of roses"..., ხოლო უკუთარგმანში: "rich" დაიკარგა და მის მაგივრად კი არის "pleasant". შემდეგი წინადადება – "the light summer wind stirred amidst the trees" ქართულად ინგლისურ ენაზე თარგმნილია როგორც – "the light summer wind blew among the trees". ზმნა "to stir" შეცვლილია ზმნით "to blow", "the heavy scent of the lilac" ითარგმნება როგორც "an intoxicated scent of the lilac". ორიგინალში ნათქვამია: "there came ... the more delicate perfume of the pink-flowering thorn", ხოლო თარგმანში ქართული ენიდან: "the more delicate perfume of blooming thorn burst into the studio".

ვფიქრობთ, რომ უკვე უბრალო მოკლე აბზაცის „თარგმანიც“ კი საკმარისია იმისთვის, რომ ნათელი გახდეს განსახილველი პრობლემის მთელი სირთულე და განშტოებულობა. ცხადია, რომ „ინტელექტიური“ ინფორმაციის ადექვატურად გადაცემა ხდება ყველა შემთხვევაში: რომელი ენაც არ უნდა ავიღოთ, მივხვდებით, რომ სცენა ხდება სტუდიაში, ზაფხულში, რადგან ვარდების არმატი ბაღიდან ოთახში იჭრება და ყველა ყვავილს, რომლებიც ბაღში ხარობენ, თავისი განსაკუთრებული სურნელი აქვს. მაგრამ ამგვარი „ინფორმაცია“ სულაც არ არის „თარგმანი“ იმ აზრით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს მხოლოდ და მხოლოდ აღწერაა ექსტრაფილოლოგიური სიტუაციისა და იმ გარემოს შეჯამებული გამოსახულება, რომლის ფონზეც იშლება მოცემული სიუჟეტი. „კარგ“ თარგმანად ითვლება ისეთი თარგმანი, რომელსაც ნამდვილად ძალუძს მკითხველის დარწმუნება მოცემული მწერლის იდეებისა და მსოფლგაგების ჭეშმარიტებაში.

„მხატვრული თარგმანი“ სრულიად განსხვავებულია „ინტელექტური პროზის“ თარგმანისაგან. ამ შემთხვევაში „თარგმანი“ – ეს ნამდვილად თარგმანია. ამოცანა აქ იმაში მდგომარეობს, რომ თავდაპირველი ტექსტის აზრი ორიგინალთან რაც შეიძლება ზუსტად და ახლოს იქნეს გადმოცემული. ლიტერატურულ-მხატვრული ტექსტების შემთხვევაში კი, რომ აღარაფერი ვთქვათ პოეზიაზე, ყველაფერი სხვანაირადაა. პოეტური თარგმანის ანალიზისას, ისევე როგორც პროზის შემთხვევაში, აუცილებელია პოეტური ნაწარმოების სტილის, რიტმის, ინტონაციის, სინტაქსური წყობის, მხატვრული სახეებისა და სხვა ლიტერატურული კომპონენტების გათვალისწინება და ყველა ამ ელემენტის პოეზიის კანონების მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოებში მოქცევა.

ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ მკვეთრი ხაზის გავლებას, ერთი მხრივ, „ინტელექტიურ ინფორმაციასა“ და, მეორე მხრივ, ენის, როგორც ისეთი პოეტური საშუა-

აღების გამოყენებას შორის, რომლის დახმარებითაც ხორციელდება ესთეტიკური ზემოქმედება მკითხველზე (მსმენელზე). ეს დიქტომია არა მარტო მეცნიერულადაა დასაბუთებული, არამედ აუცილებელიცაა, მაგრამ რაც არ უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს მკვეთრ ზღვარს ტექსტის ორ ძირითად სახეობას შორის, სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია. როგორც ცნობილია, განსაკუთრებით გამორჩეული მეცნიერები ისე წერენ, რომ მათი ტექსტები არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნენ როგორც ტექსტები, რომლებიც უბრალოდ გადმოგვცემენ ინტელექტურ ინფორმაციას. ისინი სრულიად კანონზომიერად იყენებენ მეტყველების სხვადასხვაგვარ ფიგურებს.

აღნიშნული დებულების დასადასტურებლად მოგვაქვს ნაწყვეტი ე. ბენვენისტის ცნობილი ნაშრომიდან:

"Il est survenu au cours de ces dernieres annees dans les etudes portant sur le languages et les langues des changements considersbles et dont la portee depasse meme l'horizon pourtant tres vaste de la linguistique. Ces chahgements ne se comprennent par d'emblee; ils de derobent dans leur manifestation meme; a la longue ils ont rendu beaucoup plus malaise l'accès des travaux originaux, qui se herissent d'une terminologie de plus techniques. C'est un fait: on eprouve grande difficulte a lire les etudes des linguistes, mais plus encore acompredre leurs preoccupations. A quoi tendent-ils, et que font-ils de ce qui est le bien de tous les hommes et ne cesse d'attirer leur curiosite: le language?"

მოვიტანოთ ამავე ტექსტის ავტორიზებული თარგმანი ინგლისურ ენაზე:

"During the course of these last years, extensive changes, whose scope extends even beyond the already very broad horizon of linguistics, have taken place in studies dealing with language and languages. These changes may not be understood all at once – they elude one even as they appear. In the long run, they have made difficult the approach to new works, which bristle with an increasingly technical terminology. It is a fact that great difficulty is experienced in reading linguists and even more in comprehending their concerns. What are they aiming at and what are they doing with what is the property of all men and never ceases to attract their curiosity – language?"

თარგმანი ფრანგული ენიდან ქართულ ენაზე:

„ამ ბოლო წლების შრომებში, რომელთა კვლევის საგანს წარმოადგენს როგორც ენა ზოგადად, ასევე კონკრეტული ენები, შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა საზრისი სცილდება ენათმეცნიერების ისედაც ვრცელ ჰორიზონტს. ამ ცვლილებების გაგება ერთბაშად შეუძლებელია. ისინი თავისი ფორმითა და სახით თვითონ გვიძნელებენ მათი მნიშვნელობის ჭეშმარიტად წვდომას. ამ ცვლილებებმა ფრიად გააძნელეს ორიგინალურ შრომათა გაგება, რომლებიც გვაშინებენ სპეციალური ტერმინოლოგიის მზარდი სიუხვით, რომ ძალიან ჭირს ლინგვისტთა შრომების კითხვა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია გაგება, თუ როგორია მათი შინაგანი მიზანდასახულობა. რისკენ მიიღტვიან ლინგვისტები და რა სახით და პირით წარმოაჩენენ ისინი იმას, რაც ყველა ადამიანს ეკუთვნის და ნიადაგ აღუძრავს ინტერესს – ენას?“



იმისათვის, რათა შევადაროთ ეს თარგმანები, პირველ ყოვლისა, აუცილებელია (რადგან ეს სამეცნიერო ტექსტია) გამოვყოთ ყველა სინტაგმა, ე.ი. შევადაროთ ყველა სინტაგმის ნუსხა. დავიწყოთ ფრანგული ენიდან:

1.- Il est survenu; 2.- au cours de ces dernieres annees; 3.- dans les etudes portant sur le language et les langues; 4.- des changements considerable; 5.- et don't la portee depasse meme l'horizon pourtant tres vaste de la linguistique.

განვიხილოთ შესაბამისი ეკვივალენტები ავტორიზებულ ინგლისურ თარგმანში:

1.- have taken places; 2.- during the course of these last years; 3.- in studies dealing with language and languages; 4.- extensive changes; 5.- whose scope extends even beyond the already very broad horizon of linguistics.

ამ ორ შემთხვევაში 5 სინტაგმაა. განვიხილოთ ქართული თარგმანი. ეს ტექსტი შემცირებულია ერთი სინტაგმით:

1.- ამ ბოლო წლებს; 2.- შრომებში, რომელთა კვლევის საგანს წარმოადგენს როგორც ენა ზოგადად, ასევე კონკრეტული ენები; 3.- შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები; 4.- რომელთა საზრისი სცილდება ენათმეცნიერების ისედაც ვრცელ ჰორიზონტს.

ამ თარგმანში დაიკარგა "Il est survenu", კერძოდ, ქართულ თარგმანში ჩვენ გვხვდება ზმნა – „შეინიშნება“. გამონათქვამის პერსპექტივა დარღვეულია, ვინაიდან არც ერთი თარგმანი არ იწყება „ყოფითი“ "Il est survenu"-ს ეკვივალენტური გამოთქმით.

როდესაც ჩვენ ვაწარმოებთ შედარებით კვლევას მეტყველების სფეროში, ე.ი. ვიხილავთ მთლიან მეტყველებით ნაწარმოებებს, რა თქმა უნდა, აქ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ფუნქციურ პერსპექტივას. ჩვენი პრობლემისათვის, ანუ სამეცნიერო ტექსტის შედარებითი შესწავლისათვის სემასიოლოგიურ ჭრილში – განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი საკითხი: თუკი ეს ერთი და იგივე ნაწყვეტის თარგმანია, მაშინ რატომ უნდა ჰქონდეს ადგილი ცვლილებებს საზოგადოდ? აქედან – შემოთავაზებული ცდა მეცნიერული მეტყველების თარგმანთა შეპირისპირებისა. რატომ არ შეიძლება ინგლისურ ენაზე დავიწყოთ ასე: "there have been, in the course of these last years, extensive changes"... ისევე როგორც ქართულში – „შეინიშნება ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები...“ არ შეიძლება ფრანგულ ენაზე შერჩეული ფუნქციური პერსპექტივის შენარჩუნება?

საინტერესოა შემდეგი მომენტიც: ფრანგულ ტექსტში პირველი სინტაგმა პირველ პოზიციაშია, ავტორიზებულ თარგმანში მან მეოთხე პოზიციაში გადაინაცვლა, ხოლო ქართულ თარგმანში – მესამე პოზიციაში.

როდესაც ვლაპარაკობთ შედარებით ანალიზზე, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის ტოლმნიშვნელოვნობის შესახებ სამეცნიერო ტექსტის სფეროში, ვრწმუნდებით, რომ სურათი არაჩვეულებრივად ჭრელია, რაც მხატვრულ ტექსტში შეიძლება აიხსნას იმით, რომ მთარგმნელს ეს აუცილებლად მიაჩნია ესთეტიკური მოსაზრებებით, მაგრამ რა საჭიროა პერსპექტივის შეცვლა სამეცნიერო ტექსტში? რითაა განპირობებული შეტანილი ცვლილებები? როდესაც ე. ბენვენისტმა წინადადება დაიწყო "il est survenu"-თი, იგი ეყრდნობა მთელი ენის ფუნქციურ პერსპექტივას, როგორც ჩანს, ფრანგული ენის სინტაქსი პრინციპულად განსხვავდება მოსაზღვრე ენების

სინტაქსისაგან. "Il est survenu" ითარგმნება როგორც „შეინიშნება“. ამიტომ დარღვევებს ფუნქციურ პერსპექტივაში აუცილებლად თან სდევს ლექსიკური ფრაზეოლოგიური ცვლილებები. შეგვიძლია თუ არა ჩავთვალოთ, რომ მეცნიერული მეტყველებისათვის აბზაცის ფუნქციურ პერსპექტივას, ელემენტების ურთიერთგანლაგებას მის შემადგენლობაში საერთოდ არა აქვს არავითარი მნიშვნელობა? პრობლემა ნათელია: რას ნიშნავს „იგივე“, რას ნიშნავს „თარგმანი“ და რას ნიშნავს დამოუკიდებელი ენობრივი ნაწარმოები, რომლებსაც საერთო ექსტრალინგვისტური ჩონჩხი აქვთ. თითოეული ამ წინადადებიდან ძალიან ადვილად შეიძლება დავიყვანოთ რაიმე განსაზღვრულ ინფორმაციულ მინიმუმამდე, ე.ი. თითოეული ამ წინადადების მიმართ შეიძლება „გამოვწუროთ“ გარკვეული აზრობრივი ჩონჩხი ისე, რომ სრულიად არ შეგვეხეთ ამ ცნობების მიწოდების ხერხებს. „თარგმანის“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამოვყოთ გარკვეული აზრობრივი ჩონჩხი და შემდეგ ამ „ჩონჩხს“ „მოვარგოთ“ ამა თუ იმ ენის შესაბამისი იდიომატური გამოთქმები.

როდესაც სამეცნიერო ტექსტის შემქმნელი სტილისტურ ოსტატობას ამჟღავნებს, როდესაც ის წერს როგორც სიტყვის ნამდვილი ოსტატი, მან უნდა გადაწყვიტოს, როგორ მიუდგება იგი ორიგინალს – როგორც სტილისტი, როგორც ადამიანი, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი შეაფასოს ესთეტიკური ღირსებები ორიგინალისა, თუ უნდა შეეცადოს გადმოთარგმნოს თავის ენაზე, ასე ვთქვათ, ორიგინალის ზუსტ ასლად?

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი. საქმე ისაა, რომ ემილ ბენვენისტი არ იყო მხოლოდ ფრანგული ენის ბრწყინვალე მცოდნე. მან სრულყოფილად იცოდა, აგრეთვე, ინგლისური და, ალბათ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ორი ენის ცოდნა მეცნიერულ შემოქმედებით პროცესში განაპირობებს ერთგვარ შინაგან ურთიერთქმედებას ორ უნარს შორის, ქმნის საფუძველს უფრო წარმატებული „ტრანსპოზიციისა“ და უფრო ადვილი და სრულყოფილი გადასვლისათვის ერთი ენიდან მეორეზე.

თარგმანი წმინდა პრაგმატიკული საქმიანობაა, რადგანაც იგი სრულდება იმ მიზნით, რომ ნაწარმოები მივიდეს იმ მკითხველამდე, ვინც არ ფლობს დედნის ენას. იმისათვის, რომ მთარგმნელმა სრულყოფილი თარგმანი მიიღოს, მარტო ენების ცოდნა როდი კმარა; თარგმანის მაღალ დონეზე შესასრულებლად, მან უნდა იცოდეს ის გზებიც, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლა. მხატვრული სტილების ტექსტების თარგმანმა მაქსიმალურად უნდა ასახოს დედანში მოქცეული განცდა და შინაარსი. თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს დედნის ყველა კომპონენტი და მკითხველზე მოახდინოს ისეთივე შთაბეჭდილება, როგორც დედანმა.

სამეცნიერო და მხატვრული სტილების ტექსტების შესწავლამ გვიჩვენა, რომ თარგმანის პრობლემა სხვადასხვაგვარადაა გაგებული. მხატვრული ტექსტის თარგმანი ამდიდრებს არა მარტო კულტურას, არამედ თვით ენასაც – ახალი სიტყვებით, სტილისტური ხერხებით, ფრაზეოლოგიით, გამოხატველობითი საშუალებებით და თარგმნილი ლიტერატურა თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით სერიოზულად მოქმედებს ენის ლიტერატურული ნორმების დანერგვაზე, სიტ-

ყვის აზრის, ემოციის, უღერადობის გაგების უნარზე. სამეცნიერო ტექსტში ჩვენ არ შეგვიძლია ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ ის სტილისტური ამოცანები, რომელთა გადაჭრასაც ცდილობს ავტორი, ვინაიდან სამეცნიერო ტექსტის წამყვან, უპირიორადეს მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემა.

#### **ლიტერატურა:**

1. Juliane House. Translation. The basics. Second edition. United Kingdom. London. 2023.
2. Adriana Tassini. The Translator Training Textbook. Publisher CreatSpace. 2011.
3. Sonia Colina. Fundamentals of Translation. Cambridge University Press. 2015.
4. Routledge Encyclopedia of Translation Studies. Edited by Mona Baker. United Kingdom. 2001.
5. Oscar Wilde. The Picture of Dorian Gray M. 2000.
6. Emile Benveniste. Poblems de Linguistique generale. Paris. 2002.
7. დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. გამომცემლობა „გარნეტი“. ლონდონი. A Comprehensive Georgian-English Dictionary. Garnett Press. London. 2006.
8. Cambridge International Dictionary of English. Cambridge University Press, 2000.

### **Madona Shelia**

#### ***Pragmatic Aspects of Translation in Scientific and Literary Texts***

#### **Summary**

The study of literary and scientific texts showed us that the problem of translation is understood in different ways. The translation of the literary texts enriches not only the culture, but also the language itself – with new words, stylistic methods, phraseology, means of expression, and translated literature with its diversity seriously affects the literary norms of the language. In a scientific text, we cannot focus on the stylistic tasks that the author is trying to solve, since the main, most fundamental goal of a scientific text is to convey information.

### **Мадона Шелия**

#### ***Прагматические аспекты перевода в научных и художественных текстах***

#### **Резюме**

Исследование текстов научного и художественного стилей показало нам, что проблема перевода понимается по-разному. Перевод художественного текста обогащает не только культуру, но и сам язык – новыми словами, стилистическими приемами и фразеологией, а перевод своим разнообразием серьезно влияет на внедрение литературных норм языка, на способность понимать смысл, эмоцию. В научном тексте мы не можем акцентировать внимание на стилистических задачах, которые пытается решить автор, поскольку главная, самая принципиальная цель научного текста – передать информацию.

Нино Этерия  
(Грузия)

## О ХУДОЖЕСТВЕННОЙ ЦЕННОСТИ САТИРЫ

Обычно сатирический образ взаимосвязан с художественной многоцветностью, а также с сатирой, в которой главную роль играют и драматические, и трагические мотивы. Художественная ценность сатиры выражается и в языке, заключающем в себе пародию. Во главе сатирической фантастики по праву можно считать сказки Салтыкова-Щедрина, в которых писатель использует многие характерные ситуации и персонажи русских народных сказок: волк, заяц, медведь, баран, ворон и другие. Автор часто затрагивает сказочные выражения и обороты. Но, не смотря на это, сказочная форма заполняется остросатирическим, злободневным содержанием, сатирик использует её в своих целях.

Жанровая полнота сатиры при сохранении ее устойчивых признаков образного мышления мешает решить вопрос о родовой принадлежности сатирических произведений. Целиком сатиру не соотносят к лирике, эпосу или драме. К тому же она не совпадает ни с одним из литературных родов по своему образному языку. В связи с этим, в современном литературоведении появляется точка зрения на сатиру как на особый литературный род. Говоря о сатире, имеют в виду значение смеха, который напрямую связан с ней.

В известной книге М. М. Бахтина о Ф. Рабле карнавальный смех показан как значимая грань культуры разных стран и эпох. Ученый описал этот смех как общенародный, создающий атмосферу единения на почве жизнерадостного чувства; универсальный, направленный на мир в целом, в его вечном умирании и возрождении, амбивалентности, составляющей единство утверждения неисчерпаемых сил народа и отрицания всего официального, как государственного, так и церковного: всяческих запретов и иерархических установлений [1, 75]. Карнавальному восприятию, по Бахтину, присуще веселая относительность, пафос смен и обновлений. Иронический взгляд на мир даёт возможность человеку освободиться от догматической узости мышления, от односторонности, нетерпимости, фанатизма. Но не знающая границ ирония может завести в тупик нигилизма, бесчеловечности, обезличенности. Чрезмерная ирония, не знающая границ, может обернуться тотальным отрицанием гуманизма. Вместе с универсальной иронией, направленной на мир и человеческую жизнь в целом, есть ирония, порождаемая восприятием и осмыслением конкретных и вместе с тем глубоко значимых противоречий в жизни людей и их исторического существования. Именно такая ирония характерна для сатирических произведений. К примеру, для гоголевской сатиры характерны демократические тенденции, патриотический дух, пафос социального обличения. Тем не менее сатира Гоголя отличается большим художественным своеобразием, можно сказать, что сатира Гоголя, это сатира определенного художественного типа, существенно повлиявшая на современную сатиру.

Своеобразие сатирического в художественных произведениях является комическое – одна из самых сложных категорий, достаточно глубоко изучавшаяся в работах Я. Эльсберга [2, 67], Ю. Борева [3, 75], Б. Дземидока [4, 55], А. Манакяна [5, 77], А. Московского [6, 94] и др.

Независимо от разных высказываний относительно сатиры и юмора, ученые сходятся в одном: в юмористических произведениях обычно подвергаются осмеянию существенные, но частные недостатки жизненного явления, иногда и отдельные «смешные черты хороших

людей». А. Макарян утверждает: «рядом с острой, уничтожающей, разоблачающей сатирой, иронией нам нужен мягкий, снисходительный юмор, который вселяет радость, бодрость, приносит людям, уставшим от работы, отдых» [5, 4]. Не остаётся незамеченным и мнение А. Эвентова, который уверен, что юмор находится в противоречии с сатирой, он может быть одним из ее качеств, может формироваться в отдельный жанр, близкий по своему значению сатире. «Юмор, – говорит он, – может выразить веселость духа, жизненность, оптимизм, веселое торжество здоровых сил над косным» [8, 123]. Однако А. Эвентов не ограничивается только этим. Признавая элементарно-комическое, он считает, что в юморе сохраняется момент отрицания, так как «...юмор автора, передаваемый читателю, фиксирует не только наше доброе отношение к герою, но и безусловное осуждение того, что мы не приемлем.» [8, 124] – и в качестве примера приводит шолоховского деда Щукаря.

Таким образом, А. Эвентов, доказывая наличие в юморе сатирических элементов, возвращает понятию «юмор» его положительные свойства. Юмористический смех не отрицает жизненного явления, присущего сатире, а лишь сознает его несовершенство. Подобное высказывание мы находим и в монографии Д. Николаева «Смех – оружие сатиры». «Именно социально-комическое в жизни, где бы оно ни проявлялось, является предметом сатиры» [9, 27] – пишет он. Следует узнать: каким же образом бахвальство деда Щукаря можно отнести к социальным явлениям, непременно должны подвергающиеся «бескомпромиссному развенчиванию и осмеянию»? По всей вероятности, шолоховский дед Щукарь – это, прежде всего юмористический персонаж, без каких-либо отрицательных элементов. По мнению критика допускается «юмор положительный» и «юмор отрицательный». Задача юмора состоит в проявлении человеческих слабостей, с которыми часто приходится мириться и которые заслуживают снисхождения.

Сказанное не является утверждением непроходимой грани между сатирой и юмором. Наоборот, мы считаем, что их объединяет комический взгляд на жизнь. Другое значение имеет то, что юмористическая и сатирическая направленность обозначают определенный подход к явлениям, подразумевающий в свою очередь и определенные элементы мировоззрения и находящий свое выражение в сатире и юморе. Подтверждением тому служит высказывание В. Г. Белинского о повестях Н. В. Гоголя. Критик считал, что «истинный юмор Гоголя состоит в верном взгляде на жизнь»; т.е. на первый план В. Г. Белинский ставит авторскую оценку изображаемого. Гоголь, по мнению критика, «...часто с умыслом подшучивает над своими героями... без злобы, без ненависти; он понимает их ничтожество, но не сердится» [10, 176]. Из-за этого «не сердитого отношения к изображаемым событиям» и рождается, по словам В. Г. Белинского, «гумор чисто русский, гумор спокойный, простодушный, в котором автор как бы прикидывается простачком..., но это все-таки гумор, ибо не щадит ничтожества, возбуждает к нему отвращение. Этот гумор спокойный и, может быть, тем скорее достигающий цели».

В связи с этим, можно заключить, что юмористический смех разоблачает зло, и не обязательно, чтобы он имел социально-политическое значение. Сатира же напротив содержит резкое, решительное, беспощадное переосмысление объекта изображения: «В сатире обязательно должно быть разоблачение пороков и недостатков», – уверен Д. Николаев [9, 17]. С ним согласен Б. Дземидок: «Сатира является всегда формой отрицания и осуждения» [4, 169]. На наш взгляд, данные суждения являются справедливыми, так как предметом сатиры всегда является отрицательное, социально-комическое. В этой связи можно сказать,

что под сатирой следует понимать резкое и гневное разоблачение отрицательного вообще и общественного в частности. Отсюда следует вопрос: какой должна быть сатира – смешной или несмешной. Является ли веселый смех привилегией юмора? Критик Д. Николаев пытается объяснить и разграничить природу сатирического и юмористического. «Сатира, – серьезное искусство... Но как раз серьезность отношения к предмету отображения требует обязательного обращения сатирика к смеху как к средству раскрытия этого предмета» [9, 71]. Критик считает комическое приемлемым для сатирического произведения, он выступает за смешной рассказ и против того, чтобы любое хорошее, гневно-разоблачительное произведение считать сатирическим.

Важной, по нашему мнению, в осмыслении проблемы сатирического и комического является работа Н. Киселева, в которой упоминается так называемая «теория несмешной сатиры». Н. Киселев причисляет гневно-разоблачительную сатиру к частному случаю, утверждая, что произведения, в которых отрицательные явления изображаются с гневом, но без смеха, не являются сатирическими. По убеждению ученого, появление таких произведений связано с тем, что в жизни существуют отрицательные явления, которые не обладают объективным комизмом и не поддаются сатирической обработке. Поэтому, без комизма нет сатирического произведения, «...ведь сатира – это всегда единство смеха и гнева, она всегда изобличает с насмешкой и издевкой, с иронией и сарказмом. Возможна разная степень смешного в сатире, главное не забывать, что перед нами явление комическое» [11, 44].

### *Литერატურა:*

1. Бахтин М. М., Творчество Франсуа Рабле и народная смеховая культура 19. Средневековья и Ренессанса. М., 1965.
2. Эльсберг Я., Вопросы теории сатиры. М., 1957.
3. Борев Ю., О комическом, М., 1957.
4. Дземидок Б., О комическом. М., 1974.
5. Манабян А., О сатире, М., 1968.
6. Московского А., О природе комического, 1968.
7. Макарян А., О сатире. М., 1967.
8. Эвентов А., Остроумие схватывает противоречие // Вопросы литературы, 1973, №6.
9. Николаев Д., Смех – оружие сатиры. М., 1962.
10. Белинский В., Собр. соч. в 9 т. Т.1, М., 1976.
11. Киселев Н., Некоторые проблемы комического // Идеичность и мастерство писателя. Томск, 1967.

### **ნინო ეთერია სატირის მხატვრული ღირებულების შესახებ რეზიუმე**

ჩვეულებრივ, სატირული სურათი მხატვრულ მრავალფეროვნებასთან არის დაკავშირებული, ასევე – სატირასთან, რომელშიც მთავარ როლს დრამატული და ტრაგიკული მოტივები ასრულებენ. სატირის მხატვრული ღირებულება გამოსატყუელია იმ ენაშიც, რომელიც შეიცავს პაროდიას.

სატირის უანრული სისავსე, სახეობრივი აზროვნების მყარი თვისებების შენარჩუნებით, ხელს უშლის სატირული ნაწარმოებების წარმოშობის საკითხის გადაწყვეტას. მთლიანად სატირას არ აკავშირებენ ლირიკასთან, ეპოსთან ან დრამასთან. გარდა ამისა, ეს არ ემთხვევა რომელიმე ლიტერატურულ გვარს თავისი ფიგურალური ენით. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში ჩნდება თვალსაზრისი სატირაზე, როგორც განსაკუთრებულ ლიტერატურულ გვარზე. როცა ვსაუბრობთ სატირაზე, სიცილის მნიშვნელობას ვგულისხმობთ, რომელიც მასთან პირდაპირ კავშირშია.

იუმორისტული სიცილი ბოროტებას ამხელს და არ არის აუცილებელი, რომ მას ჰქონდეს სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. სატირა კი პირიქით, შეიცავს ასახვის ობიექტის მკვეთრ, გადამწყვეტ და დაუნდობელ ახლებურ გააზრებას. ცხოვრებაში არსებობს უარყოფითი მოვლენები, რომლებსაც არ გააჩნიათ ობიექტური კომიზმი და რომლებიც არ ექვემდებარებიან სატირულ დამუშავებას.

**Nino Eteria**  
*About the Artistic Value of Satire*  
**Summary**

As a rule, a satirical image is associated with artistic diversity, as well as with satire, in which dramatic and tragic motives play the main role. The artistic value of satire is expressed in the language in which it is parodied.

The fullness of the genre of satire, while maintaining a constant sign of figurative thinking, obscures the question of the patriotic affiliation of questionable works. As a whole, satire does not refer to poetry, epic or drama. In addition, it does not match any literary layer with its symbolic language. In this regard, in modern literary criticism, the point of view is visible as satire, as a special literary genre. To speak of satire is to mean the meaning of laughter, which is directly related.

Humor depicts evil and does not necessarily have a socio-political meaning. On the other hand, satire depicts a sharp, decisive, merciless review of the object. There are negative events in life that do not have objective comedy and do not lend themselves to the satirical process.

**დავით მამაიაშვილი**  
(საქართველო)

**სამეცნიერო დარგებისათვის აქტუალური ნეოლოგიზმებისა  
და ნასესხობათა ანალიზი**

იდეა-პროექტის ამჟამინდელი ფორმა აერთიანებს თემატურად მონათესავე საკითხების ერთობლიობას, რომლებიც მომავალში შესაძლოა ცალკე კონკრეტულ კვლევით მიმართულებებადაც ჩამოყალიბდეს.

თხრობის ნაკლებად ტერმინოლოგიური ფორმა და სტილისტიკა ემსახურება ჩანაფიქრს, რომ მასალას (მომავალ სტატიებს) მიეცეს შედარებით თხრობითი საკითხავის ფორმა, რათა იგი საინტერესო გახდეს გაცილებით ფართო მკითხველისათვის, ვიდრე მხოლოდ სპეციფიკური, მეცნიერული და შესაბამისი სამოყვარულო წრეებია.

ჩვენი ინტერესის საგანია სიტყვა და მასთან დაკავშირებული ცვლილება. სიტყვების შემთხვევაში, ესაა: რიგი არსებითი სახელებისა (ზოგჯერ სხვა მეტყველების ნაწილებიც: ზედსართავეები, ზმნები...), რომლებმაც დაწერილობითა (ფორმით) და მნიშვნელობით უკვე მოირგეს გარკვეული ყალიბი და დროთა განმავლობაში ცვლილებებიც განიცადეს, ან ამ სახის პროცესში იმყოფებიან. ამ თვალსაზრისით, სამი კატეგორია შეიძლება გამოვყოთ:

- ა) ლექსემები, რომელთაც უკვე განიცადეს ფორმობრივი ცვლილებები;
- ბ) ლექსემები რომელნიც კვლავაც განიცდიან შესამჩნევ (ან ბუნდოვან, არამკაფიო, ჯერაც გაურკვეველი სახის) შინარსობრივ, სახასიათო ცვლილებებს;
- გ) ლექსემები, რომელნიც შესაძლოა მომავალში დაექვემდებარონ გარკვეული სახის ცვლილებას.

წარმოგიდგინო კვლევის (შემდგომში კვლევათა) ძირითად Iა, IIა და თანმხლებ (Iბ და IIბ) მიმართულებებს:

Iა) შესაბამის სიტყვათა – ხოლო კვლევის ამ მიმართულებისათვის ძირითად შემთხვევაში ეს გახლავთ ნასესხობები (ასევე, ფრაზეოლოგიზმები) – (ფორმობრივ-დაწერილობითი და შინარსობრივი) სახეცვლილების, სემანტიკისა და ეტიმოლოგიური ქრონოლოგიური ისტორია.

სიტყვის ცვლილების მიზეზთა მოცემული სურათის განხილვა ძირითადად შემთხვევებში მოხდება არა წარსული, არამედ არსებული სახის ნიმუშებთან და პროცესთან დაკავშირებით. მთლიანობაში კი აღნიშნული ტიპის კვლევა ხორციელდება, ასე ვთქვათ, სიტყვის „სახეცვლილებათა ისტორიის“ შემონახვის მიზნით, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ შერჩეული სიტყვის ავთენტური, არამედ მისი „წინამორბედი სახეცვლილების“ აღწერაც; *რათა არ დაიკარგოს (დაფიქსირდეს, აღიწეროს, დახასიათდეს) როგორც მოცემული ნიმუშისათვის პირველადი ავთენტური სიტყვა, ასევე ყოველი მომდევნო-წინარე შესატყვისების ცვლილებათა ქრონოლოგია (მათ შორის, ნაკლებად ვინტერესდებით ჯარგონებითა და ცალსახად აშკარა ბარბარიზმებით, არამედ ფორმისა და შინარსის თვალსაზრისით ჩამოყალიბებისა და ენისათვის დამკვიდრების პროცესში მყოფი ე.წ. „გარდამავალი არეალის“ საერთაშორისო სიტყვებითა და ნასესხობებით, რომელთა თემატურ სახასიათო ნუსხასაც შეხვდებით ქვემოთ).*



იბ) ომონიმიური მიმართულება გულისხმობს ფორმით უცვლელი სიტყვების ფუნქციურ ცვლილებას (სხვადასხვა სფეროებისა და გარემოებათა მიხედვით, როგორებიცაა: ველი, ბალი, სერვისი, ოპერაცია, სემანტიკა და სხვ.); კვლევისათვის ისინი საყურადღებოა სპეციფიკური განმაპირობებელი ფაქტორებისა და ფუნქციურ ცვლილებათა მკვეთრი სიხისტის გამო.

იას) საერთაშორისო სიტყვებში არსებული და მიმდინარე ცვლილების დაფიქსირება (ანალიზი /აღწერა) მათი შინაარსებისა და კონტექსტის – ეთნოსური ინტერპრეტაციის კუთხით.

იბ) კვლევა მიზნად ისახავს კონოტაციური ელფერის სპეციფიკურ ცვლილებათა და მათ განმაპირობებელ მიზეზთა აღწერას (მაგ.: ამბიცია, მედგარი, სტაბილურობა). კვლევისათვის სპეციფიკურ შემთხვევაში (ისევე, როგორც იბ შემთხვევაში) იგულისხმება ნაკლებად, ანდა აშკარად არაბუნებრივი, დაინტერესებული მხარის მიერ ხელოვნურად განპირობებული ცვლილებისმიერი შემთხვევები.

განვიხილავთ, ასევე, ცვლილებებს ადამიანის (სოციუმში, საზოგადოებაში) მენტალური, მსოფლხედველობითი კუთხით, რის გამოც მათ მეტად ან ნაკლებად (რატომ და როგორ) მიიღეს ან არ მიიღეს აღნიშნული ენობრივი ცვლილებები.

მთლიანობაში (ავტორისათვის) კვლევის ორი ძირითადი სამოქმედო მოტივაციაა. ესაა: პრობლემური (ხშირად საგანგაშო) რეალობა და სამეცნიერო ინტერესისათვის ნიშანდობლივი პროცესის რეალობა.

საკითხის მნიშვნელობა და პრობლემატიკა:

იას) ენის ძირძველი ლექსიკა დროთა განმავლობაში ახალი ინფორმაციით იტვირთება და თითქმის არასოდესაა მხოლოდ ერთხელ მინიჭებული შინაარსის მატარებელი. ამიტომაცაა, რომ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის აღდგენა, მისი ეტიმოლოგიური კვლევა ძალიან რთული და ხშირად სადავოც არის. დროში ცვლილების (ან სავარაუდო ცვლილების) გამო (მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ფორმობრივი ცვლილება, არამედ შინაარსობრივი, სახასიათო, ენერგეტიკული და სხვა მოცემულობიდან რისიმე მიმატება, დაკარგვა ან გადააზრება) ჩვენთვის, ან მომავალი თაობებისათვის – ლექსიკის დიდი წილი შეიძლება დავიწყებას მიეცეს ან სრულიად შეცვლილი სახითდა შემოგვრჩეს. ასეთ შემთხვევაში მათი პირველადი, ავთენტური მნიშვნელობისა და ძირითადი კონტექსტის მიგნება შესაძლოა იმ მხატვრული, სოციალური, ყოფითი თუ სამეცნიერო წყაროების მიგნებამოკვლევითაც გაჭირდეს, რომლებშიც ისინი თავის დროზე იქნენ გამოყენებულნი. და პირიქით, თუ თვალს მივადევნებთ და აღვწერთ, დავახასიათებთ ასეთი ახალი, ანდა შინაარსითა და ხასიათით გარკვეულწილად ფორმირებული სიტყვების *სახეცვლილების პროცესს* დროის, ეპოქალური ძვრების, სოციალურ-კულტურული გარემოს ცვლის კვალდაკვალ – გაადვილდება უფრო ზუსტად გავიგოთ, რა მნიშვნელობა (მათ შორის სტილისტური სახის ვარიაციით) ჰქონდა ამა თუ იმ ლექსემას კონკრეტულ ტექსტში და რა მნიშვნელობა აქვს მას დღეს, ან რა სიტყვა ჩვენაცვლა მას თანამედროვე ქართულში.

აღნიშნული საყურადღებო ცვლილებათა დაფიქსირება და განმარტება მოხდება არა მხოლოდ სამომავლო შედეგის, არამედ არსებულ რეალობაში რეფლექსიისათვის (მთლიანობაში კვლევა სიქრონიულია, თუმცა თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაბამისი განხორციელების შემთხვევაში იგი სამომავლოდ კარგ სამსაურს გაუწევს რეტროსპექტიულ დიაქრონიულ ლინგვისტიკასაც).

იბ) შემდეგი სახის ცვლილებებთან დაკავშირებული ომონიმური (და პოლისემიური საკითხების) მიმართულება ითვალისწინებს ისეთი სიტყვების დახასიათებას (განმარტებას), რომელთაც არა ფორმით, არამედ ფუნქციურად განიცადეს მკაფიო შინაარსობრივი ცვლილება რიგ სოციალურ, კულტურულ სამეცნიერო და ყოფით კატეგორიებსა და ფენებში გამოყენების შესაბამისად. კვლევის ამ მიმართულებებში საქმე გვაქვს ლინგვისტიკისათვის ნაცნობი მოვლენის, ახალი ომონიმური აღმნიშვნელების ფრიად ხისტი დამკვიდრების მცდელობასთან, „ვიწრო“ პრაგმატულ დაკვეთასთან (კოლექტივური თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სახის კვლევისადმი უკვე არსებობს ქმედითი სამეცნიერო ყურადღება მაგ., ლინგვისტიკის თინათინ ბოლქვაძის მხრიდან. თუმცა ჩვენი შემთხვევა ყურადღებას „კერძო დაკვეთის ფაქტორთა შედეგებზე“ ამახვილებს). მას ვუწოდებთ ომონიმური სახის ცვლილებათა განსაკუთრებულ, დაინტერესებული მხარეთი განპირობებულ „ხისტ შემთხვევებს“.

იბა) ინტერესის საგანია ისეთი სიტყვები, რომლებიც გაცილებით ახალი ნაწესხობაა ქართულში და ამჟამადაც ორგანულია (ან მეტ-ნაკლებად ორგანული) ფართო საზოგადოებისათვის, როგორებიცაა: **აღტერნატივა, სნობი, ამბიცია, პრეროგატივა, ნოვაცია, ეპატაჟური** და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ კვლევისათვის ძირითადად (და არა მხოლოდ) ეს გახლავთ სიტყვები, რომლებიც წარმოშვეს მე-18-19 საუკუნეების ლიტერატურამ, კრედომ, პრიორიტეტებმა და კოლექტიური ცნობიერების ვექტორმა. რომელი სიტყვებიც ამჟამად წარმოადგენენ საერთაშორისო სიტყვებს (ე.წ. ინტერნაციონალიზმებს) საერთო შინაარსით; ჩვენი მიზანია, დავაფიქსიროთ ამ ინტერნაციონალიზმების ქართული ვერსიის მნიშვნელობა, ფაქიზი ეთნოგრაფიული ინტერპრეტაცია.

იბბ) მოცემული მიმართულება ესაა სიტყვის ელფერის, ემოციურობის, დამატებითი ელემენტების მინიჭების პრობლემატიკა. აღნიშნული მიმართულების კვლევის ტექსტში *სიტყვასთან დაკავშირებულ მიზეზებს, როგორც ცვლილების ფაქტორს, მათი ანალიზის შემთხვევაში, ტექსტში შევკვიდრია ვუწოდოთ სიტყვასთან მოაზრებული (დაკავშირებული) – „მინიჭებული რეზონანსების ფაქტორი“ (იგულისხმება კერძო ან მსგავსი პრაგმატული, ობივატელური სახის ინტერესისმიერი ხელოვნური ფაქტორი და მისით განპირობებული შესაბამისი „თავსმოხვეული“ კონოტაციური რეზონანსი როგორც კონკრეტული სიტყვისათვის და შედეგად ამ სიტყვის მიერ იმავე რეზონანსის გადატანა ადამიანის, სოციუმისა და ზოგადი შესაბამისი საკომუნიკაციო სამყაროსათვის). პრაგმატული ინტერესების, ხელოვნური ესკალაციის ანდა თანმდევი სოციალურ ტენდენციათა გამო, სიტყვამ შესაძლოა შეიძინოს მარგინალური ან კინობითი ხასიათი. ასეთ ვითარებაში ხალხში, საზოგადოებაში გაიკონტაქტება: სიტყვამ აზრი დაკარგა, ძალიან გაუფერულდა ეს სიტყვა, ამ სიტყვის უკვე მეშინია, არადა როგორ მიყვარდა, გავიწყობაც აღარ მინდა და მსგავსი სახის შედეგობრივ ღირებულებით დამოკიდებულებას.*

ამრიგად, შესაბამის სიტყვათა შერჩევისას ვხელმძღვანელობდით შემდეგი პრინციპებით:

1) სიტყვის „სახეცვლილებათა ისტორიის“ შემონახვის მიზნით (იგულისხმება არა მხოლოდ შერჩეული სიტყვის ავთენტური, არამედ მისი „წინამორბედი სახეცვლილების“ აღწერაც);

2) ასევე, აღსაწერ სიტყვათაგან ზოგი ნაცნობი და აბსოლუტურად მისაღებია, მაგრამ აღვწერთ, რათა დავადგინოთ კონკრეტული ეთნოსის შინაგანი ბუნების ზეგავლენა ამ ნასესხობის შინაარსსა და ფორმაზე (და პირიქით) ფაქიზი ეთნოლოგიური ინტერპრეტაციების სახით (აქვე, საინტერესო და აქტუალურია ტენდენციურ მიზეზთა შედგენად კონოტაციური ელფერის ცვლილებათა ნიმუშების განხილვა);

3) ზოგიერთი ლექსემა უარგონი ან ბარბარიზმია (ან ჯერ „ძალიან ახალი“ და უცხოა. აკადემიური სასაუბრო ენისათვის ჯერჯერობით რჩებიან „ბუფერულ ზონაში“. როგორებიცაა, მაგალითად, სიტყვები: დატესტვა, ნეპოტიზმი, პრევენცია, სუბორდინაცია, ტრიგერი), მაგრამ ამჟამინდელ ყოფით რეალობაში უკვე „იმკვიდრებენ“ ორგანულ ადგილს, ანდა სავსებით ორგანული, აკადემიური სიტყვებია, თუმცა განიცდიან მკვეთრ ან თანდათანობით ცვლილებებს კონოტაციური (სტილისტური) კონტექსტებისა და (ომონიმური) ფუნქციის თვალსაზრისით.

მაგალითისათვის ვიხილოთ ცხრილში (ორ სვეტად) მოცემული ამ ჯერზე შერჩეულ შესაბამის სიტყვათა კატეგორიები.

კვლევა I (ჯგუფი 1)	კვლევა II (ჯგუფი 2)
<p>აქტივობა, სტაბილური, პრევენცია, სუბორდინაცია, კონცეპტი, ადეკვატური, სერვისი, იმიჯი, განემორღვბი, თინეიჯერი, რენტაბელური, მარგინალრი, ნეპოტიზმი, აპელირება, ოპერირება, სემინტი, რელევანტური, ესკალაცია, ფორმატი, საბრძოლო თეატრი, აფორმაცია (აფორმიზმი), მონიტორინგი, მულტიფუნქციური, მულტიპლიკაცია, ბრუტალური, ბულინგი, ემპირიული, სერვისი, ინსტალაცია, ინტერაქტივი, ინსტაგრამა, ტრიგერი, მარკერი, პოსტი, ფართი, ივენთი, ისტებლიშმენტი, ფლეშმობი, დედლაინი, პერფორმანსი, უდანაშაულობის პრეზუმცია, ბეიჯი, ელიტა, ბომონდი, ვიაიპი, ლამბერსექსუალი, სტარტაპერი, ტრენინგი, დატესტვა და სხვ.</p>	<p>ნოვაცია, ინოვაცია, ნონსენსი, ინსპირაცია, ამბიციური, პრეროგატივა, პრიორიტეტი, კონიუქტურა, მოტივაცია, კონსტანტაცია, პლურალიზმი, სნობი, მუსირება, ვარირება, სენსიტიური, მოდიფიკაცია, ტრანსფორმაცია, მოდელირება, რეტროსპექტივა, ეპატაჟური, ფრიგიდული, ფლეგმატური, პიკანტური.</p>

ეს სიტყვები ორ ნაწილად დავყავით შემდეგი კრიტერიუმებით:

1. პრობლემური აქტუალობა/ბარბარიზმები და მეტ-ნაკლებად ორგანული (გარდამავალი არეალის) და

2. მეცნიერული ინტერესი/საერთშორისო, საზოგადოებრივი, მეტად ადაპტირებული სიტყვები (კულტურული საზოგადოებისა და ძირითადი, სალიტერატურო ენისათვის).

ორივე სვეტის სიტყვათა კატეგორიას აერთიანებს ერთი ნიშანდობლიობა – ცვლილების ფაქტორი, თუმცა ამ ცვლილებათა მნიშვნელობა და სპეციფიკა არაერთგვაროვანია. ამასთან, პირველი ჯგუფში მოქცეულ სიტყვათა ენაში შემოსვლამ განაპირობა მათივე პრობლემურობა და ბუნებრივი ყურადღებაც შესაბამისი მოკვლევისათვის, შეიძლება ითქვას – პრობლემური აქტუალობა. ამ ჯგუფის სიტყვა-

თა კვლევის (მოკვლევის, დახასიათების, აღნუსხვის, დაფიქსირების) მიზეზი მეტ-ნაკლები სახის პრობლემურობაა და მეტწილად იძლევა შეშფოთების, როტორიკისა და სუბიექტური პოზიციის ობიექტური მიდგომით დაფიქსირების საფუძველსაც საკვლევი ტექსტის ფარგლებში – რამდენადაც, მეორე ჯგუფის სიტყვათა კვლევა პირველ ჯგუფთან შედარებით არა საგანგაშო, არამედ მოტივაციის კუთხით შედარებით სუფთად მეცნიერული ინტერესის საგანს წარმოადგენს.

და კვლავ (შეჯამებისათვის) – კვლევის მიზეზთა დასაბუთება: რატომ შეიძლება იგი (ისინი) იყოს მნიშვნელოვანი?

უეჭველია, რომ მომავალში, წარსულის ტექსტების გამოყენება ან მასთან შეხვედრა მოუწევს (შეიძლება მოუწიოს) როგორც კერძო პიროვნებას, ასევე ზოგადად სოციუმს, სავარაუდოდ, თითქმის ყველა არსებულ დისციპლინას, დარგს, ინსტიტუტს... თუმცა აღსანიშნავია, რომ რამდენადაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძირითადად სამომავლო შედეგები გვინტერესებს, არ გვსურს შემოვიფარგლოთ ოდენ ისტორიით, მხოლოდ საარქივო პრობლემატიკით. ზოგიერთი შედარებით „ახლახან“ შემოსული სიტყვა არსებულ ეტაპზეც საჭიროებს გადახედვას და მისი მნიშვნელობის მკაფიოდ განსაზღვრას. მაგ.: პრევენცია, რელევანტურობა, ადეკვატურობა... (ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში შესაძლოა მთქმელისთვის სიტყვაში სხვა რამ იგულისხმებოდეს, ხოლო მსმენელისათვის – სხვა). ვიმედოვნებთ, ჩვენი კვლევა ხელს შეუწყობს გარკვეული საკითხებისა და პრობლემების სწორ დიაგნოსტიკას, რაც საშუალებას მისცემს კერძო პირსა თუ ორგანიზაციას სწორად შეაფასოს ტექსტი და საკითხის გადასაჭრელად, ისტორიული სიმართლისათვის ან, უბრალოდ, წარსულის რეალური სურათის წარმოსადგენად, გაითვალისწინოს წლების წინ ტექსტში გამოყენებული სიტყვის (ფრაზის) სწორი კონტექსტი და, შესაბამისად, მნიშვნელობა! ამით ბევრი შესაძლო უხერხულობა იქნება თავიდან აცილებული და დაიზოგება მოსაკვლევად საჭირო საძიებო რესურსი და დროც.

ჩვენ მიერ შერჩეული სიტყვების შემოთავაზებული ფორმით კვლევის გზით შეიძლება დადგინდეს სიტყვის მნიშვნელობა (ასოითი, ვერბალურ გამოხატულებასთან ერთად) მისი ენაში მოხვედრის მომენტიდან და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების შედეგად შექნილი დამატებითი შინაარსის გათვალისწინებით – ამ სახის ცვლილებებზე პერმანენტული (!) დაკვირვების რეჟიმში.

აღნიშნულ პრობლემასთან ერთად ზემოთ განვიხილეთ სხვა სახის ცვლილებათა შემთხვევაც, როდესაც ერთ თვისობრივ საფუძველში, მეორე შეპირისპირებული კონტრასტული ცვლილების სახით, საერთოდ შეიცვალა თვისობრივი დანიშნულება სიტყვის ფუნქციური გაგებით. მაგალითად: სიტყვა (ცნება) „ემპირიული“ მნიშვნელობა: ლაბორატორიული ტიპის ცდა, ადამიანის ემპირიული გამოცდილება. ანდა – „მულტიპლიკაცია“: ანიმაციური პროდუქტი, „მულტიპლიკაციური ეფექტის“ ტერმინი ეკონომიკაში და სხვა.

თუმცა, შეგახსენებთ, რომ ამ კვლევით მიმართულებაში ვინტერესდებით მკვეთრი პრაგმატული დაკვეთის შედეგებით, როგორებიცაა სრულად ან გარკვეულწილად „(ხელოვნურად) მინიჭებული რეზონანსის ფაქტორის“ შემთხვევები. მაგალითად, როდესაც ფუნქციურად სამედიცინო და სამხედრო ტერმინები „ოპერაცია, ოფიცერი“ – „კერძო“ პრაგმატული მოტივაციის შედეგად იგივე ასოითი ფორმით მაღალი ინტენსივობით გამოიყენება როგორც მაკრო, ასევე მიკრო წარმონაქმნებისათვის საფინანსო-ეკონომიკური სფეროს ფუნქციურ ტერმინად; ასევე, გარ-

კვეულ ორგანიზაციულად დაარსებულ რელიგიური ტიპის გაერთიანებებში. „სერვისი“: ტურისტული, გასტრონომიული, ფართო და, ასევე, ვიწრო სახელოსნო-პროფესიული ფუნქციური გამოყენებით და სხვ.

ზოგი ლექსიკური ერთეული საზოგადო მნიშვნელობასთან ერთად ქართული ეთნოსის ხასიათში დამატებითი ან რამდენადმე ინტერპრეტირებული ცვლილებით განიხილება. მაგ., სნობი და სნობიზმი (ქართულ რეალობაში ნაკლებ სიავესა და აგრესიას შეიცავს, ვიდრე წარმოშობის ენაში. სნობის სალექსიკონო განმარტება ასეთია: 1. (*E. snob ON. Snaps* - რეგენი ) არისტოკრატიული გემოვნებისა და მანერის ბრმად მიმბაძველი; 2. ადამიანი, რომელიც თვლის, რომ მას აქვს უმაღლესი დონის ინტელექტი და დახვეწილი გემოვნება. თავის თავზე ზღვარგადასული წარმოდგენის მქონე პირი). ქართულში შედარებით „რბილი მიდგომა“ მასთან, მაგალითად, როგორც მეტიზარასადმი, თვითმარქვია, უგერგილო მიმბაძველისადმი და, ამ თვისებისა და ხასიათის გამო, როგორც გამაღიზიანებელი ადამიანისადმი. ევროპული საზოგადოებისათვის, მაგალითად, „სნობი“ გაცილებით მტკივნეულად აღსაქმელი სიტყვაა.

ასევე, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზოგი სიტყვა კარგა ხანია შემოვიდა საყოფაცხოვრებო თუ აკადემიურ გამოყენებაში, მაგრამ მაინც საჭიროებს „გადახედვას და დაზუსტებას“, რამეთუ მათ რამდენადმე იცვალეს შინაარსობრივი გაგება გარკვეული მახასიათებელი მნიშვნელობით, ამ შემთხვევაში – კონოტაციური ელფერის კუთხით ეპოქალურ შეხედულებათა ცვლილებისა თუ სხვა მიზეზის გამო. მაგ., ამბიცია – ამბიციური სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ მარგინალურისა და ამპარტავენების სინონიმადაც კი აღიქმებოდა, დღეს კი მან მიზანსწრაფულისა და საკუთარ ძალებში დაჯერების დადებითი მნიშვნელობა შეიძინა, შეიძლება ითქვას, დაიბრუნა. ასევე მაგალითისათვის, გამოთქმა: „კეთილი ინებეთ, (ინება, ინებოს)“ – გულწრფელი, დადებითი კონოტაცია შესაძლოა დროებით დაიტვირთოს რიტორიკული, ირონიული, ანდა აგრესიული ელფერით.

ამგვარი კონოტაციური ელფერით გამოყენებისას შესაძლოა შეიცვალოს სოციალური აზრიც და ადამიანის პირადი დამოკიდებულება სიტყვის შესაბამის შინაარსობრივ თემასთან, ცნებასთან, საგანთან. აქაც, მსგავს შემთხვევებში შესაძლოა საქმე გვქონდეს პირდაპირი ანდა გარკვეულწილად, ირიბი მიზეზით „მინიჭებული რეზონანსის (ე.წ. უკუ ეფექტის) ფაქტორთან“.

მთლიანობაში, სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობის ჩამოყალიბებას წინ უძღვის მისი გამოყენების სხვადასხვა კონტექსტი, ასევე (ტექსტში „ცვლილების“ სახით განხილული) ეპოქალური თუ კერძო შემთხვევის გამოწვევები, ახალი შინაარსის (ფუნქციის, ნომინაციის) „დაკვეთები“ ინდივიდისა თუ ერთობისათვის. სწორედ ამ პროცესზე დაკვირვება შეიძლება ამ სახის კვლევის მეშვეობით.

დასახულ მიზანთა განხორციელების ფორმები, ძირითადად და ზოგადად, გულისხმობს: პრობლემის (საკითხის, თემის) კონსტატაციას, ინტერესის საგანთან დაკავშირებული მოცემული შედეგებისა და პროცესების დეფინიციას, არსებულ და წინარე ფორმათა და შინაარსთა (კონტექსტების) ურთიერთდამოკიდებულების აღწერას, სტატისტიკისა და ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად კვლევის კომპლექსურ გაშლას, ურთიერთგამომწვევი მიზეზ-შედეგობრიობის ქრონოლოგიურ ჭრილში განმაპირობებელი მიზეზებისა და მოტივაციების სპექტრის დახასიათებას, მათ შო-

რის, ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა: „სოციალური (ფიზიკური) ფაქტისა და ადამიანის შინაგანი აქტის შეპირისპირება“, სიტყვის (სიტყვის შინაარსობრივი სამყაროს) პერსონაჟირება“ და „მინიჭებული რეზონანსის ფაქტორი“. არსებული თემატური მოცემულობის დაფიქსირებას, განხილვასა და კომპლექსური ანალიზს.

შემდეგ სტატიებში შემოგთავაზებთ მსგავსი ტიპის შერჩეულ სიტყვათა დახასიათების ფაქტობრივი ნიმუშის რამდენიმე მეტყველ მაგალითს.

#### **ლიტერატურა:**

1. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
2. ფერდინანდ დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2013.

**Davit Mamaiashvili**

### ***Analysis of Neologisms and Borrowings Relevant for Scientific Fields*** **Summary**

The subject of research is borrowings and word change – from the point of view of semantic, etymological, stylistic and ethnological interpretation. Interest in the selected issues, on the one hand (the first part of the study), is due to the relevance of a certain problem in the language related to borrowings and the parallel (to some extent rhetorical) obligation of civic ethics; On the other hand (the second part), the research motivation is a natural scientific interest in a number of linguistic phenomena.

The text combines two main and two additional research directions, which units each other as an independent (autonomous) way from the point of view of textual and articles way, also from the point of view of the relevant practical, research, experimental, business relations with society.

**Давид Мамаиашвили**

### ***Анализ актуальных для научных отраслей неологизмов и заимствований*** **Резюме**

Предмет основных интересов автора – заимствование и изменение слова с семантической, этимологической, стилистической и этнологической точки зрения.

Заинтересование отобранными вопросами обусловлено, в первую очередь (первая часть исследования), актуальностью существующих в языке определённых проблем в связи с заимствованиями и параллельной (отчасти риторической) обязательственной мотивацией гражданской этики.

С другой стороны (вторая часть) мотивация исследования – естественный научный интерес к ряду лингвистических явлений. Автор считает, что проблемой также является слабая поддержка и интерес к сфере и к вопросам языкознания в стране, в общем. Значительный акцент в рамках статьи делается на широком круге читателей и на его включённость таким образом, что направленность деятельности не теряет научного подхода.

Текст статьи объединяет основные и исследовательские направления, которые имеют потенциал в будущем и могут осуществиться как с теоретической, так и практической точки зрения.

ლიანა სიგუა  
(საქართველო)

**მედეას ანტიკური სიუჟეტის გააზრების ინოვაციური ტენდენციები  
თანამედროვე რუსულ მწერლობაში და მათი რეცეფცია ქართულ  
სალიტერატურო სინამდვილეში**

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე თანამედროვე რუსულ მწერლობაში გამოიკვეთა მედეას ანტიკური სიუჟეტის გააზრების ინოვაციური ტენდენციები, რასაც ადასტურებს ლიუდმილა ულიცკაიას რომანი „მედეა და მისი შვილები“ (1996), ლიუდმილა პეტრუშევსკაიას თხზულებები „მედეა“ (1993) და „პატარა გროზნაია“ (1998), ლიუდმილა რაზუმოვსკაიას პიესა „მედეა“ (1981) და სხვ. თემისა და მხატვრული სახეების გენდერული რაკურსი მკაფიოდ არის გამოკვეთილია სამივე მწერლის ნაწარმოებებში, რომლებშიც ავტორები *ქმნიან მონომითს, რომლის ცენტრში ქალი იმყოფება* [7, 138]. ვფიქრობთ, რომ თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში მედეას თემის ინტერპრეტაციებზე მსჯელობისას ზემოაღნიშნული სამი ავტორის ნაწარმოებების განხილვა არასრულ, მაგრამ არსებით, ნიშანდობლივ ტენდენციებს გამოკვეთს; თუმცა, წინამდებარე სტატიაში, შემოვიფარგლებით მხოლოდ ერთი ავტორით.

ლიუდმილა ულიცკაიას გახმაურებულ რომანზე – „მედეა და მისი შვილები“ (1996) – მსჯელობის დაწყებამდე, ლოგიკურად გვეჩვენება ავტორის შემოქმედების ძირითადი შტრიხების წარმოჩენა. მან 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო თავისი ნაწარმოებების პუბლიკაცია და იმთავითვე იქნა აღიარებული რუსული „ქალური პროზის“ ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად. ლ. ულიცკაიას ნაწარმოებებმა პოპულარობა მოიპოვეს არა მხოლოდ რუსეთში; ისინი ითარგმნა უცხო ენებზეც, მათ შორის: ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ჩინურად და სხვ. მწერალს მიღებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ჯილდოები, როგორებიცაა ფრანგული *მედიის* პრემია (მოთხრობისთვის „სონეჟკა“), სმირნოვ-ბუკერის პრემია (რომანისთვის „კუცკის საქმე“) და სხვ. ლ. ულიცკაიას შემოქმედებას სშირად *ქალურ ეპისტოლეს* უწოდებენ, რომელიც, კრიტიკოსების აზრით, *ხარისხობრივად მაღალ და სერიოზულ ქალურ ყოფით ლიტერატურას* წარმოადგენს [2, 74]. თავის შემოქმედებაში იგი წარმატებით იყენებს 1990-იანი წლების დასაწყისის ქალური პროზისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, როგორებიცაა ავტობიოგრაფიულობა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობისა და ქალის თვითიდენტიფიკაციის პრობლემები და სხვ.

შევნიშნავთ, რომ ლ. ულიცკაიას ნარატივის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებად განიხილავენ *გულწრფელობას*, რომელსაც მწერალი მიმართავს დამაჯერებელი ამბის შესაქმნელად, რომელიც გადმოცემულია მესამე პირის პერსპექტივიდან სასაუბრო-ჟურნალისტური ფორმით. მისი სიუჟეტები ეფუძნება ან ცალკეული ოჯახის/ოჯახების ყოფას დროით პერსპექტივაში (გარკვეულწილად, ოჯახური ქრონიკები) ან ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გამორჩეული პასუხისმგებლობით გააზრებას, როგორებიცაა: ოჯახი, გვარი, სქესი, ავადმყოფობა, სიკვდილი. ეს უკანასკნელი თითქმის ყველა მისი ნაწარმოების, მათ შორის რომანის – „მედეა და მისი შვილები“ – ქვაკუთხედს ქმნის, რომელიც არაერთი სამეცნიერო კვლევის საგანი გახდა როგორც რუსეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ფაქტობრივად, ავტორი რომანის სათაურით აანონსებს, რომ ნაწარმოებში გადმოცემული იქნება არა მხოლოდ მედეას, არამედ მისი შვილების ამბავიც; ეს კი, ნათლად აყალიბებს რომანის სიუჟეტური ხაზის მომდინარეობას ანტიკური მითიდან. ის ფაქტი, რომ რომანის სათაურში ავტორს მხოლოდ *მედეას* სახელი არ გამოაქვს, მიანიშნებს მის კონცეფციასზე, რომელიც ხაზს უსვამს გმირი ქალის იმიჯის მნიშვნელობას ოჯახურ წრეში. საყურადღებოა, რომ თავად ავტორი მის რომანს, რომელიც ქრონოლოგიური თვალსაზრისით მოიცავს თითქმის მთელი გასული საუკუნის ამბებს (მედეას დაბადება, ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენლებისა და მედეას ბავშვობის წლები, მისი გათხოვება, ოცდაორწლიანი ოჯახური ცხოვრება, ქვრივობა და ბოლოს – გარდაცვალება), *ოჯახური ქრონიკის* ჟანრს მიაკუთვნებს.

გასაზიარებელია რუსი მეკლევრის, ი. ბაბინის მიერ სამეცნიერო სტატიაში „*ანტიკური მითის რეინტერპრეტაცია ლ. ულიცაიას რომანის, „მედეა და მისი შვილები“ სტრუქტურაში*“ გამოთქმული მოსაზრება, რომ ავტორს რომანის სათაურშივე აქვს გამოტანილი ანტიკური გმირის სახელი, რაც მკითხველის ყურადღებას მიმართავს *მოტყუებული ქალის ტრაგიკულ ამბავზე*; თუმცა, ეს მოლოდინი რომანის კითხვისას სრულიად ჩამოიშლება [4, 133]. ასევე მისაღებია ამავე მეკლევრის სხვა სტატიაში „*მითი, როგორც ლიტერატურულ ტექსტში მხატვრული რეალობის შექმნის პრინციპი: ლ. ულიცაიას რომანზე „მედეა და მისი შვილები“ დაყრდნობით*“ გამოთქმული მოსაზრება, რომ ავტორი თავის რომანში მხატვრული რეალობის შესაქმნელად წარმატებით მიმართავს ისეთ პოსტმოდერნისტულ ხერხებს, როგორიცაა მითოცენტრიზმი და მითოლოგიზაცია: *მითოცენტრიზმი XX საუკუნის ლიტერატურის დამახასიათებელ თვისებად იქცა, ხოლო მითოლოგიზაცია – ნაწარმოების მხატვრული სამყაროს წარმოქმნის უმნიშვნელოვანეს პრინციპად* [5, 26].

რომანის სიუჟეტის თანახმად, ელინური კულტურის წარმომადგენელი, უშიშრო მედეა სინოპლი (გათხოვების შემდეგ – მენდესი), ერთგვარ მიზიდულობის ცენტრს წარმოადგენს თავისი მრავალრიცხოვანი ნათესავებისთვის; ყოველ ზაფხულს მის სახლს ყირიმში ოცდაათამდე დისშვილი, ძმისშვილი და მათი მონაგარი სტუმრობს; ამიტომაც, ყოველ გაზაფხულზე იწერება გრაფიკი, თუ ვინ როდის და რა ხნით ესტუმრება მედეას. ამგვარად, მედეა აერთიანებს სინოპლების რამდენიმე თაობას (მინიმუმ – სამს) და მნიშვნელოვან როლს ასრულებს გვარის ისტორიაში, რომელსაც მისმა ბაბუამ – ხარლამპიმ დაუდო სათავე. აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა რომანში არაერთგზის გამეორებული დეტალები, რომლებიც გვარის უწყვეტობაზე მიანიშნებენ: *დედის სპილენძისფერი ელფერი, ბაბუის დამოკლებული ცერა თითი, ბებუის შეზრდილი ყურის ბიბილო, დამით ხედვის განსაკუთრებული უნარი, რომელიც, სხვათა შორის, მედეასაც ჰქონდა*.

რომანში იმთავითვე იკვეთება აზრი, რომ სინოპლების ოჯახის ქალებს შესწევთ გარშემომყოფთა ხელმძღვანელობის უნარი და ფაქტობრივად, მედეა მატრიარქატის ცენტრს წარმოადგენს. მედეა სინოპლი ანტიკურ მედეასთან მიმართებით გარკვეულ მსგავსებასაც წარმოაჩენს და განსხვავებასაც. იგი ბერძნულ სახელს ატარებს და თუ არ ჩავთვლით მის უმცროს დას – ალექსანდრას, რომელიც 20-იან წლებში გადავიდა მოსკოვში საცხოვრებლად, „*უკანასკნელი ჯიშიანი ბერძენი ქალი იყო ოჯახში, რომელიც უხსოვარი დროიდან სახლობდა ელადას მონათესავე*



ტავრიდის სანაპიროებზე“ [9, 5]. ასევე, მედვა უკანასკნელი იყო, ვინც ფლობდა ბერძნულ ენას (თუმცა, ვერავის ესაუბრებოდა). რომანის დასაწყისში, იგი დიდი ხნის დაქვრივებულია, თუმცა მეორედ გათხოვება არც უფიქრია, რადგან „კარგად მოირგო შავებში ჩაცმული ერთგული ქვრივის იმიჯი“ [9, 6].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კავშირი ანტიკურ მედეასა და ულიცაიას მედეას შორის თავს იჩენს *ზეზუნებრივი შესაძლებლობების ფლობაში*. ანტიკური მედვა ჯადოქარია, ხოლო მედვა სინოპლის ადგილობრივი მაცხოვრებლებიც და მისი ნათესავებიც აღიქვამენ, ერთგვარ, დვთაებად, რომელიც მათ მფარველობს და განსაცდელის ჟამს დახმარების ხელს უწვდის. გარდა ზემოთ ნახსენები *ღამით ხედვის განსაკუთრებული უნარისა*, ულიცაიას მედეას შეუძლია *მოვლენათა წინასწარი განჭვრეტა*. მედვა სინოპლის გარეგნობაც მიანიშნებდა მითიურ ქალღმერთთან ნათესაობაზე: „მას კარგი სახე ჰქონდა, სიმაღლეც, სხეულის სიმტკიცე და სიღამაზე; ამასთან, ჰქონდა წითური თმა, გადაჭარბებული სიმაღლე, დიდი პირი, დიდი ხელები და მამაკაცის ფეხსაცმლის ზომა“ [9, 45]. ამგვარად, იმის მიუხედავად, რომ რომანის მთავარ გმირს აქვს გარკვეული კავშირები ბერძნულ მედეასთან, ავტორი მას საკუთარი ბიოგრაფიით, პიროვნული პროფილითა და ცხოვრებისეული ხედვით აჯილდოვებს. თავის მხრივ, ეს საშუალებას აძლევს მედვა სინოპლის, მოგვიყვეს თავისი ცხოვრების ისტორია; გადმოგვცეს მისი, როგორც ქალის, შეხედულება ოჯახის სხვა ქალებთან და მამაკაცებთან მიმართებით; მათ თავს დატეხილ უბედურებებთან თუ სასიხარულო მოვლენებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მედეას ოჯახის ისტორიას, ეს ტრაგიკული თემაა: მამამისი, გიორგი, 1916 წელს გემის – „იმპერატრიცა მარია“ – აფეთქების შედეგად დაიღუპა; მამის გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს დედამისი მშობიარობას გადაყვა (ახლად-შობილი ბავშვიც დაიღუპა). ობლად დარჩენილი ცამეტი და-ძმიდან შვიდნი – მედეაზე უმცროსები იყვნენ. თვითონ მედვა კი, ამ დროს თექვსმეტი წლისა იყო. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მედეას საზრუნავად ორი მცირეწლოვანი ძმა და ერთი და შერჩება. ერთი მხრივ, მედეას ბედი მწერლის მიერ წინასწარ განზრახულია, რადგან საკუთარ შვილებს არ აძლევს; მაგრამ მეორე მხრივ – აჯილდოვებს ძმისშვილებისა და დისშვილების მთელი კოჰორტით, რომელთა ცხოვრებაზე იგი ატარებს თავის *მშვიდ, არამეცნიერულ დაკვირვებას*. ავტორის თქმით, რთულია იმის განსაზღვრა, თუ როგორი სიყვარული ამოძრავებს უშვილო ქალს ბავშვების მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ მედეას ყველაფერი აინტერესებდა, რაც მის ძმისშვილებსა და დისშვილებს შეეხებოდა (ასაკის მატებასთან ერთად, ეს ინტერესი არ განელებებულა; პირიქით – გაიზარდა). ლ. ულიცაია არ ქმნის მედეასგან ისეთ პერსონაჟს, რომელიც უნდა შეიბრალო; იმის მიუხედავად, რომ მედეას არ შეუძლია შვილების ყოლა, ავტორი არასოდეს მიუთითებს, რომ იგი თვითკმარი ქალი არ არის; პირიქით, ხაზს უსვამს მედეას ინდივიდუალობას, რომელიც ცხოვრობს ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ.

ცხადია, მედეას ცხოვრება ებმის იმ ქვეყნის პოლიტიკას, რომელშიც იგი ცხოვრობს (ანუ, სსრკ-ს); თუმცა, თავად მედვა მიზანმიმართულად ემიჯნება სახელმწიფოსაც და პოლიტიკასაც; მისთვის სხვა ღირებულებებია უფრო მნიშვნელოვანი. ამას ადასტურებს რომანის დასაწყისი და ფინალი: კერძოდ, რომანის დასაწყისშივე, ერთ-ერთ ეპიზოდში, მედვა შეიფარებს ყარაგანდიდან ჩამოსულ რავილ იუსუპოვს – მისთვის თითქმის უცნობ ადამიანს, ყირიმელი თათრების ჩამომავალი

ვალს, რომლის წინაპრები მეორე მსოფლიო ომის დროს საკუთარი საცხოვრებლედ ბიდან აყარეს და გადაასახლეს შუა აზიაში; იმის გამო, რომ ათწლეულების შემდეგ მათ შთამომავლებს ისტორიულ სამშობლოში – ყირიმში დაბრუნების სურვილი გაუჩნდათ, საბჭოთა ხელისუფლება მათ დევნიდა; რომანის დასასრულს კი, მკითხველი იგებს მედეას ანდერძის შესახებ, რომლის თანახმად, იგი თავის საკუთარ სახლს არა მრავალრიცხოვან ნათესავებს უტოვებს, არამედ რავილ იუსუპოვს; ეს ფაქტი ყირიმის ძირძველი მოსახლეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამოხატვის დემონსტრირებად შეიძლება აღვიქვათ.

მედეას ხასიათის თავისებურებებს აცნობიერებს მისი უახლოესი წრე; მაგ., მედეას ძმისშვილი, გიორგი, თავისი მამიდის შვილიშვილთან, მაშასთან დისკუსიისას ამბობს: „*თქვენთვის მსოფლიო ბოროტებას საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგეს. მას კი (იგულისხმება მედეა, ლ.ს.), ერთი ძმა წითლებმა მოუკლეს, მეორე კი – თეთრებმა; ომის დროს ერთი ძმა ნაცისტებმა, მეორე – კომუნისტებმა. მისთვის ყველა ხელისუფლება ერთია. ბაბუაჩემმა სტეპანიანმა, არისტოკრატმა და მონარქისტმა, ფული გაუფ ზავნა ობოლ ვოვონას; გაუფ ზავნა ყველაფერი, რაც სახლში იყო. მამაჩემი კი, მგ ზნებარე რევოლუციონერი, დედაჩემზე მედეას ერთი სიტყვის გამო დაქორწინდა: ლენინკა უნდა გადაავარჩინოთ... ხელისუფლება... რა არის მისთვის ხელისუფლება? ის მორწმუნე ადამიანია და სულ სხვა ძალაუფლებას აღიარებს. და ნურასოდეს ნულარ გაიმეორებ, რომ მას რაღაცის ეშინია“ [9, 57].*

არ გამოვირიცხავთ, რომ შესაძლოა, ამ ეპიზოდში მწერალი საკუთარ დამოკიდებულებასაც ავლენდეს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რაც სულაც არ გამოიყურება უჩვეულოდ. უფრო მნიშვნელოვნად კი ის მიგვაჩნია, რომ ავტორი მედეას მატრიარქალურ მმართველობას სახელმწიფო მმართველობაზე მაღლა აყენებს, რითაც ხაზს უსვამს, რომ მისი მედეა განსხვავდება ანტიკური მედეასგან, რომელიც ცდილობს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას საკუთარი თავისა და ქმარ-შვილის კეთილდღეობისთვის. ამ თვალსაზრისით, მედეა სინოპლი გვევლინება როგორც მამაკაცური, ისე ქალური ენერგეტიკული მუხტის მატარებლად, რომელსაც შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც მას სურს.

ლ. ულიცკაიამ მედეა წარმოადგინა მიზანმიმართულ, წინააღმდეგობების მედგრად გადამლახავ და ამავდროულად, სათნო, ადამიანური სისუსტეების მიმტვევებელ პიროვნებად. მკვლევარ ოლგა სავინიხის შენიშვნით, აღნიშნული თვალსაზრისით მედეას ბუნება *აპოლონური ატმოსფეროს ჩარჩოებშია მოქცეული* [8, 100];<sup>1</sup> იგი არ არის შურისმაძიებელი; ცხადია, მტკივნეულად განიცდის ქმრის – სამუილის ადიულტერს (რის შესახებაც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაიგებს), მაგრამ ეს არ აისახება მის ურთიერთობაზე ახლობლებთან; მხოლოდ თავის დას – სანდრას ვერ პატიობს დალატს და შეწყვეტს მასთან ურთიერთობას, თუმცა დისშვილებთან ურთიერთობას კვლავაც აგრძელებს.

<sup>1</sup> ანტიკური ეპოქის ბერძენი, კერძოდ კი ჰომეროსისდროინდელი ბერძენი, აპოლონურად აღიქვამდა სიცოცხლეს; მრავალსახად იაზრებდა სამყაროს დროისა და სივრცის ფორმებში, რომელსაც შოპენჰაუერი ინდივიდუალურობის პრინციპს უწოდებდა. ადამიანს, რომელიც ამგვარად უყურებს სიცოცხლეს, ნიცშე, შოპენჰაუერის მსგავსად, ბობოქარ ზღვაზე მოცურავს ადარებს. ასეთი ინდივიდი ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევა უსასრულო წარსულსა და უსასრულო მომავალს; ერთადერთი რამ არის მისთვის ნამდვილი – შემოფარგლული აწმყო, უახლოესი მიზნებითა და დახშული ჰორიზონტებით

ზემოაღნიშნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ულიცკაიას მედეა, ერთგვარ ანტიმედედ აღის წარმოჩენილი: იგი მომთმენია, მოსიყვარულეა, მზრუნველია, მაგრამ ეს როლი ნიშნავს, რომ ის უპრინციპოა. იგი ერთგვარი დედაბოძია – ყველაფერს თვალყურს ადევნებს და ოჯახში წესრიგის დაცვასა და პატივისცემას მოითხოვს. მისი და და დისშვილები მისგან განსხვავდებიან, მაგრამ იგი ღებულობს მათ ისეთებად, როგორებიც არიან (თუმცა, არ ეთანხმება მათი ცხოვრების წესს). მედეას ხასიათის ზემოაღნიშნული თვისებების გათვალისწინებით (გარეგნობა, პატივმოყვარეობა, სიამაყე, ოჯახური ტრადიციების დაცვა და პატივისცემის მოთხოვნა...) მკვლევრები ე. ლატიპოვა და ა. აბდულინა მიუთითებენ, რომ მედეა საკუთარ თავზე ირგებს ტრადიციულ, პატრიარქალურ, მამაკაცურ როლს, რაც გარკვეულწილად *მასკულიზმზე* მიუთითებს [6, 34-35]. საინტერესოა, რომ თავის დისერტაციაში – *Medeia: Maiden, Mother, Monster: a Biopoetic Analysis* – მ. მეკეიცი (ოტაგოს უნივერსიტეტი) ევრიპიდეს მედეას მასკულიზმზე ამახვილებს ყურადღებას; განსაკუთრებით იმ ფაქტზე, რომ მან თავად შეარჩია ქმარი, „თავად მოაწყო თავისი ქორწინება“ [2, 51].

რამდენადმე განსხვავებულ ასპექტში არის გააზრებული მედეა სინოპლი-მენდესის სახე ქართველი მკვლევრების, ხათუნა ბერიძისა და მარინე გიორგაძის მიერ. ლიუდმილა ულიცკაიას რომანის გასაანალიზებლად მათ შეარჩიეს *ლიტერატურული ტექსტის პოსტკოლონიური კვლევის ინტერდისციპლინარული მიდგომის მეთოდოლოგია* და, შესაბამისად, მასზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ *სიუჟეტის კულტურული განზომილებები, რომელშიც საქართველოა ჩართული, მოვგავონებს ექსპანსიონისტურ მიდგომას, ძალაუფლების დისბალანსს და იმპერიული რეჟიმის პრეტენზიულ უპირატესობას, რომელიც დაზარადა როგორც პოლიტიკური კონტექსტი* [1, 64].

ვერ გავიზიარებთ ხ. ბერიძისა და მ. გიორგაძის მოსაზრებას, რომ ულიცკაიას რომანში მედეა გამოყვანილია *ულიძლამო ქალად* და ავტორი მასთან (და ზოგადად, ქართველებთან და საქართველოსთან მიმართებით) მიმართებით *იყენებს დამამცირებელ ლექსიკურ ერთეულებს*; საილუსტრაციოდ მოხმობილია ამონარიდი რომანის პირველივე გვერდებიდან, როდესაც ვეცნობით მთავარ გმირს:<sup>1</sup> *«Глаза ее были ясно-коричневыми и сухими, темная кожа лица тоже была в сухих мелких складочках. Когда она в белом хирургическом халате с застежкой сзади сидела в крашеной раме регистратурного окна поселковой больницы, то выглядела словно какой-то не написанный Гойей портрет»* [9, 6] („თვალეები ნათელი-ყავისფერი და მშრალი ჰქონდა, მუქი ფერის სახეც მშრალი წვრილი ნაოჭებით ჰქონდა დაფარული. როდესაც იგი თეთრ ქირურგიულ ხალათში ჩაცმული, უკან შესაკრავით, იჯდა სოფლის საავადმყოფოს სარეგისტრაციო ფანჯრის შეღებილი ჩარჩოს მიღმა, გოიას რომელიდაც დაუწერელი პორტრეტით გამოიყურებოდა“). ქართველი მკვლევრები თვლიან, რომ *კონსტაციური მნიშვნელობა მედეას აიგივებს გოიას პორტრეტთან, რომელსაც აქვს არაჩვეულებრივი ნიჭი, წარმოაჩინოს სილამაზე მის ყველაზე ბნელ ნახატებშიც კი*. გოიას ნიჭისგან განსხვავებით, ულიცკაია მედეას ბნელ

<sup>1</sup> სამწუხაროდ, რომანი არ არის ქართულად თარგმნილი; ამიტომ, ამონარიდები მოგვყავს ჯერ რუსულ ენაზე და შემდეგ ჩვენი თარგმანი, რათა მკითხველს მაქსიმალური სიზუსტით შეექმნას სწორი წარმოდგენა და არა ჩვენ მიერ ინტერპრეტირებული.

პორტრეტს ქმნის, რისთვისაც ზომორფემებსაც მიმართავს: «*Ее лицо напоминало красивую лошадиную морду*» [9, 40]; აღნიშნულთან დაკავშირებით ქართველი მკვლევრები შენიშნავენ, რომ ადამიანის ზოოსემიოტიკური წარმოდგენა მკაცრად არის რეგლამენტირებული სპეციფიკური კულტურისთვის და მისაღებია ან დამამცირებელია კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში; *ქართული, ფრანგული და ამერიკული ზოოსემიოტიკის სისტემები არ ცნობენ ცხენის სიფათს სილამაზის ნიშნად და სიტყვა «морда» რუსულადაც შეიცავს უარყოფით კონოტაციას ნეიტრალური ლექსიკური ერთეულის «шай» („სახე“) მიმართ [1, 56-58]. ასევე, სტატიაში აღნიშნულია, რომ რომანის სხვა ქართველი პერსონაჟებიც, მაგ., მედეას დის – სოფიას ქალიშვილები, რომლებიც ოსტატურად ამზადებდნენ ბაქლავას ჯერ ბათუმში და შემდეგ – მარსელში, *მახინჯები* იყვნენ.*

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ რომანში მოქმედება იწყება 1976 წელს; ანუ, იმ დროს, როდესაც მედეა 76 წლის არის (რომანში აღნიშნულია, რომ როდესაც მამამისი 1916 წელს დაიღუპა, მედეა 16 წლის იყო). ვფიქრობ, სავსებით რელევანტურია, რომ ამ ასაკში ქალს წვრილი ნაოჭებით ჰქონოდა სახე დაფარული. ჩემი აზრით, საყურადღებოა ამავე პორტრეტში მოყვანილი *მშრალი, ნათელი გამოხედვა*, რაც დადებითი კონოტაციის მატარებელია, მაგრამ ქართველი ავტორები ამაზე არ ამახვილებენ ყურადღებას; არადა ლ. ულიცკაია ამ დეტალით ხაზს უსვამს, რომ მედეას არ ჰქონდა მოხუცებისთვის დამახასიათებელი ჩამქრალი, ამღვრეული მზერა. ასევე, ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ მედეა სინოპლის არასტანდარტული გარეგნობა ჰქონდა, რომელიც მითიურ ქალღმერთთან მის ნათესაობაზე მიანიშნებდა (ამას აღნიშნავდნენ არა მხოლოდ ნათესავეები, არამედ დაბის ადგილობრივი მაცხოვრებლებიც). რაც შეეხება *красивая лошадиная морда-ს*, ავტორი ამ ეპიზოდში წერს, რომ მედეამ ვარცხნილობა შეიცვალა; ე.წ. „ჩოლკა“ და უკან შეკრული „ცხენის კული“ გაიკეთა და ამიტომ, წინ წამოწეული ყვირმალებით დაემსგავსა *красивая лошадиная морда-ს*; ამ დეტალს ჩვენ უარყოფით კონტექსტში ვერ მოვიახრებთ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ახალგაზრდობაში მედეაც არ იყო კმაყოფილი თავისი გარეგნობით, თუმცა მეუღლემ, სამუილმა დაარწმუნა, რომ იგი სხვებისგან, ხასიათთან და ცხოვრების წესთან ერთად, გარეგნობითაც გამოირჩეოდა; ხელის სათხოვნელად მისული, სამუილი ეუბნება: «Я понимаю, что вы, в некотором роде, коплева» („მე ვაცნობიერებ, რომ თქვენ, ერთგვარად, დედოფალი ხართ“) [9, 74]. ამავე აზრისა იყვნენ მისი ახლობლებიც; მაგ., ზაფხულში დეიდასთან სტუმრად ჩასული ნიკა ეუბნება: «Тетя! Солнышко мое! Как я соскучилась! Какая ты красавица!» („დეიდა! ჩემო მზეო! როგორ მომენატრე! რა ლამაზი ხარ!“) [9, 50]; როდესაც მედეა პირველად ნახა დის ქმარმა (რომლის მეუღლე, სანდრა აღიარებული იყო ლამაზ ქალად), გაოცებული დარჩა დებს შორის გარეგნული მსგავსებით და მედეას, თითქოს ხატმწერის კალმით ნახატი სახით: «Иван Исаевич изумился ее иконописному лицу. В сестрах он нашел большое сходство» [9, 339] და სხვა.

რომანის სხვა ქართველი პერსონაჟების (და ზოგადად, საქართველოს) მიმართაც ვერ გავიზიარებთ ხ. ბერიძისა და მ. გიორგაძის პოზიციას; თბილისი და ქართველები არაერთხელ არიან მოხსენიებულნი რომანში დადებით კონტექსტში; მაგ., მედეას რძალი, სომეხი ელენე სწერს: «В детстве, в Тбилиси, с нами Господь в

одном доме жил, ангелы по комнатам гуляли, а здесь, в Азии, все по-другому» („ბავშვობაში, თბილისში, ჩვენთან ერთად სახლში უფალი ცხოვრობდა, ანგელოზები ოთახებში მიმოდინდნენ, აქ კი, აზიაში, ყველაფერი სხვაგვარადაა“ [9, 41]). მედეა ყოველთვის სიყვარულით იხსენებს უფროს დას, ანელის, რომელიც თბილისში იყო გათხოვილი ცნობილ ქართველ მუსიკოსზე, კონსერვატორიის პროფესორზე. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ანელიმ წაიყვანა ექვსი წლის ნასტია და უმცროსი ბიჭების წაყვანასაც აპირებდა, მაგრამ მათ კატეგორიული უარი განაცხადეს და მშობლების ოჯახში, მედეასთან დარჩნენ [9, 37]; დისშვილთან, ნიკასთან საუბრისას მედეა სიყვარულით ახსენებს ნათესავთა თბილისურ შტოს; ამბობს რომ სხვანაირია ახალგაზრდა თაობა: ტომოჩკას რევაზიკო, სოფიკო [9, 91]. მედეას მჭიდრო კავშირი აქვს ანელის აყვანილ შვილთან, ნინასთან, რომლის ოპერაციის დროს მთელი ზაფხულით ყირიმში ჰყავდა წაყვანილი მისი არასრულწლოვანი ბავშვები. თავის მხრივ, ნინაც მთელი თვე უვლიდა მედეას მისი ავადმყოფობის პერიოდში [9, 299] და სხვა. ჩვენ აღარ შეგვხვებით ქართველი მკვლევრების მიერ შეფასებულ *სამუილის ღალატისა და მედეას უშვილობის თემებს*, რადგან აღნიშნულზე ვისაუბრეთ ზემოთ. აქვე დავძენთ, რომ სხვადასხვა ეროვნებებზე გამოთქმული პასაჟებით თუ ვიმსჯელებთ, რუსი ავტორის რომანში ყველაზე უარყოფითად რუსი ქალები გამოიყურებიან (ქარაფშუტები, უზნეო ქცევით გამორჩეულები, ავხორცები, სექსუალური თავგადასავლების მაძიებლები და ა. შ.).

ამგვარად, გაანალიზებული რომანი შეიძლება გავიაზროთ სოციალურ კომენტარად საზოგადოებაზე, მატრიარქატზე და ქალი-პერსონაჟების ხასიათების სირთულეზე. რომანში კონსტრუირებულია მიკროსამყარო, რომელშიც ქალები წარმოადგენენ ცენტრს, საყრდენ წერტილს და არა კაცები. შესაბამისად, რომანის მთავარ გმირსა და მის მრავალრიცხოვან ნათესავებზე დაყრდნობით, ლიუდმილა ულიცკაია ქმნის ქალებზე ორიენტირებული სამყაროს საკუთარ ვერსიას, რომელშიც გენდერული და ოჯახური პრობლემები საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებებისგან განსხვავებულად გამოიყურება. გარდა მითოლოგიური კავშირისა და ოჯახური ქრონიკის ელემენტებისა, რომანი ავლენს გარკვეულ თანხვედრას *ცხოვრების ჟანრთან*, რომელიც ულიცკაიასთვის საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, ყოფითი რეალიებით: ადამიანის ცხოვრება უკავშირდება არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ კოსმიურ საწყისებსაც; ეს ყველაფერი ასახვას პოულობს ულიცკაიას მედეაში, რომელიც, ცხოვრების ჟანრის გმირების მსგავსად, ისწრაფვის მართლმორწმუნეობის იდეალისკენ და მორჩილად ატარებს თავისი ცხოვრების მძიმე ჯვარს.

**ლიტერატურა:**

1. Beridze K., Giorgadze M. Medea and the Novel "Medea and Her Children" After the Cultural Turn in Translation. International Conference: Medea in the World Artistic Culture. Proceedings. Tb., 2017.
2. Mackay M. A. Medeia: Maiden, Mother, Monster: A Biopoetic Analysis. 2011. ელექტრონული მისამართი: <https://ourarchive.otago.ac.nz/handle/10523/2004>
3. Абашева М. П., Воробьева Н. В. Русская женская проза на рубеже XX-XXI веков. Пермь: Изд-во ПОНИЦАА, 2007.

4. Бабиц Ю. В. Реинтерпретация античного мифа в структуре романа Л. Улицкой «Медея и ее дети». Наукові записки Харківського національного педагогічного університету ім. ГС Сковороди. Сер.: Літературознавство, 2 (1). ელექტრონული მისამართი: [http://www.irbisnbuv.gov.ua/cgi-bin/irbis\\_nbuv/cgiirbis\\_64.exe?C21COM=2&I21DBN](http://www.irbisnbuv.gov.ua/cgi-bin/irbis_nbuv/cgiirbis_64.exe?C21COM=2&I21DBN)
5. Бабиц Ю. В. Миф как принцип создания художественной реальности в литературном тексте: на материале романа Л. Улицкой «Медея и ее дети». Південний архів. Сер. Філологічні науки, (50).
6. ელექტრონული მისამართი: [http://www.irbis-nbuv.gov.ua/cgi-bin/irbis\\_nbuv/cgiirbis\\_](http://www.irbis-nbuv.gov.ua/cgi-bin/irbis_nbuv/cgiirbis_)
7. Латыпова Е. Э., Абдуллина, А. Ш. Материнство в ценностной системе романа Л. Улицкой «Медея и её дети». Филологические науки. Вопросы теории и практики. 2017. ელექტრონული მისამართი: <https://cyberleninka.ru/article/n/materinstvo-vtsennostnoy-sisteme-romana-l-e-ulitskoy-medeya-i-eyo-deti>
8. Ровенская Т., Роман Л. Улицкой «Медея и ее дети и повесть Л. Петрушевской «Маленькая Грозная»: опыт нового женского мифотворчества. Адам и Ева. Альманах гендерной истории. М., 2001, №2.
9. Савиных О. Русская Медея 80-90-х годов XX века (Л. Улицкая, Л. Петрушевская, Л. Разумовская, М. Хлебникова). *Вопросы русской литературы*, 2018.
10. Улицкая Л. Медея и ее дети. М., Издательство АСТ, 2019.

**Liana Sigua**

***Innovative trends in understanding the ancient plot of Medea in modern Russian literature and their reception in Georgian literary reality***

**Summary**

At the turn of the 20th-21st centuries, innovative tendencies in understanding the ancient plot of Medea appeared in modern Russian literature, as evidenced by the novel by Lyudmila Ulitskaya "Medea and Her Children" (1996), the works of Lyudmila Petrushevskaya "Medea" (1993) and "Little Groznaia" (1998), Lyudmila Razumovskaya's play "Medea" (1981), etc. The gender aspect of the theme and the artists is clearly highlighted in the works of all three writers, in which the authors create a monomyth with a woman at the center. We assume that when discussing interpretations of the theme of Medea in modern Russian literature, a discussion of the works of the three named authors reveals incomplete, but significant trends; however, in the article we will limit ourselves to only one author. The novel by L. Ulitskaya, analyzed in the article, can be understood as a social commentary on society, matriarchy and the complexity of female characters. The novel constructs a microcosm in which women, not men, are the center. Accordingly, based on the main character of the novel and her numerous relatives, L. Ulitskaya creates her own female version of the world, in which gender and family problems look somewhat different from generally accepted views.

Лиана Сягуа

*Инновационные тенденции осмысления античного сюжета о Медее в современной русской литературе и их рецепция в грузинской литературной действительности*  
Резюме

На рубеже XX-XXI веков в современной русской литературе проявились новаторские тенденции в осмыслении античного сюжета о понимании Медеи, о чем свидетельствуют роман Людмилы Улицкой «Медея и ее дети» (1996), произведения Людмилы Петрушевской «Медея» (1993) и «Маленькая Грозная» (1998), пьеса Людмилы Разумовской «Медея» (1981) и др. Гендерный аспект темы и художественных лиц ярко выделен в произведениях всех трех писателей, в которых авторы создают мономиф, в центре которого находится женщина. Предполагаем, что при обсуждении трактовок темы Медеи в современной русской литературе обсуждение произведений трех названных авторов выявляет неполные, но существенные тенденции; однако в статье мы ограничимся только одним автором. Роман Л. Улицкой, проанализированный в статье, можно понимать как социальный комментарий об обществе, матриархате и сложности женских характеров. В романе построен микрокосм, в котором центром являются женщины, а не мужчины. Соответственно, на основе главной героини романа и ее многочисленных родственников Л. Улицкая создает свою женскую версию мира, в которой гендерные и семейные проблемы выглядят несколько иначе, чем общепринятые взгляды.

**Cleo Protokhristova**  
(Bulgaria)

**THE MYTHS OF PROMETHEUS AND THE BLACK SEA REGION**  
**Conflicting Versions, Shifting Paradigms**

The topic of this paper, as suggested by the title, is the interrelation between two ideological constructs – the figure of Prometheus and the so-called Black Sea region. Both of them represent in specifically transformed versions primary ideas and realities that lack the additionally attributed coherence of the later concepts, currently in use.

The Black Sea region – defined, in Charles King's words, as "the land- and seascape from the Balkans to the Caucasus and from the Ukrainian and Russian steppe to Anatolia", or, more concisely, as "a distinct region defined by the Black Sea and its hinterlands" [14, 1-2], has been and still is a notion, disputable to a great extent. As Charles King has reasonably stated, "Searching for a set of timeless, objective traits for establishing what sets off a real region from an imagined one is futile. There are no clear criteria for distinguishing a "genuine" region" [14, 2].

With this undeniable assertion at hand, I will try to verify the hypothesis that certain Greek myths have the potential to function as a major unifying factor for an "imagined" Black Sea region focussing on one specific, particularly representative case – the figure of Prometheus. The grounding presumption is that the very idea of Prometheus present in the national cultures of the peoples neighbouring the Black Sea is capable of generating a process of their consolidation in a regime of non-exclusion that reinforces connections to other national, political and cultural communities as well. My task will be to explore the grounds for the shared means by which the figure of Prometheus happens to provide such a highly potent identification mark for all of them.

The most impressive evidence for the supposed consolidating effectivity of the Prometheus myth is the so-called Prometheus project, initiated in Paris in 1926 by a group of Eurasian emigres and exiles who tried to oppose the processes of sovietisation of the Black Sea region. The name of the circle came from the journal *Prométhée*, qualified in the subtitle as the "organ of the national defence of the peoples of the Caucasus and Ukraine". The political program was announced in the first issue of the project's flagship edition of November 15<sup>th</sup> 1926, in which one could read articles discussing "the problem of Caucasus", "the crisis of Bolshevism", the situation in Ukraine, Azerbaijan and the interrelations between Georgia and France. In its height, the movement also involved a number of prominent politicians and journalists from West Europe who sympathized with the project [19, 3-9; 11-13; 22-25; 25-31; 31-37].<sup>1</sup>

In the 1930s, the main concern of the Prometheans was the creation of a political and economic alliance of Black Sea states, including Turkey, Romania and Bulgaria, as well as the peoples of Ukraine and Georgia. It was articulated in no. 73 of the journal of December 1932 in this specific way: "With its left wing touching on Poland, passing by the friendly lands of Cossacks of the Don, Kuban, and Urals, and with its right wing reaching out to the oppressed peoples of Asia,

---

<sup>1</sup> The project is presented in King 2004, 224-227.



Turkestan, and other areas, this block of states will stop once and for all the imperialist tendencies of Russia, whether of the Red or White variety" [20, 22].

In the decades preceding the Second World War, the Prometheans engaged into intense lobbying to direct the attention of European governments to the situation of the oppressed peoples in the Black Sea region. They organized public seminars and culture festivals whose main goal was to draw attention to the destiny of nations deprived of political independence. The main objective of the project was to establish a political and economic alliance between Black Sea states such as Turkey, Romania, Bulgaria as well as Ukraine and Georgia once the latter had regained independence. During the interwar years the project received active financial support by the Polish government. Later on, the engagement escalated to the initiation of an autonomous division of the Promethean project in Poland.

For all its political zest, the Promethean project addressed the issues of cultural identity as well. Along with articles that articulated the ideological program of the movement, the journal *Prométhée* included materials concerned with a wide range of cultural facts representative of the national traditions of the countries involved in the project. In the volume published in January 1938, for example, most of the materials included were dedicated to Shota Rustaveli, the great Georgian poet of the 12<sup>th</sup> century [21].

The belief underlying and furnishing those activities was that taking into account all the diversities, the Black Sea countries still had a lot in common, in terms of shared historical and cultural particularities.

The Prometheus project itself brings forth an interesting and challenging material for systematic and exhaustive research, but I will choose just one single aspect of its inherent problems – the name chosen for the project. Unlike Shakespeare's Juliet, disregarding her resentful "What's in a name?", overflowing with outrage and bewilderment, I will invite you to focus precisely on the implications involved in this act of name giving.

The fact that the name of Prometheus was attributed to this political project might seem arbitrary, but it is actually justified in more ways than one. Since the project was initiated in Paris, the choice of Prometheus as a symbol was undoubtedly indebted to the traditional European rendering of the myth and its Humanistic, Enlightenment and Romantic concretizations. Therefore, the figure of the Titan appeared suitable, providing an adequate label for the advocating of revolt, resistance and enlightenment which constituted the main objectives of the program.

It should be made clear that the ideas of Prometheus present in the Black Sea countries at the time were not alien to those meanings. The Bulgarian response to Prometheus, for example, generally followed the European paradigm. Ever since its initial reception during the Revival period his figure was rationalized in terms of heroic endeavors and therefore in the modes of enlightenment and rebellion.

During that same period when *Prométhée* was being edited and published in Paris, in 1937, in Bulgaria appeared a periodical named *Prometei* (the Bulgarian equivalent of Prometheus). Symptomatically, in the editorial article for the first issue of the journal the interpretation of the ancient symbol of Prometheus' fire was posited as a sign for the revival of European humanities that culminated in a radical, metaphorically charged conclusion, "Asia was *A Thousand and one nights*, Europe is *Prometheus*..." [1, 5]. The periodical was initiated by the prominent professor of Classical studies and the most industrious and professionally reliable translator from ancient Greek Alexander Balabanov. Ironically, Balabanov was firmly convinced that his initiative was unprecedented and in the editorial note he boasted about its uniqueness [1, 2].

Similarly echoing the Enlightenment rationalization of the myth there also appears the well-known case of its literary reception in Turkey – Tevfik Fikret's poem "Prometheus" (1909), in which the fire that the Titan brought to the people symbolizes enlightenment, science and modernity. Prometheus himself is represented as a paragon for young people who should follow his steps with bravery although their sacrifice might remain unrecognized. A specific moment in Fikret's interpretation of the myth hero is the call for a secular, universalist and humanistic identity of his fellow citizens, expressed aphoristically in the lines: "I am I, and you are you. No God, no slave are we" [10, 146-157].

The interpretation of Prometheus as a component of Western civilization was specific for the reception of the myth in pre-Soviet Russian culture as well. The famous Symbolist poet, playwright and philosopher Vyacheslav Ivanov, was one of those for whom the figure of Prometheus held a powerful allure. Inspired by Hölderlin, Wagner and Nietzsche, he wrote his own dramatic version of the legend of Prometheus (1919), following the principles of Aeschylean tragedy. Similarly, Aleksandr Scriabin in his symphonic poem *Prometheus: The Poem of Fire* (1910) saw art as a holiday, the antithesis of everyday life. He had created especially for the performance of Prometheus, a keyboard with lights, that, when played, would project colors on a screen behind the orchestra and he intended by means of this *clavier à lumières*, to help the audience envision the cosmos.<sup>1</sup>

The motivation of the Prometheans to appropriate the Greek myth so as to legitimize their project went beyond the European context. It also drew upon the conviction that the myth of Prometheus is primordially connected to the Black Sea region – moreover, not just because of the traditional belief that the Titan had been chained to a Caucasian rock, but also because of the deep roots the legend had in regional and local mythologies and folklore. Georgia is certainly a most impressive case in this respect since according to the myth the location of the Titan's imprisonment is supposed to be somewhere within the territory of the country. Accordingly, the biggest cave in Georgia, geographically identified as Kumistavi cave after the name of the nearest village, is by default dubbed "the home of Prometheus".

The identification of Georgians with Prometheus also has another, most impressive manifestation. The protagonist of the Georgian epic poem "Amiraniani" called Amirani resembles closely the Promethean figure. In a stunning accord with the Promethean myth Amirani is conceived as demiurge who defies gods, brings the fire to humans, introduces them to the use of metal and is punished by being chained on Caucasus where an eagle eats his liver eternally. The process of identification of Georgians with Amirani/Prometheus is so strong that in certain parts of the country this account is commemorated by the destruction of eagles' nests as a kind of ritual revenge. Although the literary version of the legend dates to the 12th century, archaeological data suggest that the story was disseminated among Georgian tribes prior to the 8th century BC.<sup>2</sup>

According to "Legends of the Caucasus" by David Hunt, over 44 different Prometheus stories have been identified in the Caucasus region. Further testimony to this prolific tradition can be found in a Georgian book called *Amirani Enchained*, written by the Soviet scholar Mikhail Chikovani, which contains 68 versions of the legend, recorded during the period from 1848 to 1945. Some scholars believe that several Greek myths, among them that of Prometheus,

---

<sup>1</sup> Scriabin's interpretation is presented in James Von Geldern's book *Bolshevik Festivals, 1917-1920*. See Geldern 1995, 166.

<sup>2</sup> The Caucasian versions of the Prometheus myth are presented and analyzed in Lossev 1989, 302-306.

are derived from Caucasian cultures. The oldest Greek source for the story of Prometheus is in Hesiod's *Theogony*, composed in the 8th-7th century B.C., which perhaps suggests that both the Greek and Georgian myths have a common Caucasian ancestor [11].

In different places Georgians honor their native hero by statues. Well known is the statue of Amirani in the capital of Tbilisi. There is also an older statue which is located in the vicinity of Signaghi near the border with Azerbaijan. By the way, this earlier statue of Amirani was dedicated to the Promethean project as homage to its principal strategy to support ethnic identity movements in the Black Sea region.

